პროფესიული სტანდარტები და დამოუკიდებლობა A2

პრესომბუდსმენი A5

ანდერგრაუნდიცა და კონფორმიზმიც A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 20 მარტი, 2006 წელი. №59 (1211)

ფასი 50 თეთრი

სამართალი

კანონი „არბიტრაჟის შესახებ" - პირველი მოსმენით

რამდენიმე დღის წინ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ პირველი მოსმენით მიიღო "არბიტრაჟის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა.

A4

სამართალი

„ნაციონალი" პარლამენტარი პროკურორის წინააღმდეგ

ტელეკომპანია "თრიალეთის" ჟურნალისტები შიდა ქართლის ოლქის პროკურორ მიხეილ აბულაძეს სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ. გაზეთ "თრიალეთის" მთავარმა რედაქტორმა თინიკო ვაჩაძემ ღია ეთერით განაცხადა, რომ "ორი თვის წინ, ოლქის პროკურორი საკუთარ კაბინეტში, 40 წუთის განმავლობაში ცდილობდა მის გაუპატიურებას".

A4

სპორტი

„რენო" ფორტე!

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	20/03	21 /03
თბილისი	13	17
ტყიბული	5	17
სოხუმი	8	18
დმანისი	0	10
გორი	6	13
ონი	-4	11
ზუგდიდი	8	19
ახმეტა	13	17
გაგრა	7	15
სამტრედია	7	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8275
ევრო	2.2035
ბრიტანეთის სტერლ.	3.1936
რუბლი	0.0657

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
პრესომბუდსმენი	A 5
ტენდერი	A 6
ტენდერი	A 7
რევიუ	A 8

რუსეთის არასწორი მიმართულება აქვს არჩეული

დავით სმიტი
პოლიტიკური კვლევების ცენტრ ბაკის ინსტიტუტის უფროსი სპეციალისტი სპეციალურად „24 საათისთვის"

რუსეთი არასწორი მიმართულებით მიდის, - ნათქვამია საგარეო ურთიერთობების საბჭოს 5 მარტის ანგარიშში. მართალია, ეს კვლევა საქართველოში შეუმჩნეველი რჩება, თუმცა მან შესაძლოა, გადამწყვეტი როლი შეასრულოს აშშ-სთვის, სადაც საგარეო ურთიერთობების სფეროში მომუშავე პოლიტიკურ ელიტასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამ საკითხისადმი მეტ-ნაკლებად გულგრილი დამოკიდებულება სუფევს.

ზოგჯერ სიბნელე რაღაცების გამოაშკარავებას ხელს სულაც არ უშლის. ასეთ შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნება საქართველოს ენერგობლოკადა. იანვრის ბოლოს განხორციელებულმა აფეთქებათა სერიამ საქართველო ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. აშკარა იყო, რომ დრო და ადგილი აფეთქებებისა, ისევე როგორც მოსკოვის შემდგომი რეაქცია, უშუალოდ რუსეთის თანამონაწილეობაზე მიუთითებდა.

ასეა თუ ისე, მომდევნო დღეს "სი-ენ-ენ"-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში დიდთოვლობამ დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, რამაც ელექტროენერგიის გარეშე დატოვა მილიონობით ქართველი, რომელთაც ბუნებრივი გაზის არქონის გამო, ისედაც არ ულხინდათ. "სი-ენ-ენ"-ი სავსებით აცდა ან თავი აარიდა რეალური მიზეზის დასახელებას.

რასაკვირველია, ასეთი აცდენა დასავლეთისთვის უნივერსალური არ არის და საგარეო ურთიერთობების საბჭოს ანგარიში სახელნოდებით - "რუსეთის არასწორი მიმართულება: რა შეუძლია და რა უნდა გააკეთოს აშშ-მ" - პირველი პუბლიკაცია არ გახლავთ იმის გამოსააშკარავებლად, რომ რუსეთში რაღაც წესრიგში არ არის. როგორც გავლენიანი გაზეთის "ფაინენშლ თაიმს"-ის მესვეტე ფილიპ სტივენსი აღნიშნავს, "სულ უფრო ძნელი ხდება, თავი მოიტყუო, თითქოს პუტინი, შესაძლოა, მგლად გადაცმული ცხვარი აღმოჩნდეს."

გაგრძელება A3 გვერდზე

ბელარუსული არჩევანი

დიმიტრი ავალიანი

საპრეზიდენტო არჩევნები ბელარუსში შედგა. ეგზიტპოლების მიხედვით, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მოქმედმა პრეზიდენტმა, "ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა" ალექსანდრ ლუკაშენკომ მიიღო. დამკვირვებლები სერიოზულ დარღვევებზე საუბრობენ, ოპოზიცია ქუჩაში გამოდის და მეორე ტურის ჩატარებას ითხოვს.

ლუკაშენკოს პრეზიდენტობას გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ალექსანდრე მილინკევიჩი და დამოუკიდებელი კანდიდატები - კოზულინი და გაიდუკევიჩი ეცილებოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ოპოზიციის ლიდერი მილინკევიჩი დარწმუნებულია, რომ ბელორუსის პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს არცერთი დემოკრატიული ქვეყანა არ ცნობს.

ახალი ბლოკი "24 საათში"

ქახეთში საარჩევნო კომისიები კანონდარღვევით კომპლექტდება

ასეთია "თავისუფალი არჩევნების" შეფასება

"სამართლიანი არჩევნების" კახეთის რეგიონული კოორდინატორი ნანა დევიძე პროტესტს გამოთქვამს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგიონში საოლქო კომისიების დაკომლექტების გამო. თითოეულ ოლქში სახელისუფლებო პარტიის ორი წევრია შეყვანილი, ლაგოდეხში კი საოლქო კომისია "ნაცმოძრაობის" ოფისშია განთავსებული, რაც, დევიძის თქმით, კანონის უხეში დარღვევაა.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო კომისიის წევრები იანვარში ჩატარებული სერთიფიცირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციული გამოცდილების გათვალისწინებით შეარჩია. თუმცა ის ფაქტი, რომ წევრთა შერჩევა ადგილობრივი ამომრჩევლის მიერ ინფორმაციის გადამოწმების გარეშე მოხდა, საოლქო კომისიების დაკომპლექტების გამჭვირვალობას ეჭვქვეშ აყენებს. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ უკვე დაკომპლექტებული საოლქო კომისიები პარტიული წარმომადგენლებისგან თავისუფალი ნამდვილად ვერ აღმოჩნდა. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" კახეთის კოორდინატორის ნანა დევიძის ინფორმაციით, ახმეტის გარდა, კახეთის რეგიონის ყველა რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიებში "ნაციონალური მოძრაობის" სულ ცოტა ორი წევრი მაინც არის. **"მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, რომ კომისიაში არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა მოხვედრილიყო, ისინი პარტიული მიკერძოებისგან თავისუფალნი მაინც არ არიან. ყველა რაიონის საოლქო კომისიას ჰყავს ისეთი პიროვნებები, რომლებიც "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებად მოიაზრებიან. ეს ფაქტი ჩემთვის მიუღებელია. სარჩევნო პროცედურებისადმი უნდობლობა თავიდანვე იწყება, რაც არჩევნების ნორმალური წარმართვისთვის, რა თქმა უნდა, უარყოფითი მომენტია.**

კარგი იქნებოდა, რომ ცსკოს საოლქო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესი გამჭირვალე გაეხადა, ანუ საზოგადოებას სცოდნოდა, ვის ჰქონდა საბუთები შეტანილი (ადგილობრივ დონეზე მათი გადამოწმება ძალზე იოლი იქნებოდა). მე მგონი, რაიონში არც ისე ძნელია 5 ისეთი კანდიდატის მოძებნა, რომელიც ნებისმიერი პარტიისადმი მიუკერძოებელი იქნებოდა და კომისიის წევრობისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა," - აღნიშნავს ნანა დევიძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

გადამწვარი სკოლა და ოლიგარქიული ინტერესები

"ვალერი გელაშვილმა, თუ უნდა სასამართლოში მიჩივლოს, თუ უნდა მარსზე, ქართული პოლიტიკა მაინც არ გახდება ოლიგარქების მძევალი," – ეს განცხადება გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ მეცნიერებისა და განათლების მინიტრ ალექსანდრე ლომაიასთან ერთად, 84-ე სკოლის დათვალიერებისას გააკეთა.

თამარ დვალი

გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ იმ სამომავლო ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს, რომელთა გატარებაც აუცილებელია საიმისოდ, რომ 84-ე სკოლის მოსწავლეებმა სასწავლო პროცესი გააგრძელონ. როგორც ცნობილია, შაბათს, თბილისში, ავლაბარში მდებარე 84-ე საშუალო სკოლას ხანძარი გაუჩნდა. თავდაპირველად ცეცხლი სკოლის სახურავს ნაეკიდა, საიდანაც მთელ შენობაში სწრაფად გავრცელდა.

მართალია, ჯერ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება არ დასრულებულა, თუმცა, თბილისის მერს გიგი უგულავას ეჭვმიტანილი უკვე მაშინ ჰყავდა, როცა ხანძარი ჯერ ჩამქრალიც არ იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

ექსპროპრიაციის კანონის იგნორირებით

"იმელის" შენობის უკან, თაბუკაშვილის ქუჩაზე N50-ში მდებარე სახლის მცხოვრებლებმა გუშინ საპროტესტო აქცია მოაწყვეს. სამშაბათს, მათი ინტერესების დამცველი, ადვოკატი დიმა გაბუნია "კინოს სახლში" პრესკონფერენციას გამართავს. გუშინდელი აქციისა და მომავალი პრესკონფერენციის თემა ერთი და იგივეა – კერძო მესაკუთრეების უფლებების დაცვა. უფრო ზუსტად, ხელისუფლების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენებენ, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საკუთრების უფლება აღიარებულია და მისი ჩამორთმევა დაუშვებელი.

ინგა ალავიძე

საქმე ისაა, რომ თაბუკაშვილის ქუჩაზე №50-ში მდებარე სახლის მცხოვრებლები გაუგებარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. როგორც თავად აცხადებენ, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში იბარებენ და მოითხოვენ, მათ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უარი თქვან – საცხოვრებელი სახლებიდან გამოვიდნენ. სახლი ავარიულია და უნდა დაინგრეს, - ასეთი გახლავთ თბილისის მერიის ვერდიქტი, რომლის საფუძველზეც, თაბუკაშვილის №50-ში მცხოვრებ 22 ოჯახს ქუჩაში გამოყრით ემუქრებიან. არადა, არ არსებობს არც სასამართლო გადაწყვეტილება, არც სახლის ავარიულობის დამადასტურებელი დასკვნა, ან რაიმე სახის სხვა დოკუმენტი, რის საფუძველზეც ექსპროპრიაცია განხორციელდებოდა. მეტიც, ხელისუფლება სახლის მეპატრონეებს კომპენსაციასაც კი არ სთავაზობს.

"ის, რაც ახლა ხდება, ესაა ექსპროპრიაცია – საკუთრების ჩამორთმევა. არადა, ეს საკითხი დარეგულირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით. კონსტიტუციით აღიარებულია ნებისმიერი მოქალაქის კერძო საკუთრების უფლება, ეს არის გარანტირებული უფლება, რომელიც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაიცვას. კონსტიტუციაში ასევე მითითებულია, თუ რა შემთხვევაში შეიძლება კერძო მესაკუთრეს ჩამოერთვას საკუთრება – საუბარია, აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებაზე და მას ცალკე კანონი არეგულირებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

„ქართული ფუნდამენტი" ტუბერკულოზის პრევენციისთვის

ისეთი გლობალური პრობლემის მოსაგვარებლად, როგორიც ტუბერკულოზით დაავადებულთა განკურნებაა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისთვის განეული მცირედი დახმარებაც კი უდაოდ მისასალმებელია. არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ ფუნდამენტს" დაარსებიდან დღემდე ტუბერკულოზის პრევენციისა და კონტროლის კუთხით 7 პროექტი აქვს განხორციელებული.

"ქართული ფუნდამენტის" ამჟამინდელი საქმიანობა, რომელიც USAID-MSCI-ს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, "მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების ჩაბმას ტუბერკულოზის გამოვლენისა და მკურნალობისთვის" ისახავს მიზნად. ამ პროექტში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ჩართულია საპატრიარქოს საინიციატივო ჯგუფიც.

პროექტი თბილისის ორ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონში (ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის) ხორციელდება. როგორც ცნობილია, ტუბერკულოზი აირ-წვეთოვანი გზით გადადის. მისი გავრცელების მაღალი რისკი კომპაქტურად დასახლებულ ადგილებშია. სწორედ ამ კრიტერიუმით შეირჩა ზემოთ ჩამოთვლილი რაიონები. გარდა ამისა, მათ იმავე პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიის მეშვეობით, ყოველთვიურად მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ტუბერკულოზისგან. ეს სოციალური დაავადება ასევე ფართოდაა გავრცელებული დევნილებშიც, რომლებთანაც ასევე საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები მუშაობენ.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მოსახლეობას ხვდებიან და მათ განსწავლას ცდილობენ, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან ტუბერკულოზის დაავადება. პარალელურად ხდება დაავადებულთა გამოვლენაც, რომლებიც შემდგომ სტაციონარულ მკურნალობას გადიან. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც დაავადების შესახებ იცის რაიმე და არც იმის შესახებ, რომ საქართველოში ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმა და მკურნალობა უფასოა.

ცნობილია, რომ როგორც სხვა მრავალი დაავადებისას, ისე ტუბერკულოზით დაავადებულთა მიმართ არსებობს საზოგადოების სტიგმა, რაც თავად დაავადებულებს უქმნის "დისკომფორტს". მათი გარკვეული ნაწილი სწორედ ამ მიზეზით ცდილობს დაავადების დამალვას. "ქართული ფუნდამენტის" პროექტის თანახმად, დაავადებაში "ეჭვმიტანილებს" ურიგდებათ სპეციალური ანკეტები, რომლის შევსება და "ტუბდისპანსერში" ჩაბარება ნებაყოფლობითია. ეჭვის გამართლების შემთხვევაში ანკეტის "ავტორს" დისპანსერის ექიმი თავად უკავშირდება.

24 მარტს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს "ქართული ფუნდამენტს" მოსახლეობის განსწავლისთვის სპეციალურ ბროშურებს დაარიგებს, რომელზეც სიმბოლურად თეთრი გვირილა იქნება გამოსახული. ცნობისთვის, წლების წინ, ვიდრე მედიცინა განვითარდებოდა, ტუბერკულოზით დაავადებულებს გვირილებით მკურნალობდნენ.

24 საათი

ჩატ-სესიის სიკეთე

ნინო ბერელიძე

საერთაშორისო გაცვლებისა და კვლევების საბჭოს ოფისში, ინტერნეტში დაშვებისა და სწავლების პროგრამის ინიციატივით მოეწყო ჩატ-სესია. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოწერილ კითხვებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ უპასუხა. მინისტრის მოადგილეს ინტერნეტის საშუალებით ეკონტაქტებოდნენ მასწავლებლები, სტუდენტები და მოსწავლეები თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ბათუმიდან, თელავიდან და ხაშურიდან. კითხვების უმრავლესობა განათლების რეფორმის მიმდინარეობას შეეხებოდა.

ჩატ-სესიაში მონაწილე საზოგადოებას განსაკუთრებული აინტერესებდა ერთიანი ეროვნული გამოცდების, უმაღლეს საწავლებლების აკრედიტაციის პროგრამები, აკონკრეტებდნენ ინფორმაციას პედაგოგთა ხელფასებისა და გადამზადების პროგრამების შესახებ.

კითხვებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ განათლების რეფორმის პრიორიტეტები ერთნაირად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყველა თაობის ადამიანისათვის.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ საათნახევრის განმავლობაში უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას და სესიაში მონაწილე რეგიონების მოსახლეობას განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებიც გააცნო.

Iatp-ს მიერ განხორციელებული მსგავსი ჩატ-სესიები ხშირად იმართება და მისი მიზანი საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების შესახებ უშუალოდ პირველი პირებისგან ინფორმაციის მიღებაა.

Iatp აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს მიერ დაფინანსებული პროგრამაა, რომელსაც "აირექსი" 1995 წლიდან უწევს საქართველოში ადმინისტრირებას, Iatp უზრუნველყოფს მომხმარებლის ინტერნეტში უფასო დაშვებასა და ტრეინინგებს ცენტრალური აზიის, კავკასიისა და დასავლეთ ევრაზიის 11 ქვეყანაში.

გადამწვარი სკოლა და ოლიგარქიული ინტერესები

პირველი გვერდიდან

უგულავას თქმით, თბილისის 84-ე სკოლა დეპუტატ ვალერი გელაშვილის ინტერესების არეალში მოექცა, რის გამოც, სკოლას ცეცხლი განზრახ წაუკიდეს. უგულავას ინფორმაციით, გელაშვილს ამ სკოლის შენობის შეძენა სურდა, რაზეც უარი მიიღო და, როგორც ჩანს, ამის შემდეგ სკოლის დაწვა განიზრახა.

"უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მშენებლობის წარმომადგენლები ამ სკოლას სვავებივით დასტრიალებდნენ. დეპუტატი ვალერი გელაშვილი თავად იყო ჩართული ამ მოლაპარაკებებში. მას ჰქონდა ინტერესი, რომ სკოლა სხვა ტერიტორიაზე გადასულიყო. ამის შესახებ, გელაშვილმა განათლების სამინისტროსაც მიმართა წერილობით," - აღნიშნა შემთხვევის ადგილზე მისულმა თბილისის მერმა.

როგორც ირკვევა, გელაშვილს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გასულ წლის ოქტომბერში მიუმართავს წინადადებით, რომ 84-ე სკოლისვე ტერიტორიაზე ააგებდა იმავე ღირებულების სკოლას, ოღონდ მისთვის ის ტერიტორია დაეთმოთ, რომელზეც სკოლის შენობა იყო განთავსებული. ამ წინადადებაზე უარის თქმის მიზეზი განათლების მინისტრმა გუშინ ასე ახსნა: **"ჩვენ ვაშენებთ ახალ, თანამედროვე სკოლებს და ძველი 84-ე საშუალო სკოლის ღირებულება ძალიან მინიმალური იქნებოდა, ამიტომ მის ნაცვლად იმავე ღირებულების სკოლის აგება, ჩვენთვის მიუღებელი წინადადება იყო"**.

ხანძრის შედეგად 84 სკოლა სწავლისათვის უვარგისი გახდა.

ამავე დროს, განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო ბიზნესმენის მიმართვა და ამიტომ ურჩია, წერილობით მიემართა ეკონომიკის სამინისტროსთვის, რომელიც გაანკარგავს სკოლის ტერიტორიას.

ქალაქის მერის მტკიცებით, ყველა ფაქტი მოწმობს იმაზე, რომ ხანძარი შეგნებულად არის მოწყობილი. ამ ეჭვს ამძაფრებს ისიც, რომ ხანძარი სწორედ შაბათ დღეს მოხდა, როცა სკოლაში არავინაა.

გუშინვე, გიგი უგულავამ საქართველოს პარლამენტს მოუწოდა, დეპუტატ ვალერი გელაშვილის საქმიანობით დაინტერესდეს და ამ მიზნით დროებითი საგამოძიებო კომისიაც შექმნას.

"პარლამენტარს საკუთარ ბიზნესში პირდაპირი მონაწილეობა ეკრძალება, ამიტომ საქმე გვაქვს კანონის უხეშ დარღვევასთან. მოვითოხოვ, ეს საქმე გამოძიებულ იქნას," - განაცხადა უგულავამ.

როგორც ცნობილია, ხანძარში მონაწილეობის შესახებ თბილისის მერის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს პარლამენტარი ვალერი გელაშვილი აბსურდულს უწოდებს და ცილისწამებისთვის სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. უგულავა კი აცხადებს, სიმართლე ისედაც ნათელია და ოლიგარქების თავნებობას საქართველოში ბოლო უნდა მოეღოს. როგორ დამთავრდება თბილისის მერსა და პარლამენტარს შორის დაწყებული დავა, ახლო მომავალში გაირკვევა.

84-ე სკოლაში 540 ბავშვი სწავლობს. ალექსანდრე ლომაიას განცხადებით, დამწვარი შენობა "სკოლების რეაბილიტაციის პროგრამის" ფარგლებში გარემონტდება. მანამდე კი, ბავშვები დროებით 93-ე სკოლაში, მეორე ცვლაში ისწავლიან.

პროფესიული სტანდარტები და დამოუკიდებლობა

კახეთის მედია თავს იცავს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთში მოქმედი დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები საკუთარი ფინანსური შემოსავლების დეკლარირებას საჯაროდ ახდენენ. ამის მიზეზი ბოლო დროს სხავადასხვა ინტერნეტ გამოცემებში გავრცელებული არასწორი ინფორმაციები სახელდება, სადაც რეგიონის დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლებს ხელისუფლების მიერ პრივატიზებულ ჟურნალისტებს უწოდებენ.

"მრგვალი მაგიდა", რომელმაც ესოდენ დიდი აყიოტაჟი გამოიწვია.

როგორც გაზეთების - "სპექტრის" და "კახეთის ხმის", ასევე სამაუწყებლო კომპანია "ჰერეთის" მიერ ერთობლივად მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ გაზეთ "იმედის" მთავარი რედაქტორი გელა მთივლიშვილი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მას საცხოვრებელ სახლში ხელყუმბარებს მაღალჩინოსანთა და პოლიციელთა დაკვეთებით უგდებედნენ, ამის ორგანიზატორი თავადვე აღმოჩნდა. **"ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 2005 წელს კახეთის რეგიონში ჟურნლისტის მიმართ ყველაზე გახმაურებული დანაშაულების ავტორი თავად დაზარალებულია,"** - აღნიშნულია დასკვნაში. ამის არგუმენტად საგამოძიებო ჯგუფს ინკოგნიტო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია მოყავს. **"ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც ვინაობის დასაელებისგანს თავი შეიკავა, გვაცნოვა, რომ ჟურნლისტის სახლში მომხდარი F 1 ხელყუმბარის აფეთქება ორგანიზებული იყო გელა მთივლიშვილის ბიძაშვილის, ალიკა მთივლიშვილის მიერ,"** - აცხადებს ჟურნალისტთა საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი მაია მამულაშვილი.

სკანდალური დასკვა საგამოძიებო ჯგუფმა, რამდენიმე დღის წინ თელავში, გაზეთ "სპექტრისა" და "ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" მიერ გამართულ მრგვალ მაგიდასთან სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, რეგიონის ხელმძღვანელობას და მედიის წარმომადგენლებს გააცნო, რასაც გელა მთივლიშვილის და რამდენიმე ჟურნალისტის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოყვა. გაზეთ "იმედის" რედაქტორის განცხდებით, **"ჟურნალისტთა საგამოძიებო ჯგუფის წევრებს თავიდანვე ქონდათ განზრახული გაზეთის და მისი რედაქტორის მორალური დისკრედიტაცია, გამომდინარე გამომცემლებს შორის არაჯანსაღი კონკურენციისდან. ამიტომაც ეს ადამიანები, გაურკვეველ სანდო წყაროზე დაყრდნობით, პროკურატურისა და პოლიციის ხელმძღვანელობაზე დაყრდნობით, სისტემატიურად ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ჟურნალისტი პიარ-კამპნიის მიზნით სისტემატიურად ახდენდა ამ ფაქტების ინსცენირებას."** ადამიანის უფლებების საინფორამციო ცენტრის ინტერნეტგამოცემაში საგამოძიებო ჯგუფში მონაწილე ადამიანები ხელისუფლების მიერ პრივატიზებულ ჟურნალისტებად არიან მოხსენიებული.

აღნიშნულის გამო, "ჰერეთმა", "კახეთის ხმამ" და "სპექტრმა" მედიცენტრ "კახეთში" სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ასეთი სახის განცხადება გაავრცელეს: **"ჩვენ, დამოუკიდებელი მედია საშუალებების წარმომადგენლები, ხელისუფლებას მივმართავთ, საჯაროდ განაცხადოს საკუთარი მედიასაშუალებების დაფინანსების წყაროების შესახებ და შეწყვიტონ მედიასაშუალებათა დისკრედიტაცია, აგდებული და ცინიკური დამოკიდებულება ჟურნალისტების მიმართ. ვინაიდან არაცერთი ჩვენთაგანი არ ფინანსდება ბიუჯეტის თანხებით, რის დეკლარირებასაც თქვენს წინაშე ვახდენთ. მოვითხოვთ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესის შესაბამისად, კახეთის რეგიონის რვა რაიონის მმართველობამ და თვითმართველობამ, აგრეთვე სამხარეო ადმინისტრაციამ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მოგვაწოდოს ინფორმაცია 2005 წელს რომელი მედია ორგანიზაცია, რა თანხით დაფინანსდა, რადგან ერთხელ და საბოლოოდ გაეცეს პასუხი საზოგადოებაში გაჩენილ ყველა კითხვას და გაირკვეს, თუ ვინ არის ეგრთ წოდებული პრივატიზებული მედიაკომპანია ან ჟურნალისტი... ჩვენ ვემიჯნებით პრესას, რომლიც არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს, რითაც ჩრდილს აყენებს როგორც საზოგადოებას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს და კახეთის რეგიონში დამოუკიდებელ, პროფესიული სტანდარტებით მომუშავე მედიასაშუალებებს".**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს დროშების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1. ლოტი - საქართველოს სახ. დროშა 1X1,5 - 500ც (მაღალი ხარისხის), საქართველოს სახ. დროშა 1X1,5 -5000ც, საქართველოს სახ. დროშა 1.15X1,75 -500ც, საქართველოს სახ. დროშა 2X3 -300ც, თბილისის დროშა 1,X1,5 - 100 ც.

2.ლოტი - უცხოური ქვეყნების დროშები:

I კატეგორია 1X1,5 - 1600ც.
I კატეგორია 1,15X1,75 - 200ც.
II კატეგორია 1X1,5 - 1600ც.
II კატეგორია 1,15X1,75 - 200ც.
III კატეგორია 1X1,5 - 1600ც.
III კატეგორია 1,15X1,75 - 200ც.
IV კატეგორია 1X1,5 - 1600ც.
IV კატეგორია 1,15X1,75 - 200ც.
საავტომობილო დროშები (სხვადასხვა ქვეყნის) - 70 ც.

2.. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: I პოზიციაზე მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ან ეტაპპრივად 2006 წლის 1 ივლისამდე, II პოზიციაზე მიწოდება განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მიერ კონკრეტული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

მისაწოდებელი პროდუქციის კატეგორიები განისაზღვრება მისი დამზადების საჭირო სამუშაოებისა და ტექნოლოგიების სირთულის მიხედვით მაგალითად:

I კატეგორია - რუსეთის სახ. დროშა, უკრაინის სახ. დროშა, იტალიის სახ. დროშა, გერმანიის სახ. დროშა, საფრანგეთის სახ. დროშა, ფინეთის სახ. დროშა, პოლონეთის სახ. დროშა, შვედეთის სახ. დროშა, სომხეთის სახ. დროშა და ა. შ.

II კატეგორია - საქართველოს სახ. დროშა, ჩეხეთის სახ. დროშა, თურქეთის სახ. დროშა, იაპონიის სახ. დროშა, ჩინეთის სახ. დროშა, ესპანეთის სახ. დროშა, სერბეთის სახ. დროშა და ა. შ.

III კატეგორია - საბერძნეთის სახ. დროშა, თურქმენეტის სახ. დროშა, უზბეკეთის სახ. დროშა, აზერბაიჯანის სახ. დროშა, ყირგიზეტის სახ. დროშა, ჩ. კორეის სახ. დროშა, ბოსნიის სახ. დროშა, სლოვენიის სახ. დროშა, სლოვაკეთის სახ. დროშა და ა. შ.

IV კატეგორია - დიდი ბრიტანეთის სახ. დროშა, აშშს სახ. დროშა, ს. აფრიკის სახ. დროშა, მექსიკის სახ. დროშა, ირანის სახ. დროშა, ყაზახეთის სახ. დროშა, ს. კორეის სახ. დროშა, მოლდოვის სახ. დროშა, პორტუგალიის სახ. დროშა და ა. შ.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 10 აპრილის 12 საათიდან 10 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერისს კეთილმოწყობის სამსახური.

4. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალუ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დაკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 21 მარტის 12 საათიდან 10 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი- საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

ორი სიტყვით

თბილისი. კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონი ერაყში გასამგზავრებლად ემზადება. 330 სამხედრო მოსამსახურე სამშვიდობო ოპერაციის წინა მოსამზადებელ კურსს კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში გადის. წვრთნის პროცესი ხუთ კვირას გასტანს. ბატალიონის პირად შემადგენლობას 26 ქართველი ოფიცერი მოამზადებს. სამხედროები ტერორისტთა აღმოჩენის შემთხვევაში მათ განიარაღებასა და დაკავებას, ასევე, დასახლებული პუნქტების პატრულირებას შეისწავლიან. წვრთნის პროცესში ბატალიონი ომის კანონის თეორიულ საკითხებსაც გაეცნობა. წინამოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, მაისში, ბატალიონი ერაყში გაემგზავრება, სადაც მეორე ბრიგადის 23-ე ბატალიონს ჩაენაცვლება. ისინი სამშვიდობო მისიას ქალაქ ბაქუბაში ექვსი თვის მანძილზე შეასრულებენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, ვიცესპიკერის, მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, მოსკოვში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ელენე თევდორაძე, ირაკლი კოვზანაძე, გოჩა ჯოჯუა და სხვები. ქართველი დეპუტატები რუსეთის დედაქალაქში სახელმწიფო სათათბიროს მიწვევით გაემგზავრნენ. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წევრები მოსკოვში შეხვედრებს რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობასთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან გამართავენ. საუბრის თემა რუსულ-ქართული ურთიერთობები იქნება. დელეგაცია საქართველოში 24 მარტს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დღეს, ოფიციალური ვიზიტით, საფრანგეთში მიემგზავრება. ნინო ბურჯანაძე საფრანგეთში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, პარლამენტის ორივე პალატის ხელმძღვანელობას და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს შეხვდება. პარლამენტის თავმჯდომარის საფრანგეთში ვიზიტი ხუთდღიანია. ნინო ბურჯანაძე თბილისში 24 მარტს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

სერბეთი. იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი მშობლიურ ქალაქში, პოჟარევცში, ოჯახის კუთვნილ ტერიტორიაზე დაკრძალეს. დაკრძალვას მხოლოდ ოჯახის წევრები, რამდენიმე ნათესავი და საზღვარგარეთელი სტუმარი ესწრებოდა. პოჟარევცის მთავარ მოედანზე და მილოშევიჩის სახლის წინ რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა. ცერემონიის დროს ორი ადამიანი გარდაიცვალა, 60-ზე მეტი კი ქრონიკული დაავადებების გართულებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ორი ადამიანი სლობოდან მილოშევიჩის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად დაშავდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

საფრანგეთი. ფრანგი სტუდენტების პროტესტს პროფკავშირების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. მასობრივი არეულობები პარიზში შაბათს ღამით დაიწყო. ნასიონის მოედანზე 80-დან 350 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. სტუდენტების გამოსვლები საფრანგეთის ხელისუფლების მიერ "პირველი შრომით ხელშეკრულების " შესახებ კანონის მიღებამ გამოიწვია. კანონის მიხედვით, დამქირავებელს უფლება ეძლევა, 26 წლზე ახალგაზრდა თანამშრომელი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლოს სამსახურიდან. შეტაკებების შედეგად, რომელმაც ორ საათს გასტანა, პოლიციის 4 ოფიცერი და 12 დემონსტრანტი დაშავდა. დაკავებულია 60-მდე მოქალაქე. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

რუსეთის არასწორი მიმართულება აქვს არჩეული

პირველი გვერდიდან

ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ საგარეო ურთიერთობების საბჭომ კონკრეტული სახელმწიფო დაასახელა. საგარეო ურთიერთობების საბჭო კი აშშ-ს საგარეო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ყველაზე გავლენიანია. ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც ზემოაღნიშნული ანგარიში მოამზადა, საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც თავის დროზე რუსეთთან ამერიკის ქიმერული სტრატეგიული პარტნიორობის არქიტექტორებად იწოდებოდნენ.

მეტიც, ანგარიში ზუსტად დროულად გამოქვეყნდა, მაშინ, როდესაც დასავლეთმა, როგორც იქნა, ნათლად დაინახა რუსეთის, ჩვეულებრივ, კარგად შენიღბული მახინჯი სახე. კრემლის როლი ახალ წელს უკრაინისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტაში ხმამაღლა გაცხადდა, რამაც ტალღისებური რეაქცია აშშ-შიც გამოიწვია.

საგარეო ურთიერთობების საბჭოს მესვეურები სულაც არ ცდილობენ აშშ-სა და რუსეთის სტრატეგიული ურთიერთობების აღდგენას, როგორც ოდესღაც. პირიქით, ისინი წერენ, რომ "სტრატეგიული პარტნიორობა უკვე რეალური ვეღარ იქნება". აშშ-მ თანმიმდევრულად უნდა გაატაროს "შერჩევითი თანამშრომლობის" პოლიტიკა. როგორ იქნება მიღებული 2006 წლის უმთავრესი გამოწვევები, ამას ზემოაღნიშნული ანგარიშის გავლენა გვაჩვენებს.

რაც შეეხება რუსეთის მიერ ენერგორესურსების პოლიტიკურ იარაღად გამოყენებას, საგარეო ურთიერთობების საბჭო რამდენიმე პრობლემას ასახელებს: ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გამოყენებით, რათა შეზღუდოს აშშ ცენტრალური აზიის ბაზების გამოყენების საკითხში, და "ჰამას"-ის მიწვევა მოსკოვში; დასავლური კომპანიებისათვის არახელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნა; ჩინეთისათვის იარაღისა და უმაღლესი სამხედრო ტექნოლოგიების მიყიდვა და ისეთ მეზობელ სახელმწიფოებში, როგორებიცაა უკრაინა და საქართველო, დემოკრატიის განვითარებისათვის ხელის შეშლა.

ყველაფერი ეს კი ხაზგასმით მიუთითებს პუტინის რუსეთის ავტორიტარულობასა და სახელმწიფოებრივ გახრწნაზე. რუსეთში დემოკრატია ფასეულობათა აღრევაში გამოიხატება, რასაც თავისი პრაქტიკული ახსნაც აქვს. და კიდევ ერთი პრობლემა, რასაკვირველია, რუსეთის საარჩევნო კალენდარია - 2007 წელს დაგეგმილია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, ხოლო 2008-ში - საპრეზიდენტო. თუ პუტინის მემკვიდრის სავარაუდო სისუსტესაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ვითარება რუსეთში გაცილებით უარეს სახეს მიიღებს. შერჩევითი თანამშრომლობა კი რუსეთთან აშშ-ს პერიოდული დაახლოება იქნება.

პრაქტიკულად, რას შეიძლება ეს ნიშნავდეს? ყველაზე ფართო გაგებით აშშ უკვე ჩაბმულია შერჩევით თანამშრომლობაში, რადგან იგი მხარს უჭერდა საქართველოში "ვარდების რევოლუციას", ხოლო უკრაინაში "ნარინჯისფერ რევოლუციას"; გარდა ამისა, აშშ წვრთნის საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, მხარს უჭერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენს. გასულ კვირას აშშ-ს ენერგეტიკის მდივანი სემუელ ბოდმენი ასტანაში იმყოფებოდა, რათა დაერწმუნებინა ყაზახეთი, თავისი ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეშვეობით გაეტანა. ამან ძალიან გააღიზიანა მოსკოვი, მაგრამ ვაშინგტონმა პოზიცია არ შეცვალა. სხვა კუთხით კი, ესაა ტერორიზმის მხარდაჭერა და ირანის საკითხი.

შერჩევითი თანამშრომლობა, უბრალოდ, პოლიტიკა კი არა, მიდგომის ცვლილებაა. საგარეო ურთიერთობების საბჭო არამარტო არსებული შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობას ცდილობს, არამედ ძალას არ იშურებს, დაიცვას ამერიკის ინტერესები იქ, სადაც მოსკოვისა და ვაშინგტონის პოლიტიკა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. უფრო მარტივად რომ ითქვას, ვაშინგტონი თანამშრომლობას უნდა ცდილობდეს, მაგრამ რუსეთის გაღიზიანების ყოველ გამოვლენაზე მძაფრი რეაქცია არ უნდა ჰქონდეს.

სამწუხაროდ, როგორც საგარეო ურთიერთობების საბჭო აღნიშნავს, რუსეთთან თანამშრომლობა გამონაკლისს, ნორმიდან გადახვევას ჰგავს. ამ შემთხვევაში შერჩევითი თანამშრომლობა უფრო აშშ-ს მხრიდან ზეწოლა უნდა იყოს საკუთარი ინტერესების დასაცავად. მართალია, ეს ანგარიშში შავით თეთრზე არ წერია, მაგრამ ლოგიკური დასკვნა ასეთია.

საგარეო პოლიტიკის გამოწვევები - ენერგეტიკა და რუსეთის მეზობელი სახელმწიფოები - საუკეთესო ინდიკატორები იქნება.

ყველაზე რთული საკითხი კი რუსეთის თავმჯდომარეობაა "დიდ რვიანში" - სანკტ-პეტერბურგის სამიტი მომავალი წლის ივლისშია დაგეგმილი. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განზრახვას, არ დაესწროს სამიტს, საგარეო ურთიერთობების საბჭო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. პირიქით, როგორც სტივენსის სტატიის სათაურშია ნათქვამი, "პუტინთან სადილი პირში წყლის ჩაგუბების აუცილებლობას არ ნიშნავს."

ენერგოუსაფრთხოების პრობლემა აუცილებლად შევა სამიტის დღის წესრიგში და ჯორჯ ბუშმა ღიად უნდა დააყენოს საკითხი უკრაინისთვის, საქართველოსა და მოლდოვისთვის ენერგორესურსების მიწოდებისა და უსაფრთხოების შესახებ. ეს იქნება პუტინის დამოკიდებულების რეალური გამოცდა. მოსკოვს თანამშრომლობა ხელს უნდა აძლევდეს, რადგან თუ იგი კვლავ არასაიმედო ენერგომიმწოდებლად დარჩება, "დიდი შვიდეული" ამას ხმამაღლა განაცხადებს.

სამიტის გამართვამდე კი თეთრი სახლი აუცილებლად ამცნობს პუტინს, რომ ჯორჯ ბუში სანკტ-პეტერბურგში დასვამს საკითხს, გადაწყდეს კონფლიქტები მთიან ყარაბაღში, სამაჩაბლოში, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა საბოლოოდ უნდა გაიყვანოს ჯარები საქართველოდან და მოლდოვიდან 1999 წლის სტამბოლის შეთანხმების გათვალისწინებით.

"დიდი რვიანის" სამიტი ემთხვევა საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილ ვადებს, ოდესაც უნდა მოხდეს აფხაზეთში ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ძალების როლის გადახედვა. ბუში თავის შვიდ კოლეგასთან ერთად განიხილავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის საკითხს. რიგმა სახელმწიფოებმა უკვე გამოხატეს თავიანთი ნება, ინტერნაციონალიზებულ სამშვიდობო ძალებში მონაწილეობა მიიღონ.

თანაც, როგორც საგარეო ურთიერთობების საბჭოს ანგარიშშია აღნიშნული, მეზობელ ქვეყნებზე რუსეთის ზეწოლის შესუსტებისთვის აშშ-მ რაც შეიძლება უნდა დააჩქაროს ამ ქვეყნების ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებში. ვაშინგტონმა თავის მოკავშირეებზე ზეგავლენა უნდა იქონიოს, რათა მათ საქართველოს ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმა უკვე მიმდინარე წლის ბოლოს შესთავაზონ. ეს არამარტო საქართველოს, არამედ ნატო-ს 26 წევრის ინტერესებშიც შედის.

ეს ყველაფერი ცოტა რთული ჩანს, მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობები შეძლებისდაგვარად დარეგულირდეს. მანამდე კი, ვიდრე ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის აღქმითი სტრატეგიული ინტერესების თანხვედრაა, პარტნიორობა შეიძლება ეფემერული დარჩეს. შერჩევით თანამშრომლობას შეიძლება აშშ-ს დაჟინებითი დიპლომატიის ელფერი უფრო ჰქონდეს, ვიდრე ჭეშმარიტი ურთიერთგაგებისა. ღიად რომ ითქვას, ეს არც ამერიკისთვის არის კარგი, არც რუსეთისთვის და, ბოლოს, არც საქართველოსთვის.

რეალურად, ამ საკითხებზე ზეწოლა აშშ-სა და საქართველოს ინტერესებში დევს, მაგრამ აბსოლუტურად საწინააღმდეგოა რუსეთის ინტერესებისა. დღეს კი მოსკოვში ამას ცოტა თუ ამჩნევს, რუსეთმა უნდა ისარგებლოს შედეგიანი სტაბილურობით - აშშ-სთან, დასავლეთის ქვეყნებთან, საქართველოსა და სხვა მეზობლებთან თანამშრომლობით. მხოლოდ კრემლის გადასაწყვეტია, შერჩევითი თანამშრომლობის როგორ ფორმას აირჩევს.

ბელარუსული არჩევანი

პირველი გვერდიდან

ბელარუსის სიციოლოგიური სამსახურების მონაცებებით, გამოკითხულ ამოიმრჩეველა 83-84 პრტოცენტმა ხმა ალექსანდრ ლუკაშენკოს მისცა, ოპოზიციონერ კანდიდატთა ხმები კი 1,8-დან 2,5 პროცენტამდე მერყეობს.

არჩევნები შემდგარად უკვე დღის 12 საათზე გამოაცხადეს. ცენტრალური სარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამ დროისთვის ხმა ამიმრჩეველთა 51 პროცენტმა მისცა. მთავარი წვლილი ამგვარ ოპერატიულობაში ხმის წინასწარ მიცემას მიუძღვის. ჯერ კიდევ არჩევნების დღემდე საკუთარი არჩევანი, ოფიციალური მონაცემებით, ამომრჩეველთა 31 პროცენტზე მეტმა გააკეთა. ამგვარმა ანომალურმა შედეგმა გაკვირვება რუს დამკვირვებლებშიც კი გამოიწვია, თუმცა ბელარუსის ცენტრალური საარჩევნოო კომისიის ხელმძღვანელობა ამაში განსაკუთრებულს არაფერს ხედავს. ცენტრალური საარჩევნო კიმისიის ხელმძღვანელმა ლიდია ერმოშინამ ამომრჩერველთა ასეთი აქტიურობა "აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საქმიანობას" დააბრალა.

დამკვირვებლის, რუსეთის დუმის დეპუტატის ვლადიმირ რიჟკოვის თქმით, ხელისუფლებამ საარჩევნო ადმინისტრაციას წინასწარ ხმის მიცემაში ამომრჩეველთა არანაკლებ 60 პროცენტის მონაწილეობის უზრუნველყოფა დაავალა.

საარჩევნო უბანზე მისულმა ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ **"არჩერვნებს ბელარუსში ჩვენთვის ვატარებთ. თავად ბელარუსი ხალხი გადაწყვეტს, ვინ იქნება პრეზიდენტი. დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნების შედეგად დავინახავთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს პატრონი ჩვენი ხალხია."**



ნეტა ვის მისცა ხმა ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა?

ლუკაშენკო არ ეთანხმება განცხადებებს იმის შესახებ, რომ საარჩევნო კამპანიის ყველა მონაწილე თანაბარ პირობებში არ იმყოფებოდა. **"როცა კონკრეტული ფაქტები იქნება, მაშინ ვილაპარაკოთ. ბრალდებებს კი უკვე 10 წელია ვისმენ,"** - განაცხადა ლუკაშენკომ.

ლუკაშენკომ ოპოზიციაც გააფრთხილა: **"ქვეყნის ხელისუფლება ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს ოპოზიციის პროვოკაციებზე, იმის მიხედვით, როგორ განვითარდება სიტუაცია."** მისი თქმით, ოპოზიციის მოწოდება საღამოს ქუჩებში გამოსვლისკენ ადამიანების შეშინებისკენ არის მიმართული, თუმცა, მისი აზრით, მსგავსი არაფერი მოხდება.

ოპოზიციონერი კანდიდატის, ალექსანდრ მილინკევიჩის განცხადებით, ოფიციალური მონაცემები მოქმედი პრეზიდენტის 80 პროცენტიანი მხარდაჭერის შესახებ არ იქნება აღიარებული ბელარუსის მოსახლეობის მიერ. **"თუნდაც ნაწილობრივად თანასწორი, სამართლიანი არჩევნების პირობებში მეორე ტური უბრალოდ გარდაუვალია,"** - განაცხადა მილინკევიჩმა.

"მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიული ქვეყნები ამ არჩევნებს არალეგიტიმურად ცნობენ," – აცხადებს კანდიდატი. მისი თქმით, ამ არეჩევნებს თან ახლდა დიდი სიძნელეები, რადგან ოპოზიციის საოლქო და რაიონული სტრუქტურების პრაქტიკიულად ყველა აქტივისტი დაპატიმრებულია. **"საარჩევნო კამპანიის პერიოდში ჩვენი შტაბების სამასზე მეტი აქტივისტი დაკავებულია, ოცდაათი ჩემი ნდობით აღჭურვილი პირიდან ხუთი ციხეშია,"**- განაცხადა მილინკევიჩმა.

მისი თქმით, **"არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ადამიანთა გონებაშია. ისინი გათავისუფლდნენ შიშისაგან, უფრო თამამები და აქტიურები გახდნენ, ქვეყანა უფრო პოლიტიზებული გახდა."** მას იმედი აქვს, რომ ბელარუსში **"თავისუფლება, სიმართლე და სამართლიანობა გაიმარჯვებს."** მან თავის მხარდამჭერებს საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად საღამოს აქციაზე შეკრებისკენ მოუწოდა.

ხმის მიცემის პროცესში დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა გუშინ რამდენიმე ასეული დარღვევა დაფიქსირეს, თუმცა ლუკაშენკოს მხარდამჭერებმა და დსთ-ს ზოგიერთმა დამკვირვებელმა "გამოავლინეს" ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დარღვევებიც.

დსთ-ს დამკვირვებელთა მისიამ ტრადიციული დადებითი დასკვნის "გამოცხობა" გუშინ ჯერ კიდევ ხმის მიცემის დასრულებამდე მოასწრო. **"არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობას შეესაბამება, სერიოზული დარღვევები, რომლებსაც ხმის მიცემის შედეგებზე გავლენის მოხდენა შეეძლო, არ გამოვლენილა,"** – განაცხადა დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელმა ვლადიმირ რუშაილომ.

გუშინ მინსკში ერთმანეთს ეუთო-სა და დსთ-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები შეხვდნენ. რუშაილოს განცხადებით, **"რიგ საკითხებზე ჩვენი და ეუთოს შეფასებები ერთმანეთს არ ემთხვევა."** ეუთო-ს მისია საკუთარი აზრის ოფიციალურად დაფიქსირებას გუშინ არ ჩქარობდა.

მთელი დღე ბელარუსის დედაქალაქში მიმდინარეობდა სამზადისი საღამოს დაგეგმილი საპროტესტო აქციისათვის. ოპოზიციის აქტივისტები ინტერნეტში აქვეყნებდნენ ინსტრუქციებს აქციების მონაწილეთათვის – როგორ უნდა გადაადგილდნენ ქალაქში, როგორ მოიქცნენ სამართალდამცავთა და პროვოკატორთა თავდასხმის შემთხვევაში და ა. შ. ხელისუფლების სამზადისი სამართალდამცავი ორგანოების მობილიზებაში და ქალაქის შესასვლელების გაძლიერებულ კონტროლში გამოიხატა.

არჩევნების ოფოციალური შედეგები 10 დღეში გახდება ცნობილი.

კახეთში საარჩევნო კომისიები კანონდარღვევით კომპლექტდება

პირველი გვერდიდან

როგორც "სამართლიანი არჩევნები" აცხადებს, ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისია "ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის შენობაშია განთავსებული, რაც ორგანული კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტები აქვს თვით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. გიზო მჭედლიძე, რომელიც თავად მონაწილეობდა საოლქოს საარჩევნოს კომისიის წევრების შერჩევაში, ამბობს, რომ საოლქო კომისიის ყველა წევრი უპარტიოა. **"თუ აქვთ იმის მტკიცებულება, რომ კომისიის წევრები მართლაც სახელისუფლებო პარტიის წევრები არიან, გადმოგვცენ, ან სასამართლოს მიმართონ და თუ წავაგეთ, ჩვენ მიერ დამტკიცებულ წევრებს უფლებამოსილებას შევუწყვეტთ. რაც შეეხება დანარჩენს, ჩვენი წარმომადგენლობა ჩავა რეგიონში და შეისწავლის ვითარებას,"** - ამბობს ჩვენთან სატელეფონო სდაუბარში ცენტრალური კომისიი წევრი გიზო მჭედლიძე.

რაც შეეხება სიებს, "სამართლიანი არჩევნების" კახეთის კოორდინატორს მიაჩნია, რომ საოლქო კომისიები შეძლებენ სიების შედგენის რთულ პროცესს თავი გაართვან. მათი გადამოწმების მიზნით კი, ორგანიზაცია გარკვეული სახის ღონისძიებებს გეგმავს. **"მიუხედავად ყველაფრისა, იმედი მაქვს, რომ საოლქო კომისიებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას შევძლებთ. ჩვენ მოვაწყობთ სიების აუდიტის პროექტის პრეზენტაციას, რომელშიც ჟურნალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას,"** - აცხადებს სამართლიანი არჩევნების კოორდინატორი.

საოლქოს საარჩევნო კომისიები კახეთში სრულ სახეს 20 მარტს მიიღებენ, რადგან ამ რიცხვში მოხდება უკვე საოლქოს თავმჯდომარეების არჩევა და მას თვით ცენტარალური საარჩევნო კომისიი თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ღონღაძე მიადევნებს თვალს.

DEZA DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DDC DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DSC DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SDC SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
COSUDE AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN

Staatssekretariat für Wirtschaft
Secrétariat d'Etat à l'économie
Segretariato di Stato dell'economia
State Secretariat for Economic Affairs
seco

SWISS REGIONAL COOPERATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS
Embassy of Switzerland

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".

კურსი ჩატარდება 2006 წლის 29 აპრილიდან 13 მაისამდე ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 21 მარტი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

http://www.cabir.org/news.htm

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პროექტის კოორდინატორს ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტში, ბატონ ალი არბიას ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

მოკლედ

"დემოკრატიული ფრონტი" ფინანსთა მინისტრს იბარებს

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" ფრაქციის დღევანდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრს ლექსო ალექსიშვილს იბარებს. მინისტრი პროცედურის დაცვითაა მიწვეული, მას ფრაქციამ წერილობითი შეტყობინებაც გაუგზავნა.

"დემოკრატიული ფრონტი" საკონტროლო სალარო აპარატებთან დაკავშირებით, საკუთარ საკანონმდებლო ინიციატივას ფინანსთა მინისტრთან ერთად განიხილავს. "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" საკონტროლო სალარო აპარატების დადგმის ვალდებულებისაგან გარკვეული კატეგორიის მოვაჭრეთა განთავისუფლებას ორი თვით მოითხოვენ. "ორი თვის განმავლობაში კი პარლამენტმა "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებები უნდა შეიმუშაოს, რომლითაც აღნიშნული კატეგორიის მოვაჭრეებისათვის ფიქსირებული გადასახადი დაწესდება," - განაცხადა ფრაქციის წარმომადგენელმა კახა კუკავამ.

ფრაქციის აღნიშნული ინიციატივა ყველა წამყვანმა კომიტეტმა დაიწუნა, თუმცა კომიტეტების უარყოფითი დასკვნები საკითხის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანას ვერ აფერხებს.

ინტერპრესნიუსი

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი თბილისში

თბილისს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პეტერ სემნები ესტუმრა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვალერი ჩეჩელაშვილის განცხადებით, სამდღიანი ვიზიტის მსვლელობისას სემნები შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს და საგარეო საქმეთა მინისტრ - გელა ბეჟუაშვილს.

ამავე წყაროს ცნობით, 46 წლის შვედი დიპლომატი სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას რეკომენდაციით დაინიშნა.

ამ პოსტზე დანიშვნამდე პეტერ სემნები ხორვატიაში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი იყო, უფრო ადრე ხელმძღვანელობდა ეუთოს მისიას ლატვიაში, იყო შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სპეციალისტი, მუშაობდა შვედეთის დიპლომატიურ მისიებში გერმანიასა და უკრაინაში, 1992 წელს საქართველოში ეუთოს მისიის პირველი შემადგენლობის წევრი გახლდათ.

სემნები ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ და სერბულ ენებს.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის თანამდებობა 2003 წლის ივლისში შეიქმნა. ადრე ამ ადგილზე ფინელი დიპლომატი ჰაიკი ტალვიტიე მუშაობდა.

ჯი-ეიჩ-ენი

ბელარუსში დაკავებული ქართველი პარლამენტარები სამშობლოში დაბრუნდნენ

ბელარუსში დაკავებული ქართველი პარლამენტარები სამშობლოში მინსკი-თბილისის რეისით დაბრუნდნენ. დეპუტატთა შვიდკაციანი დელეგაცია ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნებს დამკვირვებლის სტატუსით უნდა დასწრებოდა, თუმცა ისინი ქვეყანაში არ შეუშვეს.

"ბელარუსმა სამართალდამცავებმა ეჭვი შეიტანეს, რომ ჩვენი პასპორტები ყალბი იყო. ეს კი, რა თქმა უნდა, აბსურდია, რადგან ამ პასპორტებით მთელი მსოფლიო გვაქვს შემოვლილი. ჩვენი დაპატიმრების ოფიციალურ მიზეზადაც ესწორედ ეს დასახელდა," - განაცხადა ბიძინა ბრეგაძემ.

მისი თქმით, ქართული დელეგაცია დანარჩენი მგზავრებისაგან აეროპორტში ჩასვლისთანავე გამოაცალკევეს და თითოეულს ოთხკაციანი დაცვა მიუჩინეს.

"სამი დღის განმავლობაში აეროპორტში, ფაქტობრივად, დაპატიმრებული ვიყავით და ჩვენთან შეხვედრის საშუალებას არავის აძლევდნენ. ფიზიკური ზემოქმედება არ ყოფილა. თუმცა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. სრულ საინფორმაციო ვაკუუმში ვიმყოფებოდით," - განაცხადა ბრეგაძემ.

დეპუტატის განცხადებით, ბელარუსის ხელისუფლებამ, ქვეყანაში მოსალოდნელი ტერორისტული აქტების შიშით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. "ამ კუთხით დეპუტატ გივი თაგამაძის გვარიც ფიგურირებს და ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით მოწმეების სტატუსით დაგვკითხეს," - განაცხადა ბრეგაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

მიხეილ სააკაშვილი ბელარუსიდან დაბრუნებულ პარლამენტარებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში ბელარუსიდან დაბრუნებულ ქართველ დეპუტატებს შეხვდა. პრეზიდენტმა დეპუტატებისაგან დეტალურად მოისმინა მათი დაკავების შესახებ ინფორმაცია. როგორც პარლამენტარებმა პრეზიდენტს განუცხადეს, მინსკის აეროპორტში ჩასვლისთანავე, ისინი ბელარუსმა სამართალდამცავებმა "სასაცილო და აბსურდული ბრალდებებით დააკავეს".

"თითქმის 24 საათის განმავლობაში არ მოგვცეს საშუალება, ერთმანეთი გვენახა. ჩვენ ცალ-ცალკე ოთახებში ვიყავით მოთავსებული და ჩვენი მონახულების საშუალებას ქართველ დიპლომატებსაც არ აძლევდნენ," - განუცხადა დავით კირკიტაძემ პრეზიდენტს.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი პოლიტიკურად გაბედული პიროვნებები არიან და ყველანაირ ფსიქოლოგიურ ზეწოლას უძლებენ.

"მე ვამაყობ თქვენით, ეს არის ჩვენი საერთო ბრძოლა. ეს არის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ამაზე დიდი ომები გვაქვს გადასატანი, რაშიც თქვენი იმედი მაქვს," - აღნიშნა სააკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

კანონი „არბიტრაჟის შესახებ" - პირველი მოსმენით

რამდენიმე დღის წინ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ პირველი მოსმენით მიიღო "არბიტრაჟის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის სამინიტროში მომზადდა.

"კანონპროექტის შემუშავება ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის აუცილებლობამ განაპირობა. მოქმედი კანონი "კერძო არბიტრაჟის შესახებ" ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც დღევანდელ პირობებში ეკისრება არბიტრაჟს – კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას", - აცხადებენ კანონპროექტის ავტორები.

პროექტის თანახმად, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება არის იურიდიული პირი, რომელიც, უშუალოდ ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით, განიხილავს საარბიტრაჟო დავებს და ორგანიზებას უწევს მასთან დაკავშირებულ პროცედურებს. საარბიტრაჟო დაწესებულება უფლებამოსილია განიხილოს კერძო ხასიათის ქონებრივი დავები.

კანონპროექტის მიხედვით, გამარტივებულია საქმის განხილვის პროცედურა. სიახლეს წარმოადგენს ნორმა, რომლის თანახმადაც, საარბიტრაჟო განხილვის მხარეებს საშუალება ეძლევათ, კანონით მათთვის მინიჭებული გადაწყვეტილების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირს.

კანონპროექტის კიდევ ერთი სიახლეა არბიტრაჟის უფლებამოსილება - მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საკითხის განხილვამდე მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. სადავო საკითხის გადაწყვეტამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე (მაგალითად: ქონების დაყადაღება) დადგენილების გამოტანა, აქამდე, მხოლოდ სასამართლოს შეეძლო.

კანონპროექტის იმპერატიული მოთხოვნაა, საარბიტრაჟო განხილვის პროცესში სასამართლოს ჩაურევლობა, გარდა "არბიტრაჟის შესახებ" კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

"ახალი პროექტით მოწესრიგებულია მოქმედი საარბიტრაჟო კანონმდებლობის ხარვეზი საარბიტრაჟო განხილვის ენასთან დაკავშირებით. გათვალისწინებულია, რომ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები. არბიტრაჟს ენიჭება უფლება, დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე (ენებზე)", - განმარატავენ იუსტიციის სამინისტროში.

"კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამოწმებას სანოტარო წესით, რის გარეშეც გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის მიხედვით, სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, აღსრულება შეიძლება შეჩერდეს არაუმეტეს 20 დღისა და მხოლოდ მხარის შუამდგომლობით.

"კანონპროექტით მოწესრიგებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხიც, რაც მიზნად ისახავს არსებული ხარვეზის გამოსწორებას და "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ" ნიუ-იორკის კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას.

"არბიტრაჟის შესახებ" კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილებები და დამატებები შევა "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში", "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში და "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონში", აცხადებენ ახალი პროექტის ავტორები.

"არბიტრაჟის შესახებ" კანონის პროექტი იუსტიციის სამინისტრომ ამერიკის იურისტთა ასოციაციასა და საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტთან (GEGI) თანამშრომლობით მოამზადა. როგორც იუსტიციის სამინისტროში ირწმუნებიან, იგი შეესაბამება გაერო-ს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ მიღებულ სამოდელო კანონს "საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ", ასევე, "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ" 1958 წლის 31 დეკემბრის ნიუ-იორკის კონვენციას, რომელის წევრი საქართველო 1994 წელს გახდა.

24 საათი

ექსპროპრიაცია კანონის იგნორირებით

პირველი გვერდიდან

დიმა გაბუნია: ძალადობას კანონს დავუპირისპირებთ.

"აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" კანონში არსებობს ჩამონათვალი, თუ რა არის ეს აუცილებლობა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პრეზიდენტი გამოსცემს აქტს, სპეციალურ ბრძანებულებას, რის საფუძველზეც, კერძო მესაკუთრეებს ჩამოერთმევათ საკუთრება, რის შემდეგაც ხელისუფლება ვალდებულია სარჩელით მიმართოს სასამართლოს და სასამართლომ უნდა დაადგინოს, კერძო მესაკუთრეებს რა სახის კომპენსაცია ეკუთვნით. მაგრამ ამ შემთხვევაში კომპენსაციაზეც არ არის საუბარი. ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ მოდიან და ამ ხალხს პირდაპირ ეუბნებიან, სახლი ავარიულია, უნდა დავანგრიოთ, დატოვეთ აქაურობა. ყოველგვარი კანონის იგნორირებით ამ ხალხს ქუჩაში ყრიან," – აცხადებს ადვოკატი დიმა გაბუნია.

მოსახლეობის თქმით კი, სასტუმრო "ივერიის" მიმდებარე ტერიტორია, სადაც მათი საცხოვრებელი სახლია აშენებული, გავლენიანი ჯგუფის დაინტერესების ობიექტი გახდა, მათ მერია ლობირებს და რის გამოც მერიის თანამშრომლები დაუსაბუთებელ, არარსებულ მიზეზებს იგონებენ. სახლის ამშენებელი ფირმის, შპს "ამირანის" დირექტორი ზურაბ მაღლაკელიძე ირწმუნება, რომ სახლი ყველა სტანდარტის დაცვითაა აშენებული. **"ჩვენ ყველანაირი ნებართვა და დოკუმენტი გვაქვს, რომელიც ადასტურებს, რომ სახლი სტანდარტების დაცვითაა აშენებული. გაუგებარია რატომ სურთ ეს სახლი ავარიული გამოიყვანონ, იმ დროს, როცა ეს ასე არ არის. ამას ისიც ადასტურებს, რომ სახლმა თბილისში მომხდარ ყველაზე დიდ მიწისძვრას გაუძლო, ერთი ბზარიც კი არ გაჩენია. მეტიც, ჯერ არ გვქონია შემთხვევა, რომ ჩვენ მიერ აშენებული სახლის დემონტაჟი მომხდარიყო. ვინ დაინტერესდა კონკრეტულად ამ ობიექტით ჩვენთვის უცნობია",** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ზურაბ მაღლაკელიძემ.

მოსახლეობა, ამ შემთხვევაში კერძო მესაკუთრეები, პოზიციების დათმობას არ აპირებენ, მეტიც, მათ არ აშინებთ, მერიის წარმომადგენელთა მუქარა - "სოდი"-ს თანამშრომლებს გამოგიგზავნით და ისინი გამოგყრიანო.

"ის, რასაც ამჟამად მერია ჩვენს წინააღმდეგ ახორციელებს, ტერორია. არადა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების უფლება აღიარებულია და მისი ხელყოფა დაუშვებელია. თავის დროზე სახლის მშენებლობა განხორციელდა მერიის შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული, კანონით გათვალისწინებული ნებართვების საფუძველზე და შეთანხმებული პროექტით. დარწმუნებით შემიძლია თქმა, სახლი ყველა ნორმის დაცვითაა აშენებული, არ არის ავარიული და ამ მიზეზის მოშველიება სამარცხვინოა. ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენს გვერდით მდებარე სახლების უდიდესი ნაწილი მართლაც ავარიულია, კედლები გადახსნილია, მობინადრეებს ჭერი თავზე ენგრევათ და მერიას ეხვეწებიან, დაგვეხმარეთო, არადა მათ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენთან კი მოვიდა მერიის წარმომადგენელი და განგვიცხადა, ანონიმური შეტყობინების საფუძველზე გამოწმებთო, შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სახლი ავარიულია და უნდა დაანგრიონ. ამის გამო, უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ტერიტორია, სადაც ჩვენი სახლი მდებარეობს, მავანის დაინტერესების ობიექტია და მათ მერია ლობირებს. ჩვენი ტერორი კარგა ხანია გრძელდება, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ სამართლებრივი გზით ვიბრძოლებთ ბოლომდე, აუცილებლად მივალთ სტრასბურგამდე და სასურველ შედეგსაც მივაღწევთ. არადა, საქართველოს მთავრობის ინტერესში არ უნდა შედიოდეს საერთაშორისო სარბიელზე კიდევ ერთი დიდი მარცხი განიცადოს", - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა მერიის მიერ შავ სიაში შეყვანილი სახლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ლევან ასათიანმა.

"ჩვენთან შემოვიდა ანონიმური ზარი. მოქალაქე, რომელიც თაბუკაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს, აცხადებდა, რომ თაბუკაშვილის N50-ში მშენებარე სახლი უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშე აშენდა, რაც მათ გარკვეულ საფრთხეს უქმნის. ზავრიევის ინსტიტუტმა დაგვიდასტურა, რომ სახლი სეისმურად არამდგრადია. ჩვენ მის დემონტაჟს ვაპირებთ," – განაცხადა მერიის გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით საყვარელიძემ. მისივე განმარტებით, კერძო მესაკუთრეებს კომპენსაციები იმ ფირმამ უნდა მისცეს, ვინც სახლი ააშენა და არა მერიამ.

ნორმების დარღვევით აშენებული სახლის დანგრევაზე საუბრობენ მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებიც. მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი მამუკა მაქაცარია და მისი მოადგილე გიორგი საგინაშვილი თითს ზავრიევის ინსტიტუტისკენ იშვერენ და მათ მიერ გაცემულ დასკვნას არგუმენტად იშველიებენ.

არადა, როგორც ირკვევა, ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტს სახლის შესახებ არანაირი დასკვნა არ გაუცია. **"ზედამხედველობის სამსახურიდან შემოვიდა კონკრეტული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დაგვევალა დასკვნის გაკეთება. ამ ეტაპზე ვერანაირ დასკვნას ვერ გავცემთ, რადგან ამისთვის ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს საპროექტო მასალების სრული პაკეტი. რადგან ხელთ არ გვაქვს სათანადო დოკუმენტაცია შესაბამისად, ვერც დასკვნას გავცემთ,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა რევაზ მურუსიძემ.

"წერილებით მივმართეთ ყველა სამთავრობო ინსტანციას, პრეზიდენტსაც კი. სამწუხაროდ, ამ უკანონობით დღემდე არავინ დაინტერესებულა, მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატიდან მომივიდა პასუხი, რომ დაიწყეს მოკვლევა. გასაოცარი პასუხები მივიღეთ მერიის ზედამხედველობის ინსპექციიდან, მათ გვითხრეს, სამი ვარიანტია: ან მთლიანად დავანგრევთ სახლს, ან ხუთ სართულს მოვანგრევთ, ან ხუთ სართულს დავტოვებთო. მინდა ვუთხრა მათ, კანონში ჩაიხედონ და კანონის შესაბამისად იმოქმედონ, ხალხის მიმართ ასეთი მოქცევა წარმოუდგენელია, არსად ასეთი რამ არ ხდება. ბარემ საჯაროდ განაცხადონ, რომ სახელმწიფო არ აღიარებს კერძო საკუთრებას და აკეთებენ იმას, რაც სურთ.

ამ ხალხს ემუქრებიან სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურებით, მათ შორის "სოდ"-ით. არადა, "სოდ"- ის აქ შემოსვლა დაუშვებელია, მაგრამ თუ სახელმწიფო მაინც გაბედავს წავიდეს ძალადობაზე და ამ ხალხს ძალის გამოყენებით ქუჩაში გაყრის, მაშინ გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ ბერკეტებს, სამართლებრივად ვიბრძოლებთ ყველა მიმართულებით და უკან არ დავიხევთ. სტრასბურგის სასამართლომდე მივალთ და აუცილებლად მოვიგებთ ამ საქმეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სამშაბათს, "კინოს სახლში" პრესკონფერენციას ვატარებთ და კანონის საფუძველზე მოქმედებას ხელისუფლებისგან კიდევ ერთხელ მოვითხოვთ," - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ადვოკატმა დიმა გაბუნიამ.

„ნაციონალი" პარლამენტარი პროკურორის წინააღმდეგ

თეა თედლიაშვილი

ტელეკომპანია "თრიალეთის" ჟურნალისტები შიდა ქართლის ოლქის პროკურორ მიხეილ აბულაძეს სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ. გაზეთ "თრიალეთის" მთავარმა რედაქტორმა თინიკო ვაჩაძემ ღია ეთერით განაცხადა, რომ "ორი თვის წინ, ოლქის პროკურორი საკუთარ კაბინეტში, 40 წუთის განმავლობაში ცდილობდა მის გაუპატიურებას".

გენერალური პროკურატურის განცხადებით, მართალია, ოლქის პროკურორის მიმართ რეალური მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ სამსახურებრივ უფლებამოსილებას აბულაძე დროებით ჩამოშორდა. აღნიშნულ საკითხზე გენერალურმა პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო. შედეგები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

თინიკო ვაჩაძის ადვოკატი ზაზა გიგაური აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს აქვს მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ პროკურორი ვაჩაძეს აუპატიურებდა. ადვოკატის განცხადებით, მტკიცებულებაა ის, რომ ვაჩაძემ იცის "პროკურორის სხეულის დეტალები".

"თრიალეთის" ყოფილი ჟურნალისტები ამბობენ, რომ მომხდარის უკან თრიალეთის მეპატრონე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ბადრი ნანეტაშვილი დგას, მიზანი კი, პარლამენტარის მხრიდან პროკურატურაზე გავლენის მოპოვებაა. როგორც "თრიალეთის" ყოფილი ჟურნალისტები აცხადებენ, პარლამენტარი მათზე ზეწოლას მუდმივად ახდენდა, რათა მისთვის სასურველი სიუჟეტი გადაცემულიყო.

თეა კაკიაშვილი, "თრიალეთის" ყოფილი ჟურნალისტი: **"ჩვენი გათავისუფლება ხდებოდა სამარცხვინო ბრალდებებით, ნანეტაშვილი გვემუქრებოდა, რომ თუ ხმას ამოვიღებდით, ოჯახებში შეგვექმნებოდა პრობლემა. იგი უხეშად ერეოდა ჩვენს სამსახურეობრივსა და პირად საქმიანობაში. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მე გავაშუქე ტასისის მაშინდელი უფროსის აკაკი ლაბუჩიძის თბილისში გადაყვანა, ლაბუჩიძე არ მოსწონდა შიდა ქართლის მხარის რწმუნებულს მიხეილ ქარელს, ამის შემდეგ მე ბადრი ნანეტაშვილის მხრიდან სასტიკი საყვედური და უშვერი სიტყვებით ლანძღვა მივიღე.**

პროკურორზე აჟიოტაჟის ატეხვა გაცილებით მოგებიანია პარლამენტარისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველს შევხვდით, მეორე დღეს კი თბილისში "თრიალეთის" რედაქტორი ჩადის და აცხადებს, რომ ორი თვის წინ ოლქის პროკურორი გაუპატიურებას უპირებდა. ცალსახად იკვეთება პროვოკაცია. ჩვენ ველოდებით, რომ იმავე ეთერით ანალოგიური ბინძური კამპანია ჟურნალისტებზეც გახორციელდება."

ეთერ სადაღაშვილი, "თრიალეთის" ყოფილი ჟურნალისტი: **"ქართველებს კარგი გამონათქვამი გვაქვს: "გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო", "საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო"- ეს ბადრი ნანეტაშვილის ცხოვრების პრინციპია, რომლისთვისაც "თრიალეთს" მუდმივად იყენებს. შანტაჟი, ტელეკომპანიის ჟურნალისტების უშვერი სიტყვებით ლანძღვა მუშაობის ჩვეული სტილია. სამსახურიდან წამოსულს მუქარა დამადევნა, რომ არსად გამახარებდა. ტელეკომპანიიდან წამოსვლის შემდეგ შიდა ქართლის პოლიციის რეგიონულ სამმართველოში დავიწყე მუშაობა, მაშინდელ უფროსს ვოვა ჯუღელს ნანეტაშვილი პირადად უკავშირდებოდა და ეუბნებოდა, რომ თუ სამსახურიდან არ გამათავისუფლებდა, მასზე ჟურნალისტები ცუდ სიუჟეტებს გააკეთებდნენ."**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთევან ბებიაშვილი მიიჩნევს, რომ **"საქმე რეალურად უნდა იქნეს გამოძიებული და მოხდეს დამნაშავის დასჯა".**

თავად ბადრი ნანეტაშვილმა "24 საათს" სატელეფონო კომენტარის მიცემაზე უარი განუცხადა.

ყოფილი მძევლის ოჯახს ემუქრებიან

წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიადან გუშინწინ გატაცებული კობა ღურწკაია გათავისუფლებულია. როგორც ყოფილი მძევალი აცხადებს, ის გამტაცებლებმა მდინარე ენგურის სანაპირო ზოლში, ტყეში, მანქანიდან მას შემდეგ გადმოსვეს, რაც ნაცნობთა შორის დაასახელა ერთ-ერთი აფხაზი კრიმინალის გვარი. მის ვინაობას ღურწკაია ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუმცა აცხადებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში გამტაცებლებს მისი გათავისუფლების სანაცვლოდ გარკვეული ოდენობის თანხა უნდა მიაწოდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ოჯახს კვლავ საფრთხე დაემუქრება. ჯერჯერობით არ სახელდება გამტაცებლების მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ, გვიან ღამით, ღურწკაიების ოჯახში ხუთი ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული თავდამსხმელი შეიჭრა. მათ თავდაპირველად, მძევლად აიყვანეს იქვე, ეზოში მყოფი 5 წლის გოგონა და მისი მოკვლის მუქარით, ოჯახის წევრებს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს.

თავდამსხმელებმა სახლში ვერც ფული ნახეს და ვერც ძვირფასი ნივთები. ჩათვალეს, რომ ოჯახის წევრებმა გადანახული ფული დაუმალეს. მათ პატარა გოგონას ნაცვლად, მძევლად 31 წლის კობა ღურწკაია აიყვანეს და ზუგდიდის რაიონის მიმართულებით გაუჩინარდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, თავდამსხმელები გალის რაიონის ტერიტორიაზე გადავიდნენ.

პოლიციის ინფორმაციით, სამართალდამცველებს გააჩნიათ სავარაუდო ეჭვმიტანილთა სია, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარისგან თავს იკავებენ.

24 საათი

შპს "თეგეტა მოტორსი" აცხადებს ვაკანსიას:

1. სატვირთო ავტომანქანების გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე
2. ავტოსათადარიგო ნაწილების შეკვეთების მენეჯერის თანამდებობაზე

კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება საავტომობილო დარგში
2. გერმანული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა
3. საოფისე (MS Word, Excell) პროგრამების ცოდნა
4. მუშაობის გამოცდილება მსგავსი პროფილით მინიმუმ 1 წელი

დაინტერესებულმა პირებმა ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და ფოტოსურათი გამოგზავნეთ ელ.ფოსტით info@tegetamotors.ge ან ფაქსით Fax: 52 49 22

მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია

16 მარტს **ნინია კაკაბაძემ** აღწერა ჩვენი საზოგადოებრივი შეგნების ერთი ნიშანი, რომელსაც, თუ ინფორმატიკის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, შეიძლება ვუწოდოთ "2D-შეგნება": როცა ვინმეს აკრიტიკებ, საზოგადოებას რატომღაც მისი რომელიმე ოპონენტის მომხრედ მიაჩნიხარ. გამოდის, რომ ამგვარი შეგნება მხოლოდ ორგანზომილებიან სიბრტყეში მოქმედებს და ჰგონია, რომ თუ თქვი, იესო ქრისტე ჰურიათა მეუფეაო, პილატე პონტოელის მიმდევარი ხარ. მაგრამ მარტო ეს როდია ჩვენი ორგანზომილებიანი შეგნების თვისება! — სინამდვილის მრავალფეროვნება, მის მწირ ზედაპირზე პროეცირებული, კარგავს სისრულესა და სიმდიდრეს, იქცევა "ჩემისა და შენის" პრიმიტიულ გარჩევად და...

ერთი სიტყვით, სწორედ ამ ორგანზომილებიანი მსჯელობების გაბატონებამ დამიკარგა საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ ლაპარაკის სურვილი: კარგის თქმის უფლებას საკუთარი გემოვნება მიკრძალავს, ცუდს კი იმის შიში, ვაითუ ვინმეს გარემომცველ სიბრიყვესა და სიბნელეში ავერიო.

მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებლობას კიდევ დავუბრუნდები. მანამდე ერთ მნიშვნელოვან საკითხს უნდა შევეხო: ვინ აწყობს არეულობას ახალქალაქში? ეს შეკითხვა 14 მარტს "24 საათმაც" დასვა, ოღონდ კითხვის ნიშნის გარეშე: უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეკითხვა კი არა, პასუხია. მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობთ, მხოლოდ ბუნდოვანი ხეტიალია ვიღაცის "გათვლების", "ვარაუდების" "საეჭვო დამთხვევების" გარშემო. მაგრამ უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის დარბევა მტკივნეულად კონკრეტული ფაქტია, რომლის ასახსნელად ვარაუდები არ კმარა. აქ ასეთივე კონკრეტულობაა საჭირო, თუნდაც ასევე მტკივნეული იყოს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გვექნება პრეტენზია ამგვარი კონკრეტულობის მიღწევაზე, ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ორგანზომილებიანი შეგნების პირობებში ეს კონკრეტულობა პრინციპულად მიუღწეველია.

მაინც ვცადოთ გარკვევა და გავიხსენოთ აღიარება, რომელიც რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა კანცელარიაში მიწვეულ ოთხ ჟურნალისტს მისცა: საქართველოში მოქმედებს რუსეთის ხელი. ვნახოთ, კონკრეტულად როგორ მოქმედებს ეს ხელი. ამისათვის კიდევ ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ და უფრო შორიდან შევხედოთ მოვლენათა მიმდევრობას. თვალში მოგვხვდება ერთი შეუმჩნეველი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 6 თებერვალს გამართული წმინდა სინოდის კრების ოქმი. აქ ვკითხულობთ:

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

"მღვდელმოქმედება აკრძალულნი, — ეპისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე და დეკანოზი ბასილ კობახიძე საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად იმყოფებოდნენ უკრაინაში და ესწრებოდნენ მსახურებას ე. წ. უკრაინის საპატრიარქოში, რომელიც არ არის აღიარებული არც ერთი მართლმადიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიის მიერ.

წმინდა სინოდი გმობს აკრძალვაში მყოფი ზემოაღნიშნული ქართველი სასულიერო პირების თვითნებურ საქციელს.

საქართველოს ეკლესიას კარგად ესმის უკრაინაში არსებული რელიგიური პრობლემების სიმწვავე, თვლის, რომ ქვეყნის ერთიანობისა და განვითარების ერთ-ერთი საფუძველი არის ეკლესიის ერთიანობა და გამოთქვამს მზადყოფნას ამ მხრივ გვერდში დაუდგეს ერთმორწმუნე უკრაინელ ხალხს, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციის შესაბამისად, ეკლესიებს შორის არსებული საკითხები უნდა გადაწყდეს ქრისტესმიერი სიყვარულით.

უკრაინის ეკლესიამ დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს მხოლოდ საეკლესიო სამართლის კანონების დაცვით, რაშიც მხარეთა სურვილის შემთხვევაში საქართველოს ეკლესიაც თავის წვლილს შეიტანს".

საინტერესოა, რომ წმინდა სინოდი გმობს იმას, რასაც ესალმება საქართველოს სახელმწიფო: კიევის საპატრიარქოში იმავე დროს სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის ერთობ წარმომადგენლობითი დელეგაცია და სახალხო დამცველი. ამის შესახებ "24 საათმა" აუწყა კიდეც მკითხველებს. საკითხის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე ისიცაა, რომ მსოფლიოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა მხრიდან კიევის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულება ასეთი ცალსახა როდია. ამ ცალსახობის სურათის შექმნა კი ყველაზე მეტად მოსკოვის საპატრიარქოს სწადია. არ ვაპირებ ვითარების დეტალურად განხილვას და დღევანდელი პუბლიკაციის ძირითადი თემიდან გადახრას. ეს მხოლოდ იმის საჩვენებლად დამჭირდა, რომ სიტყვები "მხარეთა სურვილის შემთხვევაში" ნიშავს შემდეგს: **თუ რუსეთმა ისურვა.**

ახლა კი ვუახლოვდებით სათქმელს. განვაგრძოთ ოქმის კითხვა:

"წმინდა სინოდმა განაჩინა: აღდგეს ისტორიულად არსებული აგარაკ-ტაშირის ეპარქია და იგი დაექვემდებაროს დმანისის ეპისკოპოსს, რომლის ტიტულიც განისაზღვროს შემდეგნაირად: ეპისკოპოსი დმანისისა და აგარაკ-ტაშირისა, კათედრა დმანისში".

აი, ეს კი საინტერესოა. სინოდის ამ დადგენილებიდან ცოტა ხნის შემდეგ რუსულენოვან ინტერნეტში ფართოდ გავრცელდა შემდეგი ინფორმაცია:

"სომხეთის სამოციქულო ეკლესიის (სსე) უზენაესმა სასულიერო საბჭომ გაკვირვება გამოთქვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის (სმე) სინოდის დადგენილებასთან დაკავშირებით. დადგენილება ეხება სომხეთის ტერიტორიაზე ეპარქიის დაწესებას სსე-სთან შეუთანხმებლად ... სსე-ს უზენაესი სასულიერო საბჭოს აზრით, ახალი ქართული ეპარქია "დაწესდა სომხეთის ჩრდილოეთ რეგიონში", იმ ადგილებში, "სადაც სმეს არა ჰყავს მრევლი". მაშინ როცა საქართველოში "უგულებელყოფილია ასობით ათასი მორწმუნე სომხის სამართლიანი უფლება, დაიბრუნონ კუთვნილი ეკლესიები".

ეჰ, ტაშირი მართლაც საქართველოს საზღვარს გადაღმა, სომხეთში მდებარეობს მედოვკასა და კრუგლაია შიშკას ჩრდილო-დასავლეთით — ეს ტოპონიმებიც ბევრს რასმე ეტყვიან გულდასმით წამკითხველს. ჩვენ კი დავაკვირდეთ "უკიდურესი ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის" სახეს, რომლის შენარჩუნებას ცდილობს ზემოთ მოყვანილი ტექსტი. როგორაა გამოყენებული ბრჭყალები, როგორი ადგილი აქვს მიჩენილი სიტყვებს "სსე-ს უზენაესი სასულიერო საბჭოს აზრით" — არა, ჩვენ არაფერი ვიცით, ჩვენ არაფერი გვესაქმება ამათთან, ჩვენ მხოლოდ ამბებს გადმოგცემთ. მაგრამ ვინ ჩააგონა კანონიკური ტერიტორიის გაზრდა მაინცდამაინც სომხეთში და მაინცდამაინც ამ ისტორიულ მომენტში? ვინ აალაპარაკა სომეხი ეპისკოპოსები, როცა წლების განმავლობაში მაინცდამაინც არ ყოფილან განწყობილნი თავიანთი მორწმუნეებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაძრების დასაბრუნებლად?

არა, პასუხებს მე ვერ შემოგთავაზებთ, მე თვითონ ველი პასუხს. აი, შეკითხვები კი უნდა დაისვას, შეკითხვები ყველამ უნდა დასვას, მათ შორის გაზეთმაც. ერთ-ერთი ასეთი იქნება: **რამდენი ტონა კარტოფილი იყიდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ახალქალაქის რეგიონის მოსახლეობისგან მას შემდეგ, რაც ამგვარი დაპირება იქნა გაცემული?**

ახლა კი შეგვიძლია მივუახლოვდეთ ძირითადი შეკითხვის პასუხს. ვინ აწყობს არეულობას ახალქალაქში? ჩვენც შეგვიძლია ვუპასუხოთ: რუსეთი! მაგრამ ეს ორგანზომილებიანი შეგნებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი. გავიზმოროთ, ძალა მოვიკრიბოთ და გადავიდეთ შემდეგ განზომილებაში. ვის აღმოვაჩენთ იქ? იგორ გიორგაძეს? ოჰ, არა, ამ საწყალს სად შეუძლია მაგდენი, თვითონაც თოჯინაა, თუმცა კი რამდენიმე "მარშრუტკა" მხარდამჭერის შეგროვება მასაც შეუძლია. არა, სრულ კონკრეტულობას, როგორც ვთქვი, ვერ მივაღწევთ, მაგრამ ორი ახალი მოქმედი პირი ჩვენც გამოვავლინეთ: საპატრიარქოს ძველი ვასალური ვალდებულებები საბჭოთა სუკის სამართალმემკვიდრის წინაშე და საქართველოს მმართველი დაჯგუფების თავკერძობა და სიბეცე.

ამ თავკერძობასა და სიბეცეზე იმდენს ლაპარაკობენ მართალსაც და ტყუილსაც, რომ ახლის დამატება ნამდვილად ვერაფრით გაამდიდრებს მკითხველის ისედაც დაღლილ სულს. უფრო მნიშვნელოვანი საკითხები დაგვრჩა ხელშეუხებელი.

აი, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანთაგანი: **იქნებ ვინმემ გაგვაგებინოს, ნამდვილად საერო სახელმწიფოში ვცხოვრობთ, როგორც კონსტიტუცია გვარწმუნებს, თუ არა?**

აი, აქ კი დაგვჭირდება საზოგადოებრივი მაუწყებლობის (და არა მაუწყებლის — როგორც მავანნი ამბობენ) გარშემო ატეხილი დავიდარაბა. არა, მე იმათ არ ვგულისხმობ, რომლებიც ჯერ კიდევ ლენინის სახელის მატარებელი ქუჩის 68 ნომერში მოღვაწეობდნენ და აღდგომის ღამეს მშვიდად წერდნენ გადაცემათა პროგრამაში: **0.00 — უცხოური მხატვრული ფილმი "ლედი-კარატე".** დღეს ისინი ეკლესიურ მორწმუნეებად გვევლინებიან, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არაა — განა ჩვენი ბრალია, რომ ორგანზომილებიანი შეგნებისთვის რელიგიურობა დღესაც ნონკონფორმიზმს ნიშნავს, როგორც ოდესღაც, საბჭოთა დროში ნიშნავდა? არც იმათ ვეხებით, ვინც ამტკიცებს, რომ **ლევან რამიშვილი**, **სოზარ სუბარი**, **ლაშა ბუღაძე** და ამ ტექსტის ავტორი **ნოდარ ლადარია** "ჯოჯოხეთიდან რეპორტაჟების გაკეთებას" ავალებდნენ. ასეთი აბსურდის წინაშე დგომა მართლაც დაიმსახურა ქართველმა საზოგადოებამ, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ. მანამდე აუცილებლად უნდა გავიხსენო, რა მითხრა **დოდო შონავამ**, როცა თავის ტელეფონის ნომრებს მაძლევდა: "რას იზამ, ამგვარ სიბნელეში გვიწევს მუშაობა, მაგრამ, იმედია, მალე გამოვასწორებთ". ვგონებ, გასაგებია, ვის გულისხმობდა ქ-ნი შონავა: მათ, ვინც დღეს ტელეკომპანია "იმედის" კამერის წინ ეამბორება ხატებს და ცალი თვალი ოპერატორისთვის მიუპყრია — ხომ კარგად გამოვდივარო.

ამათი მსაჯული მე არა ვარ. მე სულ სხვა რამ მაინტერესებს: აი, დეკანოზმა **მიქაელ ბოტკოველმა** რომ აღიარა ოფიციალურ პრეს-კონფერენციაზე: თურმე საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე პირდაპირ ზეწოლას ახდენს საქართველოს ხელისუფლება. მართალია, მაღალღირსი მამა ამ გარემოებას მეტად დადებით შეფასებას აძლევს, მაგრამ მე მის სიხარულს ვერ გავიზიარებ. მაპატიეთ ბანალობისთვის, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლობა ერთნაირად დამოუკიდებელი უნდა იყოს: ეკლესიისაგანაც და ხელისუფლებისგანაც. და თუ 7 იანვარს საშობაო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია აუცილებელი მოთხოვნაა, მაშინ არანაკლებ აუცილებელი უნდა იყოს 25 დეკემბერს კათოლიკური და პროტესტანტული ტაძრებიდან რეპორტაჟი, შესაბამის დღეებში კი "ლაივში" გადმოცემული ხანუკა, იომ-კიპური და ნავროზ-ბაირამი. აქ მოსახლეობის ინტერესები პროცენტული კვოტით კი არ უნდა იყოს დაკმაყოფილებული, არამედ შესაბამის სუბიექტთა არსებობის მიხედვით.

ამ მოთხოვნისათვის არაა საჭირო ლევან რამიშვილისა და გიგა ბოკერიას "ერთპიროვნული დიქტატი" — ეს უბრალო სამართლიანობის მოთხოვნაა. რაც შეეხება დიქტატს, 7 იანვრის ისტორიაში, სულ მცირე, სამი "ზეპური დედა" მაინც იყო ჩარეული უშუალოდ და ერთიც ირიბად. მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა... თანაც მე აქ ჭორების გამავრცელებელი კანტორა კი არა მაქვს გახსნილი! — მე სულ სხვა რამ მაღელვებს. სახელდობრ ის, რომ ამ ქვეყანაში ორგანზომილებიანი შეგნება ყველგან ერთნაირადაა გავრცელებული. ეს კი ნიშნავს, რომ სულ მალე საზოგადოებრივი მაუწყებლობა შეიძლება დაემსგავსოს ბიზანტიურ ფერებად შეღებილ "ალ-ჯაზირას" ან "ალ-არაბიას".

რელიგიურ ფანატიზმს ყველა ძალიან ძლიერ ფაქტორად მიიჩნევს, თუმცა მასში არის ერთი სისუსტე: იგი ყოველთვის ცდილობს მხოლოდ წაუგებელი თამაშები ითამაშოს, არასოდეს არ რისკავს, თუ ასპროცენტიანი გარანტია არ დაიგულა. მისი დამარცხება ძალიან ადვილია, უბრალოდ, ინტელექტუალური ღირსებაა საჭირო. ამიტომ, სანამ ჩვენი საზოგადოება არ შეიძენს ამ ძვირფას გრძნობას, იგი არც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ღირსია და არც უკეთესი მთავრობისა.

აქვს კი ეს ღირსება საზოგადოებას, თუ ის ქვემლოქმედად მოიხსენიებს ადამიანს, რომელიც მცირე ხნით მათხოვრულ ხელფასს უნიშნავს სახელმწიფო მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელს, მაგრამ რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს ხარჯავს საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე?

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სიღნაღის რაიონის გამგეობა (ქ. სიღნაღი დ. აღმაშენებლის მოედანი N2 საიდნ. კოდი 240389003. სააქციო საზოგადოება საქართველოს სახალხო ბანკის სიღნაღის ფილიალი კოდი 220101455 ანგარიში N330330184).

აცხადებს ტენდერს ქ. სიღნაღის თამარისა და გორგასლის ქუჩების შეკეთებაზე და სიღნაღი-წნორის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის სამუშაოების შესასყიდად.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების შესრულების ვადების ფარგლებში).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებული იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 მარტიდან ქალაქ სიღნარღში დ. აღმაშენებლის მოედანი N2. სიღნაღის რაიონის გამგეობა.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტით 2006 წლის 10 აპრილს 11 საათიდან 17 საათამდე და 2006 წლის 11 აპრილს 11 საათიდან 16 საათამდე, ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: ქალაქ სიღნარღში დ. აღმაშენებლის მოედანი N2. სიღნაღის რაიონის გამგეობა.

4.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის:

a) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელისმოწერისთვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობით უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

ბ) ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალეტკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან

დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.2 როგორც ფიზიკურ ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობა სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექნიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები:

შენიშვნა:

a. ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

b. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ მანქანა-მექანიზმები

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ.					

იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნას მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

- - ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან /და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/ და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუსაოებე მუსაობის გამოცდილება (წელი)	ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა. შ.				

ცნობა ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

- - ინფორმაცია, იურიდიული ან /და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი

გასაწევი სამუშაოს სახე	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა. შ.				

3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრუბული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

იურიდიული ან /და ფიზიკური პირს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

- - ცნობას **2006 წლის 1 იანვრის** მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული

N	სამუშაოს დასახელება (თვითოეული ობიექტის დასახელებით)	შესყიდვის დასახელება	ხელშეკრულების ღირებილება	შენიშვნა
1				სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა, თუ კომფიდენციალური არ არის
2				
და.შ.				

დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: სასირველია მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

- - ინფორმაცია იურიდიული სატატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონწერი სამეწარმეო რეესტრიდან);

5. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატანდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტობომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატანდერო წინადადება ინდა შეიცავდეს სატანდერო დიკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

10. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არანაკლებ 5% ოდენობით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სიღნაღის რაიონის გამგეობაში შემდეგ მისამართზე ქალაქ სიღნაღი დ. აღმაშენებლის მოედანი N2. სიღნაღის რაიონის გამგეობა.

საკონტაქტო ტელეფონები: 8255-3-12-12; 8255-321-55; 899-70-30-81, მამუკა მანგოშვილი.

სატენდერო კომისია

განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რუსული ავტომანქანების სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

ლოტი	საქონლის დასახელება ვაზ 2104, ვაზ 2105, ვაზ 2106, ვაზ 2107	განზომილება	რაოდენობა
ლოტი1	ზეთის ფილტრი	ცალი	1400
	ჰაერის ფილტრი	ცალი	300
	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	150
ლოტი 2	ჯვარა	ცალი	400
	ბურთულა თითი	ცალი	2900
	ბერკეტი	ცალი	550
	ბერკეტის მილისი	კომპ	600
	მორგვის საკისარი	ცალი	400
	წინა სამუხრუჭე ხუნდი	კომპ	1100
	უკანა სამუხრუჭე ხუნდი	კომპ	300
	სამუხრუჭე შლანგი	კომპ	300
	სტაბილიზატორის მილისი	კომპ	300
	ქანქარას მილისი	კომპ	300
	ნახევარღერძის საკისარი	ცალი	300
	შტანგის მილისი	კომპ	300
	ამორტიზატორი	კომპ	350
	გადაბმულობის დისკის ზესადები	კომპ	200
	დაკიდების განივი	ცალი	200
	გადაბმულობის ქურა	ცალი	300
	გადაბმულობის დისკი	ცალი	300
	ელასტიური ქურო	ცალი	30
	დაკიდების საკისარი	ცალი	30
	საჭის მექანიზმის სარემ. კომპლექტი	ცალი	60
	სამუხრუჭე სისტემის სარემ. კომპლექტი	ცალი	50
	საყრდენი დისკო	ცალი	200
	ხელის მუხრუჭის გვარლი	ცალი	50
	სიჩქარის სარემონტო კომპლექტი	ცალი	100
	სიჩქარის კოლოფი	ცალი	35
	კარდანი	ცალი	50
	რედუქტორი	ცალი	120
ლოტი 3	ღვედი	ცალი	250
	ბენზინის ტუმბო	ცალი	150
	თერმოსტატი	ცალი	50
	წყლის ტუმბო	ცალი	50
	ძრავის სარემონტო კომპლექტი	ცალი	130
ლოტი 4	სანთელი	კომპ	300
	მწყვეტარას კონტაქტი	ცალი	50
	მწყვეტარა გამანაწილებლის თავსახური	ცალი	50
	მაღალი ძაბვის სადენი	კომპ	50
	სტარტერის სარემ. კომპლექტი	ცალი	60
	გენერატორის სარემ. კომპლექტი	ცალი	60
ლოტი 5	საქარე მინა	ცალი	51

ლოტი	ვაზ 2121	განზომილება	რაოდენობა
ლოტი 6	ზეთის ფილტრი	ცალი	1300
	ჰაერის ფილტრი	ცალი	1200
	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	150
	იჟექტორიანის ზეთის ფილტრი	ცალი	70
	იჟექტორიანის ჰაერის ფილტრი	ცალი	100
ლოტი 7	ჯვარა	ცალი	220
	ბურთულა თითი	ცალი	2700
	ბერკეტის მილისი	ცალი	200
	მორგვის საკისარი	ცალი	400
	ყუმბარა	ცალი	250
	წინა სამუხრუჭე ხუნდი	კომპ	680
	უკანა სამუხრუჭე ხუნდი	კომპ	340
	სამუხრუჭე შლანგი	კომპ	100
	სტაბილიზატორის მილისი	კომპ	200
	ქანქარას მილისი	კომპ	200
	ნახევარღერძის საკისარი	ცალი	200
	შტანგის მილისი	კომპ	200
	ამორტიზატორის მილისი	კომპ	200
	გადაბმულობის დისკის ზესადები	კომპ	100
	გადაბმულობის ქურა	ცალი	150
	გადაბმულობის დისკი	ცალი	150
	ელასტიური ქურო	ცალი	30
	დაკიდების საკისარი	ცალი	20
	საჭის მექანიზმის სარემ. კომპლექტი	ცალი	100
	სამუხრუჭე სისტემის სარემ. კომპლექტი	ცალი	30
	სიჩქარის სარემონტო კომპლექტი	ცალი	100
	სიჩქარის კოლოფი	ცალი	40
	მოკლე კარდანი	ცალი	70
	გრძელი კარდანი	ცალი	70
	შარნირი	ცალი	80
	რედუქტორი	ცალი	70
ლოტი 8	ღვედი	ცალი	100
	ბენზინის ტუმბო	ცალი	50
	თერმოსტატი	ცალი	50
	წყლის ტუმბო	ცალი	50
	ძრავის სარემონტო კომპლექტი	ცალი	75
ლოტი 9	სანთელი	კომპ	200
	მწყვეტარას კონტაქტი	ცალი	100
	მწყვეტარა გამანაწილებლის თავსახური	ცალი	20
	მაღალი ძაბვის სადენი	კომპ	60
	სტარტერის სარემ. კომპლექტი	ცალი	100
	გენერატორის სარემ. კომპლექტი	ცალი	60
	ელექტრო ვენტილატორი	ცალი	80

	ვოლგა	განზომილება	რაოდენობა
ლოტი 10	ზეთის ფილტრი	ცალი	110
	ჰაერის ფილტრი	ცალი	60
	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	7
ლოტი 11	ჯვარა	ცალი	20
	ტაბიკი	კომპ	20
	ხრახნული თითი	კომპ	20
	ბერკეტის მილისები	კომპ	20
	საწევარა	ცალი	100
	რესორის მილისი	კომპ	20
	ბერკეტი	ცალი	60
	ზამბარის საყრდენი ჭიქა	ცალი	40
	მორგვის საკისარი	ცალი	40
	სამუხრუჭე ხუნდები	კომპ	20
	სამუხრუჭე შლანგი	კომპ	20
	სტაბილიზატორის დგარი	კომპ	30
	ქანქარის მილისი	კომპ	30
	ნახევარღერძის საკისარი	ცალი	20
	ამორტიზატორის მილისი	კომპ	20
	გადაბმულობის დისკის ზესადები	კომპ	20
	გადაბმულობის გამორთვის საკისარი	ცალი	20
	გადაბმულობის გამორთვის ჩანგალი	ცალი	20
	გადაბმულობის ქურა	ცალი	5
	გადაბმულობის დისკი	ცალი	5
	საჭის მექანიზმის სარემ. კომპლექტი	ცალი	2
	სამუხრუჭე სისტემის სარემ. კომპლექტი	ცალი	3
ლოტი 12	ღვედი	ცალი	30
	ბენზინის ტუმბო	ცალი	5
	თერმოსტატი	ცალი	2
	წყლის ტუმბო	ცალი	2
ლოტი 13	სანთელი	კომპ	70
	მწყვეტარას კონტაქტი	ცალი	20
	მწყვეტარა გამანაწილებლის თავსახური	ცალი	4
	მაღალი ძაბვის სადენი	კომპ	2
	სტარტერის სარემ. კომპლექტი	ცალი	2
	გენერატორის სარემ. კომპლექტი	ცალი	2

	სატვირთო	განზომილება	რაოდენობა
ლოტი 18	ტაბიკი	კომპ	40
	საწევარა	ცალი	100
	გადაბმულობის დისკი	ცალი	20
	გადაბმულობის ქურა	ცალი	10
	სამუხრუჭე ხუნდი	კომპ	40
	მუხრუჭის დიაფრაგმა	კომპ	10
	კარდანი	ცალი	10
	რესორი	ცალი	10
	საჭის გამაძლიერებელი	ცალი	10
	რედუქტორის საკისარი	ცალი	20
	გადაცემათა კოლოფის სინქრონიზატორი	ცალი	20
ლოტი 19	სტარტერის სარემ. კომპლექტი	ცალი	6
	გენერატორის სარემ. კომპლექტი	ცალი	6
ლოტი 20	საწვავის ტუმბოს სარემ. კომპლექტი	ცალი	10
	წყლის ტუმბო	ცალი	10
ლოტი 21	ჰაერის ფილტრი	ცალი	40
ლოტი 22	კომპრესორი	ცალი	10

	ვაზ-2104; ვაზ-2105; ვაზ-2106; ვაზ-2107; ვაზ-2121; ვოლგა; უაზი; სატვირთო.	განზომილება	რაოდენობა
ლოტი 23	ანტიფრიზი (კონცენტრანტი) მინიმუმ 40%	ლიტრი	6800
ლოტი 24	დიზელის ძრავის ზეთი 15/40	ლიტრი	9400
ლოტი 25	ტრანსმისიის ზეთი წითელი	ლიტრი	280
ლოტი 26	ტრანსმისიის ზეთი ყვითელი	ლიტრი	180
ლოტი 27	ტრანსმისიის ზეთი	ლიტრი	860
ლოტი 28	ტრანსმისიის ზეთი (გიპოიდი)	კ.გ.	250
ლოტი 29	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	340
ლოტი 30	საწვავის ფილტრი	ცალი	40
ლოტი 31	ფარის ნათურა	ცალი	72
ლოტი 32	გაბარიტის ნათურა	ცალი	122
ლოტი 33	აკუმულატორი	ცალი	430

	უაზი	განზომილება	რაოდენობა
ლოტი 14	ზეთის ფილტრი	ცალი	700
ლოტი 15	ჯვარა	ცალი	100
	სამუხრუჭე ხუნდები	კომპ	100
	სამუხრუჭე შლანგი	კომპ	100
	საწევარა	ცალი	200
	რესორის მილისი	კომპ	100
	ამორტიზატორის მილისი	კომპ	100
	ცაფვის საკისარი	ცალი	200
	"შარნირი"	კომპ	7
	გადაბმულობის დისკი	ცალი	20
	გადაბმულობის ქურა	ცალი	20
	საჭის მექანიზმის სარემ. კომპლექტი	ცალი	5
ლოტი 16	სანთლები	კომპ	100
	მწყვეტარას კომპლექტი	ცალი	99
	მაღალი ძაბვის სადენები	კომპ	5
ლოტი 17	ღვედი	ცალი	100
	საწვავის ტუმბო	ცალი	20

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ქიზიყის N5.

4. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის 10 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 აპრილს 13 საათიდან 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

a) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული..

b) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში Aრ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით ოთარაშვილი ტელ. 27-28-32, ***899 90-16-55.***

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი; 302003000 ანგარიშისწორების ანგარიში N200122900 მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი:

ავტოპარკი შეადგენს 636 ავტომობილს - (252 ერთეული ოპელის მარკის, 133 - მერსედესი, 57 - რენო, 53 - ბე-ემ-ვე, 16 - ვოლვო, 125 - ჯიპი).

3. მიწოდების ადგილი - საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

4. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 აპრილს 1430 საათიდან 1500 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე შესაბამისობის სერთიფიკატის დამოწმებული ასლი (საქართველოს სერთიფიკაციის შესაბამის ორგანოდან);
- ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ (წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა შესაბამისი ავტომობილების მწარმოებელი ფირმების მიერ გაცემული სერთიფიკატი).

7. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ძაღლების სპეციალური მშრალი საკვების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ძაღლების სპეციალური მშრალი საკვები, რაოდენობა - **33000** (ოცდაცამეტი ათასი) კგ.

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის N5.

3. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე. (15.04.06.წ.-10.12.06.წ.)

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 აპრილს 1000 საათიდან 1300 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვა და მომსახურეობაზე იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

ლოტი 1				ლოტი 2									ლოტი 3	ლოტი 4	ლოტი 5	ლოტი 6	ლოტი 7	მიწოდების ვადები
დასახელება		გორი	მიწოდების ვადები			ახმეტა	ქუთაისი	ზუგდიდი	ზუგდიდი	ბათუმი	გორი	მცხეთა	რუსთავი	წალკა	ბაკურიანი	ახალციხე	ახალქალაქი	
პური I ხ. ფქვ.	კგ	4710	ყოველდღე	პური I ხ. ფქვ.	კგ	5880	4410	46310	6200	3680	740	2940	10600	11460	9560	7650	4710	ყოველდღე
პური რუხი	კგ	2350	ყოველდღე	პური რუხი	კგ	2940	2210	23150	3100	1840	370	1470	5300	5740	4780	3830	2360	ყოველდღე
ხორბლის ფქვ. I ხარ.	კგ	80	თვეში ერთხელ	ხორბლის ფქვ. I ხარ.	კგ	100	75	780	110	65	15	50	200	200	160	130	80	თვეში ერთხელ
ბურღულეული	კგ	790	თვეში ორჯერ	ბურღულეული	კგ	980	750	7720	1030	620	130	490	1800	2000	1600	1300	800	თვეში ორჯერ
ბრინჯი	კგ	320	თვეში ორჯერ	ბრინჯი	კგ	400	300	3100	420	250	50	200	710	770	650	510	320	თვეში ორჯერ
მაკარონის ნაწ.	კგ	320	თვეში ორჯერ	მაკარონის ნაწ.	კგ	400	300	3100	420	250	50	200	710	770	650	510	320	თვეში ორჯერ
საქონლის	კგ	1570	ხუთდღეში ერთხელ	საქონლის	კგ	1960	1470	15500	2060	1230	250	980	3530	3830	3200	2550	1570	ხუთდღეში ერთხელ
თევზი	კგ	790	ხუთდღეში ერთხელ		კგ	980	740	7720	1030	620	130	490	1770	1920	1600	1280	790	ხუთდღეში ერთხელ
რძის ფხვნილი	კგ	205	თვეში ორჯერ	რძის ფხვნილი	კგ	255	200	2010	270	160	35	130	460	500	415	335	210	თვეში ორჯერ
არაჟანi	კგ	160	სამდღეში ერთხელ	არაჟანi	კგ	200	150	1550	210	130	25	100	360	400	320	260	160	სამდღეში ერთხელ
ხაჭო	კგ	160	სამდღეში ერთხელ	ხაჭო	კგ	200	150	1550	210	130	25	100	360	400	320	260	160	სამდღეში ერთხელ
ყველი	კგ	160	ხუთდღეში ერთხელ	ყველი	კგ	200	150	1550	210	130	25	100	360	400	320	260	160	ხუთდღეში ერთხელ
შაქარი	კგ	550	თვეში ორჯერ	შაქარი	კგ	700	520	5500	720	430	90	350	1250	1350	1150	900	550	თვეში ორჯერ
კარაქი	კგ	315	ხუთდღეში ერთხელ	კარაქი	კგ	400	300	3100	420	250	50	200	710	770	640	510	320	ხუთდღეში ერთხელ
მარგარინი	კგ	80	ხუთდღეში ერთხელ	მარგარინი	კგ	100	75	780	110	65	15	50	180	200	160	130	80	ხუთდღეში ერთხელ
მცენ. ზეთი	ლ	160	თვეში ორჯერ	მცენ. ზეთი	ლ	200	150	1550	210	130	25	100	360	400	320	260	160	თვეში ორჯერ
კარტოფილი	კგ	4000	თვეში სამჯერ	კარტოფილი	კგ	4900	3700	38600	5150	3100	620	2450	8820	9600	8000	6370	3920	თვეში სამჯერ
კომბოსტო	კგ	1200	თვეში სამჯერ	კომბოსტო	კგ	1470	1100	11600	1550	920	190	740	2650	2900	2400	1920	1180	თვეში სამჯერ
ჭარხალი	კგ	240	თვეში სამჯერ	ჭარხალი	კგ	300	220	2320	310	190	40	150	530	580	500	400	240	თვეში სამჯერ
სტაფილო	კგ	500	თვეში სამჯერ	სტაფილო	კგ	600	450	4650	620	370	80	300	1060	1150	1000	800	500	თვეში სამჯერ
ხახვი	კგ	500	თვეში სამჯერ	ხახვი	კგ	600	450	4650	620	370	80	300	1060	1150	1000	800	500	თვეში სამჯერ
კიტ.,პომ.(სეზ.)	კგ	200	სამდღეში ერთხელ	კიტ.,პომ.(სეზ.)	კგ	250	180	1900	260	150	30	120	430	470	400	320	200	სამდღეში ერთხელ
ბადრ.,ისპ,ფხალ.(სეზ.)	კგ	110	სამდღეში ერთხელ	ბადრ.,ისპ.ფხალ.(სეზ.)	კგ	130	100	1020	140	90	20	70	235	255	210	170	110	სამდღეში ერთხელ
მწვანილი	კგ	160	სამდღეში ერთხელ	მწვანილი	კგ	200	150	1550	210	125	25	100	355	385	320	255	160	სამდღეში ერთხელ
ნიორი	კგ	40	თვეში ორჯერ	ნიორი	კგ	50	40	390	55	35	6	25	90	100	80	65	40	თვეში ორჯერ
ხილის წვენი	ლ	790	თვეში ორჯერ	ხილის წვენი	ლ	500	400	3900	520	310	65	250	900	1000	800	640	400	თვეში ორჯერ
კისელის კონც.	კგ	240	თვეში ორჯერ	კისელის კონც.	კგ	200	150	1550	210	125	25	100	355	385	320	255	160	თვეში ორჯერ
ხილი სხვად.	კგ	790	ხუთდღეში ერთხელ	ხილი სხვად.	კგ	980	750	7720	1030	620	125	500	1770	1950	1600	1280	800	ხუთდღეში ერთხელ
ხილფაფა	კგ	40	თვეში ორჯერ	ხილფაფა	კგ	50	40	390	55	30	6	25	90	100	80	65	40	თვეში ორჯერ
ჩაი	კგ	16	თვეში ერთხელ	ჩაი	კგ	20	15	155	20	12	2.5	10	40	40	35	30	20	თვეში ერთხელ
ტომატ–პასტა	კგ	160	თვეში ორჯერ	ტომატ–პასტა	კგ	150	110	1160	155	95	20	75	270	300	240	200	120	თვეში ორჯერ
ძმარი	ლ	25	თვეში ორჯერ	ძმარი	ლ	30	25	235	35	20	4	15	55	60	50	40	25	თვეში ორჯერ
მარილი	კგ	160	თვეში ერთხელ	მარილი	კგ	200	150	1550	210	125	25	100	360	400	320	260	160	თვეში ერთხელ
წიწაk, საკმ.–სან..	კგ	4	თვეში ერთხელ	წიწაk, საკმ.–სან..	კგ	5	4	40	5	3	1	2.5	9	10	8	7	4	თვეში ერთხელ
თაფლი	კგ	240	თვეში ერთხელ															
შოკოლადის ნაწარმი	კგ	790	თვეში სამჯერ															

3. მიწოდების ადგილი - მითითებული ობიექტების მისამართი ეცნობება მიმწოდებლებს ხელშეკრულების გაფორმების დროს.

4. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 აპრილს 12,00 საათიდან 13,00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ინფორმაცია მსგავსი მომსახურეობის გამოცდილების შესახებ.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

9. მე-3, მე-4 და მე-5 ლოტების დაფინანსება განხორციელდება - "ბპი"-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტით.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი ტელ. 75-47-74, 899 23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) საიდენტიფიკაციო ნომერი: N 06.04.56. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტი N 200 266 007

ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (KFW) მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის ფარცხნალის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ფარცხნალის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 20 მარტიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70
ფაქსი: (995 32) 94 04 39
საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილ უნდა იქნას ბანკში შემდეგ რეკვიზიტებზე:

ბანკის სახელი: "ბანკი რესპუბლიკა"
მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2
ა/ა: 34080001
კოდი: 220 101 757
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **30 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 700 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 20 აპრილს 15:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70
ფაქსი: (995 32) 94 04 39
საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00 საათზე** დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შიდა აუდიტის სამსახურს შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70
ფაქსი: (995 32) 94 04 39
ელ-ფოსტა: ngagua@mdf.org.ge
საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
www.mdf.org.ge

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. სიღნაღის საკრებულო ატარებს ტენდერს ქ. სიღნაღის ცენტრალური ქუჩებისა და შენობების განათების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლედ დახასიათება: აპარატურის შესყიდვა, მეტალზე ჩასატარებლი სამუშაოები (კორპუსების, კრონშტეინების წარმოება), სამოტაჟო სქემების დამუშავება და ინსტალაცია, აპარატურის და შემადგენელი კომპონენტების დასამონტაჟებლად მომზადება და მონტაჟი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 10 ივლისი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 10. აპრილი 11 საათიდან 2006 წლის 11 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის N16, ქ. სიღნაღის საკრებულო.

4. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირებისთვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ფიზიკური პირებისთვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის 'ირითად ხელმ'ღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დაკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ს.ს. საქ. სახალხო ბანკის სიღნაღის ფილიალი, ანგარიში 33030198, საიდ. კოდი 240389094) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის /, მარტიდან შემდეგ მისამართზე: ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის N16, ქ. სიღნაღის საკრებულო.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%. ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუ'ლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: კონსტანტინე ხმალა'ე, საკონტაქტო ტელეფონი ტელ: 8 255 3 21 32, მობ 893 71 71 94, მისამართზე: ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის N16, ქ. სიღნაღის საკრებულო.

სატენდერო კომისია

ანდერგრაუნდიცა და კონფორმიზმიც

რა ელის ჯიბსონ ხუნდაძის "საქართველოს"?

სოფო კილასონია

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, როცა რესპონდენტთან ურთიერთობისა და მასთან საუბრის დეტალების მკითხველისთვის გაზიარების სურვილი ქრება. თუმცა მე იმ შემთხვევისკენ მიმყავს საუბარი, როცა რაღაცები არ გემეტება თუნდაც ძალიან ერთგული მკითხველისთვის. ამიტომ ჩემი და ბატონი ჯიბსონ ხუნდაძის შეხვედრის ამბავს მხოლოდ ნაწილობრივ მოვყვები და ძალიან ბევრს ჩემთვის დავიტოვებ, ან სხვა დროისთვის შემოვინახავ...

მასთან სტუმრობა იოლი საქმე როდია და თუ მაინც მიგიღეს, იქ კიდევ ერთი პატარა, მაგრამ გადამწყვეტი გამოცდა გელის. ძალიან ცოცხალი მზერისა და სხარტი გონების ადამიანი ძალიან ცოცხლად დაასკვნის, თუ ვინ ეწვია და მხოლოდ შემდეგ გადაწყვეტს, გააღოს თუ არა სახელოსნოს კარი.

იმ დღეს ნამდვილად გამიმართლა. ჯერ ერთი, ჩემი უფროსი მეგობრისა და ბატონი ჯიბსონის ერთგული მეგობრის წყალობით მხატვრთან სტუმრად აღმოვჩნდი და პროტექტორისგან არაჩვეულებრივი დახასიათება მერგო. გამიმართლა იმაშიც, რომ სახელოსნოს კარი იმაზე ადრე გაიღო, ვიდრე ველოდი და ძველი და ახალი ნახატების ნახვის შემდეგ მეტად საინტერესო საუბარი გაიმართა. საუბარი თითქმის ყველაფერზე, რაც ჯიბსონ ხუნდაძეს გადახდენია, იმ ეპოქაზე, რომელიც წავიდა და კიდევ იმაზე, რომელიც დადგა. მხატვრის პროტესტსა და მისსავე კონფორმიზმზე, თუმცა ამ ყველაფერზე საუბარი ერთმა კონკრეტულმა და დღეისთვის ყველაზე აქტუალურმა საკითხმა მოიტანა. საქმე ეხება გრიბოედოვის სახელობის თეატრის ფასადზე არსებულ ვიტრაჟს, რომლის "ყოფნა-არყოფნის" შესახებ დღეს თბილისში ოდნავ დაბნეული, მაგრამ მაინც აქტიური მითქმა-მოთქმა მიმდინარეობს. უფრო კონკრეტულად: არსებობს ინფორმაცია, რომლის თანახმად თეატრის ხელმძღვანელობა შენობის რეკონსტრუქციას აპირებს. რას და როგორ გააკეთებს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა უკვე არსებობს აზრი იმის თაობაზე, რომ თეატრის შენობის ფასადზე წარმოდგენილი ჯიბსონ ხუნდაძის ვიტრაჟი, რომელიც აგერ უკვე 15 წელია არ ანთებულა, უნდა მოიხსნას.

ბესო გალაყვილია. ფოტო

ჯიბსონ ხუნდაძე სახელოსნოში.

სარწმუნოა ეს ინფორმაცია თუ არა, რამდენად ელის თეატრის შენობას განახლება - ერთი საკითხია, მაგრამ ამაზე აქტიური მსჯელობა მას შემდეგ დაიწყო, რაც უნივერმაღის შენობის არქიტექტორმა არაერთხელ გამოთქვა პროტესტი იმის თაობაზე, რომ გია ბუღაძის ავტორობით შექმნილი პანო შენობის ფასადზე დამონტაჟდა. მაშინ (და ეს "მაშინ" არც ისე დიდი ხნის წინ იყო) არქიტექტორის უკმაყოფილება კონკრეტულად ბუღაძისადმი იყო მიმართული. თუმცა არა მხოლოდ ამ არქიტექტორის უკმაყოფილება... მაგრამ აქ აშკარა ცდომილება გაიპარა. ვისი იყო იდეა და წამოწყება, სხვა საკითხია. გადაწყვეტილება უნივერმაღის ფასადის შენიღბვაზე და რაიმეს დამონტაჟებაზე თბილისის მერიას ეკუთვნის და როგორც გია ბუღაძე, ისე შემოქმედებით-კომერციული კომპანია "არტ-ლაინი" ამ დაკვეთის შემსრულებლები არიან. ასეთია რეალობა. რაც შეეხება თბილისურაივნებიანი პანოს მხატვრულ ღირებულებას, ამ საკითხზე არ შევჩერდები (ამაზე დიდი ხნის წინ დავწერე. გარდა ამისა, მარტო ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მის შესახებ რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებსა და დამოკიდებულებებს ისედაც დიდი ადგილი დაეთმო). კიდევ იმიტომ არ შევჩერდები, რომ ჩემი დღევანდელი წერილის თემაა არა უნივერმაღის შენობა და მისი პანო, არამედ გრიბოედოვის თეატრი და ჯიბსონ ხუნდაძის ვიტრაჟი. აქ კიდევ ერთი ცდომილებაა, უფრო სწორად, განსხვავებული საკითხები ირევა ერთმანეთში. უნივერმაღისა და თეატრის შენობებს ერთ მთლიანობაში მოიაზრებენ, რეალობა კი სრულიად განსხვავებულია. მაშინაც კი, როცა ორივე ფასადს სხვადასხვა პანო ააფარეს, ეს არ იყო ერთი იდეით გაერთიანებული აქცია. დაახლოებით ორი თვის განმავლობაში დაიფარა თეატრის ფასადი და, შესაბამისად, ჯიბსონ ხუნდაძის ვიტრაჟი. თეატრის ბილბორდი, რომელიც დიდი ხანია ჩამოიხსნა, მოკლევადიანი აქცია იყო – თეატრის საიუბილეო თარიღს ეძღვნებოდა და ძველი შენობის ფასადს "აცოცხლებდა". აქცია თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იყო და დაკვეთა "არტ-ლაინმა" ფოტოს მეშვეობით შეასრულა. რაც შეეხება უნივერმაღის ფასადს, აქ ქალაქის ხელმძღვანელობამ შედარებით გრძელვადიანი (ორწლიანი) პროექტი აირჩია. პირველისგან განსხვავებით, ყველას თვალწინაა მისი განხორციელებული ვერსია.

ეს ორი მოვლენა, სხვებისგან განსხვავებით, ბატონი ჯიბსონისთვის ერთი არ არის. მეტიც, მხატვარი მხოლოდ საკუთარ ქმნილებაზე საუბრობს. მის მნიშვნელობას ეპოქასთან მიმართებაში განიხილავს და არავითარ შემთხვევაში, როგორც მხატვრულ სიჯიუტეს. თუმცა ისიც ცხადია, რომ მას ბევრად მეტი უფლება აქვს საავტორო უფლებების დაცვა მოითხოვოს, ვიდრე ნებისმიერი შენობის ავტორს, რადგან ზოგადად შენობას არაფერი ემუქრება. ხანდახან რაიმე პლაკატს, ეკრანს ან ბილბორდს თუ ააკრავენ, ეს კი თანამედროვე ყოფაში არც ისე იშვიათად ხდება. კონკრეტული ვიტრაჟი კი შეიძლება საერთოდაც აიღონ და წაიღონ...

1975 წელი იდგა და მხატვარს ისეთი კონცეფციის ნამუშევარი მოუწინეს, რომელიც, წესითა და რიგით, იმ ეპოქაში ფორმალიზმის გამო უნდა დაეწუნებინათ. მაგრამ ვიტრაჟი მაინც დამონტაჟდა, იმის მიუხედავად, რომ თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელობა მასში გრიბოედოვის ფიგურას ან სახეს ვერ ხედავდა და საქართველოს, სამშობლოს იდეით გასხივოსნებული ფერადი კონფიგურაციები აღიზიანებდა. ბატონი ჯიბსონი იხსენებს, რომ რიგაში, სადაც ვიტრაჟი დაამზადეს, ყველა გაოგნებული იყო ასეთი სითამამითა და მხატვრისთვის მინიჭებული თავისუფლებით, რომელმაც ნამუშევარს "ცა-ფირუზ ხემელთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო" დაარქვა და ამიტომ დღეს ამ ნამუშევარს კონკრეტული დროისთვის საეტაპოდ განიხილავს. ამას გარდა, თვლის, რომ არ შეიძლება ყველაფერი მოისპოს, რაც განვლილმა ცხოვრებამ შემოგვინახა, თანაც იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რა მხატვრული ღირებულებისაა ნაწარმოები. არ შეიძლება ამ აზრს არ დავეთანხმოთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვიტრაჟის მხატვრული ფუნქცია დღეს თითქმის ნულამდეა დასული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩაბნელებულია და მისი კონსტრუქციები გაუგებარ კომპოზიციად გვეჩვენება. ამას ისიც ემატება, რომ კარგა ხნის წინ ვიტრაჟი ნაწილობრივ ისედაც დაიფარა კედლის ფილებით. ასე რომ, სანამ რაიმეს ჩამოხსნასა და შეცვლას დააპირებენ (თუ საერთოდ დააპირებენ რამეს), აჯობებდა ქალაქში არსებული ეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა – ჯიბსონ ხუნდაძის ვიტრაჟი საზოგადოებისთვის თვალსაჩინო გაეხადათ და შენობა იმით მოერთოთ და მოეკაზმათ, რაც უკვე არსებობს. რადგან თუ მაინცდამაინც შენობის რადიკალურ რეფორმირებაზე მიდგება საქმე, საეჭვოა იმაზე მეტად ღირებული და ესთეტიკურად საინტერესო რამ გამოიტანონ ახალი შენობის ფასადზე, ვიდრე ჩვენი საუბრის ობიექტია. ასეთი დასკვნა ქალაქში ახლად დაბადებული ნაგებობების ფასადებზე თვალის ერთი შევლებითაც შეიძლება გამოვიტანოთ.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ მაინც უნდა შევიგნოთ: ყველაფერს არსებულს უკვე თავისი ადგილი აქვს და ერთი ხელის დაკვრით მისი მოსპობა, მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ ახლა სხვა დრო დგას, არ შეიძლება. მით უფრო მაშინ, როცა ესა თუ ის ნამუშევარი მეტ-ნაკლებად არა კონკრეტულ "მე"-ს, არამედ დროს, საზოგადოებასა და მის კულტურას ეკუთვნის.

გოეთეს მედალი 2006

2006 წლის 22 მარტს ვაიმარში გოეთეს ინსტიტუტი 52-ჯერ აჯილდოვებს გოეთეს მედლით გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც საერთაშორისო კულტურული დიალოგის გაღრმავებისათვის განსაკუთრებული დამსახურებით გამოირჩევიან. გოეთეს ინსტიტუტის პრეზიდენტი, იუტა ლიმბახი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალური ორდენით აჯილდოვებს დრამატურგსა და მთარგვნელს ვერა სან პაიო დე ლემოსს (პორტუგალია), მწერალსა და ფილოსოფოსს გივი მარგველაშვილს (გერმანია/საქართველო), მწერალსა და ლირიკოსს საიდს (გერმანია/ირანი).

გოეთეს ინსტიტუტი გოეთეს მედლით პატივს მიაგებს **ვერა სან პაიო დე ლემოსის** საქმიანობას, რომელიც გერმანიასა და პორტუგალიას შორის თეატრალურ სფეროში გაწეული ღვაწლისათვის; მწერალსა და ფილოსოფოსს **გივი მარგველაშვილს** თავისი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის, რომელიც სამაგალითოდ ასახავს ემიგრაციაში მყოფი ხელოვანის მოღვაწეობას ლიტერატურის, როგორც დამაკავშირებელი ძალის, მეშვეობით. ქარველი ემიგრატის შვილს, რომელიც საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს,

მამა კი გულაგში დაუხვრიტეს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გერმანიასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში და გერმანული ენის გავრცელებაში საქართველოში.

მწერალს, ლირიკოსს და PEN-ის ყოფილ პრეზიდენტს **საიდს** გოეთეს ინსტიტუტი აჯილდოვებს მისი, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, როგორც შუამავალისა გერმანელ და ირანელ ხალხს შორის.

გივი მარგველაშვილის მოღვაწეობაზე საზეიმო სიტყვით გამოვა გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) გენერალური მდივანი კრისტიან ბოდე.

გოეთეს მედალი, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ 1954 წელს დააარსა, 1975 წლიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალურ ორდენად არის აღიარებული. 1992 წლიდან ეს ორდენი ყოველ წელს 22 მარტს, გოეთეს გარდაცვალების დღეს, ვაიმარში, მიენიჭება იმ გამოჩენილ უცხოელ ადამიანებს, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გერმანული ენის გავრცელებასა და საერთაშორისო კულტურული ურთიერთგაცვლის გაღრმავებაში. 1955 წლიდან დღემდე 311 გამოჩენილი ადამიანი იქნა დაჯილდოებული 58 ქვეყნიდან. მათ შორის არიან: პიერ ბულე, სერ ერნსტ გომბიხ, გიორგი ლიგეტი, სერ კარლ რაიმუნდ პოპერი, ბილი ვაილდერი და ირმე კერტეჩი.

გივი მარგველაშვილისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გაიმართება თბილისის გოეთეს ინსტიტუტში 29 მარტს, 18.00 საათზე დიდ დარბაზში.

მწერალი და ფილოსოფოსი საღამოს თავად დაესწრება.

ს.ს. "პროკრედიტბანკი" აცხადებს ტენდერს ბანკის ქონების დაზღვევაზე

გთხოვთ, მოგვაწოდოთ დაზღვევის პირობები დალუქული კონვერტით და წარწერით მამუკა ტაბიძეს, კონფიდენციალურია.

მისამართზე: ს.ს. "პროკრედიტბანკი" სათაო ოფისი მამუკა ტაბიძე, დ. აღმაშენებელის 154. თბილისი, ტელ: 202222 შიდა: 2225 დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დამიკავშირდით იმეილზე: m.tabidze@procreditbank.ge დაზღვევის პირობების მოწოდების ბოლო ვადაა 22 მარტი.

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

სპორტი

„რენო" ფორტე!

გიგა გურასაშვილი

მალაიზიის რბოლის ინტრიგა ის იყო, რომ "ფერარი" სამეულს მიღმა დარჩა. შარშანდელმა ტრიუმფატორმა "რენომ" კი ტიტულის შესანარჩუნებლად როგორც პილოტთა, ისე კონსტრუქტორთა დავაში, დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა - დუბლი შეასრულა! ამჯერად პელოტონის სათავეში მოექცა ფერნანდო ალონსოს იტალიელი თანაგუნდელი ჯანკარლო ფიზიკელა, რომელმაც შაბათის კვალიფიკაციაც მოიგო და ძირითადი რბოლაც. კარგად გამოიყურება "ჰონდას" ბრიტანელი პილოტი ჯენსონ ბატონიც, რომელმაც ბაჰრეინული მეოთხე ადგილის მალაიზიურ მესამედე კონვერტირება შეძლო.

"რენოს" საჭინიბომ დუბლი შეასრულა.

ერთი სიტყვით, იტალიელმა კარიერის მესამე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა მეორე შედეგით დაასრულა რბოლა. თუ ისტორიას გადავხედავთ, გუშინდელი დუბლი მეორე ასეთი შედეგია ფრანგული საჯინიბოსთვის. პირველად ასეთ წარმატებას 1982 წელს მიაღწიეს, როდესაც რბოლა მოიგო რენე არნუმ, ხოლო მეორე ადგილზე ლეგენდარული ალენ პროსტი გავიდა.

"მალაიზიის დიდი პრიზის" დაწყებამდე პილოტებმა ორგანიზატორებსა და კომისრებს დიდი პრობლემა გაუჩინეს. მიზეზი ბოლიდებზე შეცვლილი ძრავები იყო. ისინი ხუთნი იყვნენ: კულჰარდი, მასა, ძმები შუმახერები და ბარიკელო. თუმცა, კომისრებს ბევრი არ უფიქრიათ, უმალ სადამსჯელო ოპერაცია განახორციელეს: შაბათის კვალიფიკაციაზე დაკავებული ადგილების მიუხედავად, პილოტები ათ-ათი საფეხურით ჩამოაქვეითეს. მიხაელ შუმახერი, რომელსაც მეოთხე პოზიციიდან უნდა დაეწყო რბოლა, მეთოთხმეტე საფეხურზე გამწესეს.

სტარტი და პირველი წრე, რომელიც ხდება ხოლმე, საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. ალონსომ, რომელიც მწვანე შუქზე მძაფრი რეაქციით გამოირჩევა, პირველივე წამებზე ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან და მეშვიდედან მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა. კარგად აიღო სტარტი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმაც – მე-14 ადგილიდან მეათეზე გადაინაცვლა. თუმცა, პროლოგის მთავარი გმირი მაინც კულჰარდი აღმოჩნდა, რომელმაც ერთბაშად რვა პოზიცია მოიგო.

მაშინ, როდესაც ერთნი პოზიციებს იუმჯობესებდნენ, კიმი რაიკონენმა და კრისტიან კლინმა პირველივე წრეზე დაასრულეს რბოლა.

ის იყო, კლინი მეოთხე მოსახვევს გადიოდა, რომ ფინელის ბოლიდს დაეჯახა. რაიკონენმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ტრასიდან გადავიდა. ავსტრიელ კლინს კი საბურავი გაუსკდა და რბოლაზე უარი თქვა.

მეექვსე წრეზე სეზონის დებიუტანტს, უილიამსელ ნიკო როსბერგს ძრავა დაეწვა.

ტექნიკურ პრობლემას შეეწირა დევიდ კულჰარდის "რედ ბულიც", რომელსაც გადაცემათა კოლოფმა უმუხთლა და რბოლას გამოეთიშა.

მე-16 წრეზე პელოტონს მეორე უილიამსელი მარკ ვებერი გამოაკლდა. ავსტრალიელსაც იგივე პრობლემა შეექმნა, რაც მის გერმანელ თანაგუნდელ როსბერგს – ძრავა დაეწვა.

ამასობაში მანქანებში საწვავის მარაგი ამოიწურა. ავზის შესავსებად პირველი რბოლის ლიდერი ჯანკარლო ფიზიკელა გაეშურა. სკუდერიელი ფელიპე მასა ერთადერთი იყო, რომელმაც საკუთარი სტრატეგია ავზის ერთხელ შევსებაზე ააგო –ბრაზილიელმა სავსე ავზით დაიწყო რბოლა. სხვათა დროებითმა გადახვევებმა, ბუნებრივია, მასას მოწინავე პოზიციებისკენ გაუხსნა გზა – მე-19 ადგილიდან მეოთხე საფეხურამდე დაწინაურდა.

რბოლის დასრულებამდე რვა წრით ადრე კიდევ ერთი ბოლიდის ძრავა დაიწვა – მალაიზიურ სიცხეს ვერ გაუძლო ჰაიდფელდის BMW-მ, რომელიც ამ დროს მეხუთე ადგილზე იყო.

"მალაიზიის დიდი პრიზი" "რენოს" ტრიუმფით დასრულდა, რომელსაც ჯენსონ ბატონი საკუთარი "ჰონდათი" შეუერთდა.

"მძიმე რბოლა იყო როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, მაგრამ... მანქანა საოცრად კარგად იქცეოდა, - რბოლის შემდეგ განაცხადა ფიზიკელამ. მან საკუთარი გამარჯვება მიუძღვნა ბავშვობის მეგობარს, რომელიც ერთი კვირის წინ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, – ემოციურად ძალზე მძიმე კვირა მქონდა, მეგობარი დავკარგე. ძალ-ღონე არ დავიშურე გამარჯვებისთვის..."

"მალაიზიის დიდი პრიზი"
"სეპანგის" ავტოდრომი, 56 წრე.
5,543 კმ.

1. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") 1:30:40.529
2. ფერნანდო ალონსო ("რენო") +4.5
3. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") +9.6
4. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენი") +39.3
5. ფელიპე მასა ("ფერარი") +43.2
6. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") +43.8

უსწრაფესი წრე:
ფერნანდო ალონსო 1:34.803

მეთერთმეტე ტიტული

ინდიანა-უელსში დამთავრდა დიდი საჩოგბურთო ქალთა ნაწილი. რუსულ ფინალში მარია შარაპოვამ გაიმარჯვა. მან ორ სეტში - 6:1, 6:2 დაამარცხა ელენა დემენტიევა. ეს უკვე მეთერთმეტე ტიტულია 18 წლის ჩოგბურთელის კარიერაში.

გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა რუსულ ფინალს პირველი კატეგორიის ტურნირზე - Pacific Life Open, რომლის საპრიზო ფონდი 2,1 მილიონი დოლარი იყო, მაგრამ ის, ცოტა არ იყოს, გაწბილებული დარჩა, რადგან ფინალში ბრძოლა ვერ იხილა. საქმე ის არის, რომ ელენა დემენტიევამ ნახევარფინალში ტურნირის ფავორიტის, ბელგიელი ჟიუსტინ ენინარდენის დამარცხებას (მატჩი სამ საათს გაგრძელდა) უდიდესი ენერგია შეალია. ამიტომ მან ფინალისთვის აღდგენა ვერ მოასწრო და, შესაბამისად, ვერც შარაპოვას გაუწია სათანადო წინააღმდეგობა.

მხოლოდ მეორე სეტის დასაწყისში, როცა დემენტიევამ ბრეიკი გაახერხა და - 2:1 დაწინაურდა, მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა. დანარჩენი დროის მანძილზე მატჩის სადავეები მთლიანად შარაპოვას ეპყრა ხელთ. მან 25 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ხოლო დემენტიევა 37-ჯერ შეცდა.

შარაპოვა ტრადიციულად ძლიერია WTA-ის ტურნირების ფინალში. 13 შემთხვევიდან რუსმა ჩოგბურთელმა 11-ში იმარჯვა. თუმცა, უკანასკნელი გამარჯვება შარაპოვას შარშან ივლისში ჰქონდა გაფორმებული. ამის მიზეზი მხრის ქრონიკული ტრავმა იყო, რომელიც ჩოგბურთელს დიდხანს ტანჯავდა.

"ძალიან მიჭირდა. ტურნირიდან ტურნირამდე ფორმას ვიუმჯობესებდი, მაგრამ მხრის ტრავმა მთელ შრომას წყალში მიყრიდა. ბედნიერი ვარ, რომ ხანგრძლივი შრომა დამიფასდა. ახლა საკუთარ თავში ძალიან ვარ დარწმუნებული", - განაცხადა ტურნირის გამარჯვებულმა.

ტურნირის პირობებსა და ფინალური მატჩის პერიპეტიებზე საუბრისას შარაპოვამ თქვა: "პირობები ორივესთვის თანაბარი იყო. ასეთ ქარში თამაში ძალიან ძნელია. არ იცი, ბურთი საით გაფრინდება. განსაკუთრებით ძნელია მოწოდება. ამ დროს არ ფიქრობ იმაზე, რომ ლამაზი თამაში აჩვენო. მხოლოდ ცდილობ, როგორმე თამაში მოიგო", - აცხადებს 18 წლის ჩოგბურთელი.

დემენტიევას კი ფაქტის აღიარება მოუხდა: "მე თამაშისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი, მაგრამ ქარში თამაშს მარიამ უფრო კარგად აუღო ალღო და მატჩის ბოლომდე აკონტროლებდა სიტუაციას".

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

თავისუფალი გაზი

■ **რას მიიღებს ახალი გაზსადენისაგან საქართველო? - პირველ რიგში, ენერგოუსაფრთხოებას.**

■ **საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ფორსმაჟორულ სიტუაციაში გაზის "ჩამოსატანად" შორს არ მოუწევს წასვლა.**

■ **გაუძლებს კი საქართველოდან ევროკავშირისკენ მიმავალი გაზსადენი კონკურენციას? პროექტის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ გაუძლებს, არგუმენტად კი ასახელებენ კონკურენტუნარიან ტარიფებს და რაც მთავარია, ევროპის ქვეყნების ინტერესს უზრუნველყონ თავიანთი ენერგოუსაფრთხოება.**

დიანა ჩაჩუა

მილსადენის მსოფლიო რუკაზე, მართალია, წყვეტილი ხაზებით, მაგრამ უკვე გაჩნდა ახალი პროექტის - საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენის მონახაზი. წინასწარი მონაცემებით, 2 მილიარდ დოლარად შეფასებული გაზსადენი ბუნებრივ აირს კასპიის რეგიონიდან, საქართველოს და შავი ზღვის გავლით, უკრაინას, შემდეგ კი ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნებს მიაწვდის. ამ პროექტის შესახებ პირველად გასულ კვირას, თბილისში ჩატარებულ "ნავთობის, გაზის, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის" საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადეს. პროექტზე სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო კონსორციუმი მუშაობს რომელიც აშშ-შია დაფუძნებული. "მომავლის პროექტი", როგორც მას უკვე უწოდეს, კონკურენტუნარიანი იქნება. ამაში თბილისში მყოფი, კონსორციუმის წევრები გვარწმუნებენ.

B2

GUEU-ს დირექტორები ჯანეკ რადონი და რობერტო პირანი კონფერენციის ორგანიზატორთან ერთად.

კასპიის ზღვის ნავთობის მოთამაშეების ინტერესები შეიცვალა

B2

თურქმენეთი კიევისაგან გაზის დავალიანებას მოითხოვს

"სოფტბანკი" "ვოდაფონის" იაპონურ განყოფილებას ყიდულობს

აშშ-ს საფონდო ბირჟა სამრეწველო ფირმების ხარჯზე გაიზარდა

B3

გაიყიდება თუ არა ფოთის პორტი

B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3379
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0074
1	აშშ დოლარი	USD	1,8275
1000	ბელორუსიული მანათი	BYR	0,8498
1	ბერგალური ლეი	BGL	1,1372
1	დანიური რონი	DKK	0,2980
1	ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3184
1	ევრო	EUR	2,2230
10	ესტონური რონი	EEK	1,4213
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,3514
1	თურქული ლირა	TRY	1,3839
10	იაპონური იენი	JPY	0,1566
1	ინგლისური ბირვანქა ს	GBP	3,2050
1000	ირანული რიალი	IRR	0,2004
10	ისლანდიური რონი	ISK	0,2661
1	ისრაელის სე ელი	ILS	0,3920
1	კანადური დოლარი	CAD	1,5807
1	ლატვიური ლატი	LVL	3,1346
10	ლიტვიური ლიტი	LTL	6,3834
10	მოლდოვური ლეი	MDL	1,4015
1	ნორვეგიული რონი	NOK	0,2783
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5798
10000	რუმინული ლეი	ROL	0,6140
1	რუსული რუბლი	RUB	0,0660
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1287
100	სომხური დრამი	AMD	0,4053
1	ტაჯი ური რუბლი	TJR	0,5690
1000	უზბე ური სომი	UZS	1,6762
10	უ რაინული გრივნა	UAG	3,6114
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,8580
1	ქუვეითური დოლარი	KWD	6,2583
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1430
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4418
1	შვედური რონი	SEK	0,2381
1	შვეიცარული ფრან ი	CHF	1,4150
1	ჩეხური რონი	CZK	0,0781
1	ჩინური იუანი	CNY	0,2276
1	ჰონ- ონგური დოლარი	HKD	0,2356



რუსეთის უძმი მილიარდები და პრომილოშევიური ისტორია

თორნიკე შარაშენიძე
ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

უძმი ნავთოგდოლარები

გასულ კვირას მიცემულ ინტერვიუში რუსეთის მთავრობის აპარატის უფროსმა ფარდა ახადა საიდუმლოებით მოცული სტაბილიზაციის ფონდის საქმიანობას. ეს ის ფონდია, რომელიც ნავთობზე მაღალი ფასის წყალობით გროვდება და რომლის მოცულობამაც უკვე 1,5 ტრილიონ რუბლს გადააჭარბა. აპარატის უფროსის თქმით, მთელი ეს თანხა რუსეთშია (არ დაბანდებულა აშშ-ის ხაზინის ობლიგაციებში, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს ხოლმე). გარდა ამისა, ეს თანხა სწორედ რუბლებში ინახება და არა დოლარებში. ინახება ქვეყნის ცენტრალურ ბანკში, სპეციალურ ანგარიშზე. ინახება და ჯერ არავინ უწყის რამდენი ხნით, რადგან რუსეთში ვერა და ვერ გადაუწყვეტიათ სად დააბანდონ და როგორ განკარგონ ასეთი ოდენობის ფული.

მოკლედ, რუსეთის სტაბილიზაციის ფონდის საქმიანობის თაობაზე არაფერია სათქმელი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ფონდი არაფერს არ საქმიანობს. ერთი მხრივ, არც არის გასაკვირი, რადგან ასეთ შემოსავალს ქვეყანაში არავინ ელოდა და შესაბამისად მის ასათვისებლად ქვეყანა მზად არ აღმოჩნდა. მზად არ არიან რუსეთის ეკონომისტები, რომელთაც ვერ გადაუწყვეტიათ სად უნდა წავიდეს ეს მილიარდები და ასევე არაა მზად რუსეთის ეკონომიკა, რომლის პოტენციალიც შეზღუდულია და დიდი რესურსების მომგებიანად ათვისების საშუალებას არ იძლევა. შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ რუსეთმა დაკარგა ერთი წელიწადი - უკვე შარშან ეს მილიარდები შეიძლებოდა სარფიანად დაბანდებულიყო და მოგებაც მოეტანა.

მეორე მხრივ, აშშ-ის ხაზინის ობლიგაციებში ამ მილიარდების დაბანდება გარანტირებულ და საკმაოდ სარფიან კაპიტალდაბანდებას წარმოადგენს. აშშ-ის ეკონომიკა, რუსულისგან განსხვავებით, ხომ ნებისმიერ რესურსებს ეფექტიანად აითვისებს. მაგრამ ჩანს, მოსკოვში ეს ამერიკის ეკონომიკის სტიმულირებად განიხილება. შესაბამისად, ამ ვარიანტისგან თავს იკავებენ. არადა, ამგვარ პრაქტიკას დიდი ხანია მისდევს ჩინეთი, რომელმაც უკვე ამ გზით დიდი თანხა დააბანდა აშშ-ის ეკონომიკაში და მოგებასაც იღებს. რუსეთს ჯერჯერობით არც კუვეიტის ვარიანტი იზიდავს, რაც ნავთობდოლარების ხარჯზე საკუთარი მოქალაქეებისათვის შეღავათების შექმნას გულისხმობს (კუვეიტში ყოველი ახალდაბადებულის ანგარიშზე 3 ათასი დოლარი იდება;

B2

როკფელერის მემკვიდრის აღმავლობა

ExxonMobil-მა ფინანსური რეკორდი დაამყარა

ჯონ დევისონ როკფელერმა 1937 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, თავის მეგობარ ჰენრი ფორდს შემდეგი შეხვედრა სამოთხეში დაუნიშნა. ფორდმა ჩაიცინა და უთხრა, აი, იქ კი ნამდვილად ვერ შევხვდებითო. დიახ, მაშინ ამერიკელთა უმრავლესობას ქვეყნის უმდიდრესი ადამიანისათვის ადგილი მხოლოდ ჯოჯოხეთში ემეტებოდა.

გოჩა ქიმუსვაძე

ნავთობი კვლავ მსოფლიოს მართავს. ახლახან Financial Times-ის მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების რეიტინგის მიხედვით, საფონდო ბაზარზე მოხდა მოვლენა, რომელსაც სპეციალისტები დიდი ხანი ელოდნენ. "შავ ოქროზე" კატასტროფულად გაზრდილი ფასები კომპანია ExxonMobil-ს, საბაზრო კაპიტალიზაციის და მოგების მაჩვენებლების მიხედვით, რეიტინგში სამრეწველო და საბანკო გიგანტების - General Electric-ის და Citigroup-ის უკან ჩამოტოვებაში დაეხმარა.

ExxonMobil-ის საბანკო კაპიტალიზაციამ 405,25 მილიარდი დოლარი შეადგინა, ფინანსური კვარტლის მიხედვით დაფიქსირებული მოგება კი ადრინდელთან შედარებით 75%-ით გაიზარდა და 25,33 მილიარდი დოლარია - ეს ყველა დროის სარეკორდო მაჩვენებელი გახლავთ.

B3

რუსეთის უძმი მილიარდები და პრო-მილოშევიჩური ისტერია

პირველი გვერდიდან

ამას ემატება უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება და უპროცენტო კრედიტები ბინის მშენებლობაზე). მაგრამ ჩანს, ამ შემთხვევაში რუსებს ინფლაციის შიში აკავებთ. სანამ კრემლში მსჯელობენ, მილიარდები მრავლდება. მხოლოდ მარტის პირველი კვირის განმავლობაში რუსეთის ჯიბე კიდევ 3,8 მილიარდი დოლარით შეივსო. ქვეყნის სავალუტო რეზერვები სტაბილიზაციის ფონდთან ერთად უკვე ასტრონომიულ რიცხვს აღწევს. ეს ერთის მხრივ კარგია - ადრე თუ გვიან მოსკოვი გადაწყვეტს სად დაბანდოს მილიარდები და ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სანამ მილიარდები უქმედ ძევს, გრძელდება რუსეთის ნავთობრესურსების შეუბრალებელი ექსპლუატაცია; ნავთობმოპოვების პოტენციალი მაქსიმუმზე მუშაობს და თუკი ასე გაგრძელდა, ქვეყანა თავის "შავი ოქროს" მარაგს ყველაზე მალე ამოწურავს. თანაც, ნავთობმოპოვებისათვის რუსული კომპანიები მოძველებულ ტექნოლოგიას იყენებენ, რის გამოც ეფექტიანობა საკმაოდ დაბალია და მომპოვებელი სამუშაოების დროს "შავი ოქროს" საკმაოდ დიდი რაოდენობა ფუჭად იღვრება. ჩანს, კრემლში შიშობენ, რომ ნავთობმოპოვების მოცულობის შემცირება რუსეთის მიერ მსოფლიო სანავთობო ბაზარზე პოზიციების დაკარგვას გამოიწვევს. პოზიციების მოპოვებისათვის კი რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა. თავის დროზე, როცა ოპეკი (ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია) ფასების დასარეგულირებლად ნავთობმოპოვებას ამცირებდა, რუსეთი ნავთობმოპოვებას განგებ ზრდიდა ხოლმე, რათა ბაზარზე ოპეკის მიერ გამოთავისუფლებული სეგმენტი დაეჭირა. შედეგად რუსეთი ახლა ნავთობის უდიდესი ექსპორტიორია საუდის არაბეთთან ერთად.

ეკონომისტთა გათვლით, თუკი ნავთობზე ასეთი მაღალი ფასები შენარჩუნდება, მაშინ პრეზიდენტ პუტინის მიერ დასახული მიზანი რუსეთის მთლიანი ეროვნული შემოსავლის გაორმაგების თაობაზე სულ რამდენიმე წელიწადში იქცევა რეალობად. ეკონომისტებს არ გაუთვალისწინებიათ ის გარემოება, რომ ნავთობიდან დაგროვილი მილიარდები შეიძლება აუთვისებელი დარჩეს. თუმცა, არის ერთი სფერო, სადაც რუსეთი ყოველთვის დაუფიქრებლად დაბანდებს ფულს - შეირაღებული ძალები. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, რუსული ნავთობკომპანიები ერთობ მოძველებულ ტექნოლოგიას იყენებენ და საერთოდ ნავთობის ინფრასტუქტურა ერთობ მოძველებულია. ყოველივე ამის განსაახლებლად რუსეთს დაახლოებით ნახევარი ტრილიონი დოლარი ესაჭიროება. ეს თანხა კი საკმაოდ მალე შეგროვდება.

ცხადია, ჭარბი ნავთობდოლარები ნაწილობრივ მაინც აისახება რუსეთის ეკონომიკასა და მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე. ახლა ქვეყანა, და განსაკუთრებით მისი დედაქალაქი, გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ეს სამი-ოთხი წლის წინ იყო. ნავთობდოლარების ეკონომიკაში ნაწილობრივი გაშვება დიდი სტიმულია წვრილი კომპანიებისა და კერძო პირებისათვის. თუმცა, უცხოელი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ პერსპექტიულ კაპიტალდაბანდებაზე არც ეს ფენა ფიქრობს და ფული ძირითადად ოფისების ლამაზად მოწყობაზე, რემონტებსა და პირადი ფუფუნების საგნებზე მიდის.

საქმიანი გარიგებები და პრომილოშევიჩური ისტერია

გასულ კვირას საქმიანი ამერიკა ძირითადად ორ საკითხზე მსჯელობდა: ქვეყნის უდიდესი ავტომწარმოებლის, "ჯენერალ მოტორზის" 10,6 მილიარდიანი ზარალი (ამდენი დაკარგა კომპანიამ გასულ წელს) და ლონდონის ბირჟის შესაძლო შესყიდვა რომელიმე ამერიკული ბირჟის მიერ. პირველი თემა ნაკლებად აქტუალურია, რადგან "ჯენერალ მოტორზი" დიდი კომპანიაა და ამგვარ ზარალსაც როგორმე გადაიტანს, მითუმეტეს რომ ავტოგიგანტი იაპონურ "სუძუკიში" თავისი წილის გაყიდვას და აქედან 2 მილიარდის ამოღებას გეგმავს. უფრო საინტერესო ლონდონის ბირჟის საკითხია. ამ უკანასკნელმა უარი თქვა ამერიკული "ნასდაქის" შეთავაზებაზე, მაგრამ ახლა ნიუ იორკის ბირჟის წინადადებას განიხილავს. ეს ლონდონის ბირჟის შესყიდვის უკვე მეოთხე მცდელობა იქნება (აქამდე "ნასდაქის" გარდა ამას "ევრონექსტი" და "დოიჩე ბიორსე" ცდილობდნენ) და, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მას წარმატების ყველაზე მეტი შანსი აქვს. ამგვარი წარმატება კი კიდევ უფრო გაამყარებს აშშ-ბრიტანეთის საქმიან კავშირებს და აშშ-ის პოზიციებს ძველი კონტინენტის ეკონომიკაში.

სანამ უოლ სტრიტზე ამ გარიგებების გარშემო მსჯელობდნენ, რუსეთი არნახულმა აჟიოტაჟმა მოიცვა სერბების ყოფილი ლიდერის, სლობოდან მილოშევიჩის გარდაცვალების გამო. როგორც ჩანს, სამწუხაროდ არცთუ ისე რთულია რუსული საზოგადოების დიდი ნაწილის იმაში დარწმუნება, რომ ჰააგაში მილოშევიჩი მოწამლეს, ან არასწორად უმკურნალეს (რასაკვირველია, განგებ). გასულ კვირას რუსული მედია ისეთმა პრომილოშევიჩურმა ისტერიამ მოიცვა, რომ ალბათ დროულია კიდევ ერთხელ დავსვათ შეკითხვა, რომელიც ხშირად ისმის ხოლმე: რატომ უჭერს კრემლი მხარს ყველანაირ დიქტატორს, დაწყებული ბელორუსიით და დამთავრებული შუა აზიით? ცივი, პრაგმატული ინტერესების გამო? იმის გამო, რომ ეს დიქტატორები პრორუსულ პოლიტიკას ატარებენ? მაგრამ მილოშევიჩის მოღვაწეობას თუ თვალს გადავავლებთ, ცხადი გახდება, რომ ის რუსეთისადმი დიდი სიმპათიებით არ გამოირჩეოდა. იგი მუდამ ამერიკელებთან, ან ამერიკელების შუამავლობით დებდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გარიგებებს (მაგალითად 1995 წლის გარიგება, რამაც ბოსნიაში ომი დაასრულა); მისი მოღვაწეობის პერიოდში რუსეთის გავლენა ბალკანეთზე სულაც არ გაზრდილა, თუ არა პირიქით. მილოშევიჩი, განსხვავებით მის თანამემამულეთა უმრავლესობისაგან, რუსულად არც კი ლაპარაკობდა და თურმე მოსკოველ სტუმრებსაც კი ინგლისურად ესაუბრებოდა ხოლმე.

იქნებ რუსეთი "ძმურ" სერბ ხალხს იცავდა და იცავს. მაგრამ ნუთუ ასეთივე "ძმურია" კრემლისათვის თურქმენეთი ან ჩრდილო კორეა? თანაც მილოშევიჩი ხომ დიდი ხანია სერბ ხალხს აღარ წარმოადგენს.

არსებობს კიდევ ერთი ახსნა: კრემლი ყველაფერს იყენებს დასავლეთის წინააღმდეგ ისტერიის ასაგორებლად და პრომილოშევიჩური კამპანიაც ამას ემსახურება. თუმცა, არსებობს სხვანაირი ახსნაც: კრემლი მხარს უჭერს ყველანაირ დიქტატორსა და დიქტატურას უბრალოდ იმის გამო, რომ არ სურს მარტოდ იგრძნოს თავი.

კასპიის ზღვის ნავთობის მოთამაშეების ინტერესები შეიცვალა

ყაზახური ნავთობი ბათუმის პორტის სანაცვლოდ

"ნავთობმომპოვებელ კომპანია "ექსონმობილთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, აზერბაიჯანიდან ნედლი ნავთობის გადაზიდვის მოცულობა გაიზრდება და მილიარდ ტონას მიაღწევს.



ეფერ ლეონოვიჩის ფოტოები

თინა შავაძე

თბილისში გასულ კვირას, კასპიის ზღვის აუზის ნავთობის მთავარი მოთამაშეები შეიკრიბნენ. საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელზეც ნავთობის, გაზის, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის საკითხებზე იყო საუბარი, ამ სექტორების განვითარების ახალი ტენდენციები გამოიკვეთა.

ცნობილია, რომ კასპიის ნავთობი და გაზი, საქართველოს გავლით, დასავლეთის ბაზრებზე იგზავნება. ამისთვის გამოიყენება საქართველოს რკინიგზა და პორტები. თუმცა, როცა მიმდინარე წლის ივნისში ჯეიჰანში პირველი ტანკერები ჩაიტვირთება კასპიის ზღვის ნედლი ნავთობით, მაშინ მოსალოდნელია, საქართველოს რკინიგზით და პორტებით ნავთობის გადაზიდვის მოცულობა შემცირდეს.

კომპანია "პეტროტრანსის" (ბათუმის ტერმინალის მფლობელი) ბიზნესის განვითარების დირექტორის ლაურენთ რუსეეკის განცხადებით, "ნავთობმომპოვებელ კომპანია "ექსონმობილთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, აზერბაიჯანიდან ნედლი ნავთობის გადაზიდვის მოცულობა გაიზრდება და მილიარდ ტონას მიაღწევს. აზერბაიჯანიდან ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება 2005 წელს გაიზარდა. მიუხედავად ამისა, როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში ნედლი ნავთობი გაივლის, მაშინ კომპანიის მომავალი ბიზნესი ბუნდოვანი გახდება. სავარაუდოდ, ბათუმის ტერმინალს მომწოდებლები შეუმცირდება და ეს საკითხი სასწრაფოდ გადაჭრას მოითხოვს.

კორიდორის ყველა მოთამაშე ნავთობის გადაზიდვის დროს შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ნავთობტერმინალი არაკონკურენტული გახდება და ბათუმის პორტში ნაკლები მოცულობის ნედლი ნავთობი მოხვდება.

უკვე ორი წელია, ბაქოს ნავთობის გარკვეული ნაკადების გადაზიდვა ირანის მარშრუტით ხდება, რამაც მდგომარეობა გაგვიუარესა და ახლა უკვე კრიტიკული სიტუაციაა შექმნილი. ჩვენ ვფიქრობთ შუა აზიის ქვეყნებიდან ნავთობის გადაზიდვას და აქცენტს ვაკეთებთ შუაზიურ ნავთობზე - თენგიზის საბადოებზე. შესაძლებელია რუსული მაზუთის და ნედლი ნავთობის გადაზიდვაც."

ასეთი პერსპექტივის ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ბათუმის პორტი ხომ არ დაკარგავს კომერციულ ხიბლს მაშინ, როცა ამ ობიექტის 49-წლიანი იჯარით გაცემა იგეგმება. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ პორტის შემადგენელი ყველაზე მიმზიდველი ნაწილი საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურით მოწყობილი ნავთობტერმინალია. "24 საათთან" საუბარში ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის დირექტორი ინვესტიციებისა და განვითარების დარგში ზაზა გუმბერიძე ამბობს, რომ "პორტის ტერიტორია ტერმინალს 2009 წლამდე იჯარით აქვს აღებული და ეს ხელშეკრულება სასამართლო დავის საგანია. პორტი იღებს მხოლოდ იჯარის თანხას და პორტის მოსაკრებელს. ამდენად, თუ ტერმინალს ნავთობის გადაზიდვის მოცულობა შეუმცირდება, ეს პორტის ფინანსურ მდგომარეობას არ გააუარესებს. საქართველოში ეს საწარმო არის ყველაზე მომგებიანი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბათუმის პორტით შუა აზიის ნედლი ნავთობი ნაკლებად მოძრაობს, არის პერსპექტივა, რომ მისი გადაზიდვა განხორციელდეს."

ყაზახური ბანკი "ტურანალემი" დაინტერესებულია საქართველოთი, როგორც ნავთობის გადაზიდვის კორიდორით. ეს მკაფიოდ გამოიკვეთა თბილისში, გასულ კვირას გამართულ კონფერენციაზე, სადაც ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს ბათუმის პორტის პერსპექტივა ნავთობის გადაზიდვის პროცესში. ეს ის შემთხვევაა, როცა ორი ქვეყნის ბიზნესინტერესები ემთხვევა, რაც პრობლემას ადვილად მოაგვარებს - დღემდე თუ არ ხდებოდა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა ბათუმის პორტიდან, ამ ობიექტის იჯარით აღების შემთხვევაში ეს შესაძლებელი გახდება.

საზღვაო საქმის ექსპერტები ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურს შავი ზღვის თვითნაბად მარგალიტს უწოდებენ. მის ძირითად კონკურენტებად შეიძლება უკრაინის ნავსადგურები (ოდესა და ილიჩევსკი), რუსეთის ნავსადგურები (ნოვოროსიისკი და ტუაფსე) და ფოთის ნავსადგური ჩაითვალოს.

რუსეთისა და უკრაინის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტორი, რომ უკრაინის ნავსადგურის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთში ხშირია ძლიერი ქარები. გარდა ამისა, გემთმფლობელი იძულებულია, არხებით სარგებლობის ტარიფი იხადოს. ძლიერი მხარეებია რუსეთისა და უკრაინის საექსპორტო შესაძლებლობები და მათი ტვირთების, განსაკუთრებით - ნავთობის, ექსპორტირება.

ფოთის ნავსადგურის სუსტ მხარედ ითვლება დანალექადი სიღრმეები. შეზღუდულია დიდტონაჟიანი გემების მიღება. სამაგიეროდ დიდი უპირატესობაა, რომ იგი მასშტაბით და გადატვირთვის სიმძლავრეებით ბათუმის ნავსადგურს აღემატება.

თავისუფალი გაზი

პირველი გვერდიდან

კონსორციუმის GUEU-ის (Georgia-Ukraine-EU pipeline) გადაწყვეტილებით პროექტის პირველი საჯარო პრეზენტაცია საქართველოში მოეწყო. პროექტი კონსორციუმის ოთხმა დირექტორმა წარმოადგინა - რობერტო პირანიმ, გიორგი ვაშაყმაძემ, ჯანეკ რადონმა და რეი ტომკინსმა. ერთ-ერთი დირექტორის გიორგი ვაშაყმაძის განცხადებით, ახალი გაზსადენი ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაციის საშუალებას იძლევა. **"ამ ეტაპზე ევროპის 25 პროცენტი ერთ წყაროზე - რუსეთზეა დამოკიდებული,** - განაცხადა გიორგი ვაშაყმაძემ "24 საათთან" საუბარში, - **ამ პროექტით ბევრია დაინტერესებული - ბუნებრივი აირის მწარმოებელი ქვეყნები, მომხმარებელი ქვეყნები და სატრანზიტო ქვეყნებიც, მათ შორის, საქართველო."**

როგორც კონსორციუმის კიდევ ერთმა დირექტორმა რობერტო პირანიმ აღნიშნა, მოცემულ ეტაპზე პროექტის შეფასებითი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება. ამ საკმაოდ ამბიციური "მომავლის პროექტის" განხორციელებას სულ ცოტა ხუთი წელიწადი დასჭირდება. აქტიური სამშენებლო სამუშაოების დაწყება კი მხოლოდ 2,5 წელიწადში იქნება შესაძლებელი.

ახალი გაზსადენი შავი ზღვის ფსკერზე უკვე არსებულ გაზსადენს "ცისფერ ნაკადს" გადაკვეთს. თუმცა პროექტის ხელმძღვანელების მტკიცებით, მათ უკვე შემუშავებული აქვთ ტექნიკური გათვლები. შესაბამისად, ღრმა წყლებში მილსადენების კვეთა უსაფრთხო იქნება.

"პოლიტიკური ზეწოლებისგან თავისუფალი გაზი" საქართველოში კასპიის რეგიონიდან მოვა და ზღვის ქვეშ 700 კმ-ის გავლის შემდეგ უკრაინაში "ამოჰყოფს" თავს. თუმცა ამისათვის საქართველოს სანაპიროზე 350 მილიონი დოლარის ღირებულების საკომპრესორო სადგურის აშენება იქნება საჭირო.

საინტერესოა, რომ კონსორციუმის დირექტორების განცხადებით, პირველ ეტაპზე გაზსადენით რვა მილიარდი კუბური მეტრი გაზის გატარება იქნება შესაძლებელი. **"კასპიის მარაგები იმდენად დიდია, რომ მომდევნო ფაზებში გაზსადენით გატარებული ბუნებრივი აირის მოცულობის 4-6-ჯერ გაზრდის შესაძლებლობას იძლევა"** - განაცხადა რობერტო პირანიმ.

"ამ პროექტით განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ინტერესდებიან, რომლებიც გაზს მხოლოდ რუსეთიდან იღებენ. ევროპის ქვეყნებისთვის მონოპოლია მიუღებელია, მათ გაზის რესურსების დივერსიფიკაცია სჭირდებათ. თუმცა რუსეთი მონოპოლიის შენარჩუნებას ცდილობს და ამისათვის ერთ-ერთი იარაღი ჩრდილო ევროპის გაზსადენია. GUEU პროექტის განხორციელების შემთხვევაში, "გაზპრომს" შანტაჟის ნაკლები ბერკეტები ექნება."

რას მიიღებს ახალი გაზსადენისაგან საქართველო? **"პირველ რიგში, ენერგოუსაფრთხოებას,"** - მიიჩნევენ ექსპერტები. ბუნებრივია, საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, საკუთარ ტერიტორიაზე გაზის გატარებით სარგებელსაც მიიღებს. საქართველოსთვის ბუნებრივი აირის ფასი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ნაკლები იქნება. და კიდევ ერთი: საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ფორსმაჟორულ სიტუაციაში გაზის "ჩამოსატანად" შორს არ მოუწევს წასვლა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ: ევროკავშირის ბუნებრივი აირის ბაზარი 2010 წლამდე "გაზპრომის" მიერაა მონოპოლიზებული; რუსეთ-ევროპის ახალი გაზსადენიც, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გაივლის, მთლიანად რუსეთის მიერ გაკონტროლდება; მის მიერაა ათვისებული თურქეთის ბაზრის ნახევარი, კერძოდ, ბულგარეთის და შავი ზღვის ფსკერზე გამავალი "ცისფერი ნაკადის" მილსადენების საშუალებით; ამჟამად აქტიურად ცდილობს ევროპისათვის გაზის მიმწოდებელ სხვა ქვეყნებში გაზარდოს საკუთარი გავლენა, შეიძლება ვივარაუდოთ, რამდენად სჭირდება დღეს ევროპას ალტერნატივა. გაუძლებს კი საქართველოდან ევროკავშირისკენ მიმავალი გაზსადენი კონკურენციას? პროექტის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ გაუძლებს, არგუმენტად კი ასახელებენ კონკურენტუნარიან ტარიფებს და რაც მთავარია, ევროპის ქვეყნების ინტერესს უზრუნველყონ თავიანთი ენერგოუსაფრთხოება.

როკფელერის მემკვიდრის აღმავლობა

ExxonMobil-მა ფინანსური რეკორდი დაამყარა

პირველი გვერდიდან

გიგანტის ისტორია

ExxonMobil-ის ისტორია სათავეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იღებს, როცა ამერიკის ეკონომიკაში აღმასვლის ხანა დადგა. საწვავ-საპოხ მასალებზე მოთხოვნა სწრაფად იზრდებოდა, რამაც ნათვობის ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნა.

1882 წელს ჯონ დევისონ როკფელერმა და სანავთობო კომპანიებმა საკუთარი ინტერესები Standard Oil Trust-ის სახელით გააერთიანეს. იმავე წელს შეიქმნა კიდევ ორი გადამამუშავებელი და გამსაღებელი კომპანია: Standard Oil Co-ნიუ ჯერსი და Standard Oil Co-ნიუ იორკი, რომლებსაც მოგვიანებით Jersey Standard და Socony უწოდეს. სწორედ ეს კომპანიები გახლავთ Exxon-ის და Mobil-ის წინაპრები.

შემდგომში კომპანიის საქმე სულ უფრო და უფრო უკეთ მიდიოდა, რასაც ხელი ევროპულ და აზიურ ბაზარზე ნავთის გატანამ შეუწყო. მაგრამ 1911 წელს ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ მთავრობის ანტიმონოპოლიური სარჩელი დააკმაყოფილა და Standard Oil Co-ს დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. გაჩნდა 38 დამოუკიდებელი კომპანია, მათ შორის Jersey Standard და Socony. ამავე პერიოდში ავტომობილების სწრაფად მზარდმა ბაზარმა წინა პლანზე არა ნავთის, არამედ ბენზინის წარმოება წამოწია.

ორივე კომპანია დამოუკიდებლად ვითარდებოდა. 1920 წელს Socony-ის ხელმძღვანელობამ საავჭრო მარკა MobilOil-ის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და Magnolia Petroleum-ის 45% შეიძინა. 1931 წელს კი მოხდა Socony-ის და 1866 წელს დაარსებული, ერთ-ერთი უძველესი ნავთობკომპანია Vacuum Oil Co-ის შერწყმა, რომელიც, იმ პერიოდის უმნიშვნელოვანესი გარიგება გახლდათ.

თავის მხრივ, Jersey Standard-მა ტეხასური ნავთობკომპანია Humble Oil & Refining Co-ს 50% შეიძინა და აზიასა და აფრიკაში ნათვობმომპოვებელი და გადამამუშავებელი ქარხნები ააშენა. აღსანიშნავია, რომ 1933 წლიდან მოყოლებული Socony და Jersey Standard აზიისა და აფრიკის რეგიონებში ერთმანეთის ინტერესის გათვალისწინებით მოქმედებდნენ, ანუ, კონკურენციას თანამშრომლობას უთავსებდნენ.

გაფართოების ტემპები მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა და ორივე კომპანიას დიდძალი ზარალი მიაყენა: ბევრი ევროპული და აზიური ქარხანა დაინგრა, ტანკერები კი ექსტერიტორიულ წყლებში დაიღუპა. თუმცა, კომპანიები წარმოების ტემპებს ზრდიდნენ, რომ მოკავშირეთა ჯარები პროდუქციით შეუფერხებლად მოემარაგებინათ. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან თანამშრომლობამ გარკვეული ნოვაციების დანერგვა განაპირობა. კერძოდ, Jersey Standard-მა საწვავში ოქტანური წილი გაზარდა, Socony-Vacuum-ma კი სინთეტიკური საპოხი მასალები გამოუშვა.

ომისშემდგომ წლებში ამერიკის მრეწველობის სწრაფად ზრდამ, ევროპის აღდგენამ, მზარდმა ბაზარმა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ Jersey Standard-ს და Socony-Vacuum-ს ძველი პოზიციების დაბრუნებაში ხელი შეუწყო. ExxonMobil-ის წინაპრმა კომპანიებმა ამ პერიოდში აითვისეს 100-ზე მეტი ქვეყნის ბაზარი და მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმწარმოებლები გახდნენ.

1960 წელს შეიქმნა Mobil Chemical Company, რომელიც 1999 წლამდე აწარმოებდა ოლეფინს, არომატიზატორებს, ეთილენგლიკოლს, პოლიეთილენს, პოლიპროპილენს, საავტომობილო ზეთების სინთეტიკურ დანამატებს და კატალიზატორებს. საწარმოო ბაზები განლაგებული იყო მსოფლიოს 10 ქვეყანაში. ამავე მიმართულების მქონე Exxon Cherminal Company კი 1965 წელს შეიქმნა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის გარდა იგი აწარმოებდა ელასტომერებს,

პლასთიპიკატორებს, გამხსნელებს, წებოს და ეთილირებულ პროდუქციას. მისი საწარმოები მსოფლიოს 24 ქვეყანაში მუშაობდა.

1955 წელს კომპანიას Socony-Vacuum-ს Socony Mobil Oil Co, 1966 წელს კი, უბრალოდ Mibil Oil Co უწოდეს. Jersey Standard კი Exxon Corporation-ად 1972 წელს მოინათლა. ამერიკის მასშტაბით იგი Exxon-ის სავაჭრო მარკით გავრცელდა, მასთან შეერთებული ევროპული კომპანიები კი ძველ სავაჭრო მარკა Esso-ს იყენებდნენ.

ვეფხვის გამოსახულების Esso-ს სავაჭრო ნიშანი პირველად ნორვეგიაში 1900 წელს გამოჩნდა, მაგრამ კარგა ხანია Exxon-ის ძლიერებას აღნიშნავს. ამ ნიშნის კომერციული საქმიანობისათვის გამოყენება Exxon-მა 1953 წლიდან განაახლა, როცა ომისშემდგომი ევროპული ბაზრის ათვისება დაიწყო და სწორედ ვეფხვის გამოსახულებით სურდა ბებერი კონტინენტისათვის ომისდროინდელი დაბალი ხარისხის ბენზინი დაევიწყებინა.

70-იან წლებში ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა არაბულმა ემბარგომ და ირანის რევოლუციამ აიფორიაქა. ამან ნათვობის მოწოდების შემცირება, ფასის ზრდა და ალტერნატიული წყაროების ძიება განაპირობა. Exxon-მა, Mobil-მა და სხვა დიდმა კომპანიებმა ნავთობის მოპოვება ჩრდილოეთის ზღვაში, მექსიკის ყურეში და აზიაში გაზარდეს და გვარიანი მოგებაც ნახეს. 80-იან წლებში პრობლემები მოგვარდა და ნავთობზე ფასი დაეცა. კონკურენცია გამძაფრდა. ამ პირობებში Exxon-ის და Mobil-ის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული გამჭრიახობა გამოიჩინეს, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი ბაზრების ათვისება, დანახარჯების გონივრული შემცირება მოახერხეს, თავიანთი აქციების ვარდნა არ დაუშვეს და პოზიციები შეინარჩუნეს. მენავთობეებისათვის ხელსაყრელი პირობები კიდევ ერთხელ და არა უკანასკნელად 90-იანი წლების დასაწყისში სპარსეთის ყურის კრიზისისას შეიქმნა.

1998 წელს Exxon-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლი რაიმონდის და Mobil-ის გენერალური დირექტორის ლოუ ნოტოს ინიციატივით ორი კომპანიის შერწყმის პროცესი დაიწყო, რომელიც 1999 წლის 30 ნოემბერს დამთავრდა. ასე შეიქმნა მსოფლიოს უდიდესი ნავთობკომპანია ExxonMobil, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნინეთ, ამ დროისათვის მოგების და კაპიტალდაბანდების მიხედვით მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიაა.

ლეგენდარული წინაპარი

ExxonMobil-ზე საუბრისას შეუძლებელია არ გაიხსენო მისი წინაპარი, ლეგენდარული ჯონ დევისონ როკფელერი. ის როკფელერი, რომელმაც 1937 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, თავის მეგობარ ჰენრი ფორდს შემდეგი შეხვედრა სამოთხეში დაუნიშნა. ფორდმა ჩაიცინა და უთხრა, აი, იქ კი ნამდვილად ვერ შევხვდებითო. დიახ, მაშინ ამერიკელთა უმრავლესობას ქვეყნის უმდიდრესი ადამიანისათვის ადგილი მხოლოდ ჯოჯოხეთში ემეტებოდა.

ჯონ დევისონ როკფელერი დაიბადა 1839 წლის 8 ივლისს ნიუ იორკის შტატში. ფანატიკოსი ბაპტისტი დედა მას მომჭირნეობასა და ფულის შოვნის სიყვარულს უნერგავდა. ჰოდა, სულ მთლად პაწაწა როკფელერმაც "ბიზნესი" წამოიწყო: ერთ ფუნტ კანფეტს ყიდულობდა, პატარა გროვებად ყოფდა და თავის დებზე ყიდდა, რითაც მოგებას ნახულობდა. 7 წლის იყო, როცა ერთ მეზობელს ინდაურები მიყიდა და აღებული 50 დოლარი მეორე მეზობელს წლიური 7%-იანი თავნით ასესხა.

ჯონს სკოლა არ დაუმთავრებია. 16 წლის იყო, როცა სამთვიანი საბუღალტრო კურსები გაიარა და კლივლენდში, სადაც იმ დროს მისი ოჯახი ცხოვრობდა, კომპანია "ჰიუიტ და ტალში" მუშაობა დაიწყო. თავდაპირველად თვეში 17 დოლარს იღებდა, შემდეგ 25-ს. ცხადია, როკფელერი ამ ფულს მთლიანად არ ხარჯავდა, გულმოდგინედ აგროვებდა და ოთხ წელში 800 დოლარი მოაქუჩა. კიდევ 1000 დოლარი მამას გამოართვა, რომ პარტნიორ მორის კლარკთან ერთად საკუთარი ფირმა გაეხსნა.

პირველი ჭაბურღილიდან იმპერიამდე

ახალი კომპანიის წარმატებას ხელი 1861-65 წლების სამოქალაქო ომმა შეუწყო. დაპირისპირებული მხარეები ფქვილში, ხორცსა და მარილში დიდ ფულს იხდიდნენ და როკფელერმა და კლარკმა კარგად იხეირეს. ომის შემდეგ კლივლენდის მახლობლად, პენსილვანიის შტატში ნავთობის საბადო აღმოაჩინეს და ქალაქი ნავთობის ციებ-ცხელებამ მოიცვა. საბურღი მოწყობილობა 1000 დოლარამდე ღირდა და ახალი კოშკურები ყოველდღიურად ჩნდებოდა. სხვებს არც მეგობრები ჩამორჩნენ. ჯერ კიდევ მაშინ როკფელერს მთლიანად ნავთობის ბიზნესზე გადართვა სურდა, მაგრამ კლარკი წინააღმდეგი იყო. ჰოდა, ჯონმა კომპანიონისაგან 72500 დოლარად წილი გამოისყიდა და Standard Oil-ის ერთადერთი მფლობელი გახდა.

სამოქალაქო ომის შემდეგ შეერთებულ შტატებში ეკონომიკური აღმასვლა დაიწყო, რამაც ნავთობპროდუქტების მოხმარება გაზარდა. როკფელერის კომპანიის წლიურმა ბრუნვამ 2 მილიონს გადააჭარბა. მან რამდენიმე მცირე კომპანიის შესყიდვაც მოახერხა, მაგრამ მალე კრიზისული პერიოდი დადგა. საქმე ის გახლდათ, რომ 1970 წლისათვის ნავთობის მოპოვების მოცულობა მოთხოვნილებას 3-ჯერ აღემატებოდა, რამაც ნავთობბიზნესის დაღმასვლა განაპირობა.

მიუხედავად იმისა, რომ როკფელერის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მყარი იყო, ქვეყნის ყველაზე დიდი ნავთობკომპანიის 32 წლის მფლობელი კრიზისმა მაინც შეაშფოთა. სიტუაციიდან თავის დასაღწევად მან სატრანსპორტო ხარჯების შემცირება გადაწყვიტა და სარკინიგზო კომპანიასთან ექსკლუზიური თანამშრომლობის კონტრაქტი გააფორმა. ამასთან, პირველმა სწორედ Standard Oil-მა დაიწყო ნავთობის ხის კასრებით გადაზიდვა. გარდა ამისა, როკფელერი მისთვის მიმზიდველი კომპანიების შეძენას განაგრძობდა და ბინძურ მეთოდებსაც არ ერიდებოდა. მაგალითად, Standard Oil ხელოვნურად ამცირებდა ფასებს კონკურენტის ლოკალურ ბაზარზე, ან კიდევ შვილობილი კომპანიების მეშვეობით დაუმორჩილებელ გადამამუშავებელ კომპანიებს ნავთობის მიწოდებას უზღუდავდა.

ამგვარი ოპერაციები სრულიად გასაიდუმლოებული იყო, კომპანიის აგენტები დაშიფრულ დეპეშებს იყენებდნენ. ამასთან, Standard Oil-ის ხელმძღვანელობის სტუმრებს ერთმანეთის ნახვა ეკრძალებოდათ. როკფელერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საწარმოო შპიონაჟს და ბაზრის დაწვრილებით შესწავლას, მისი კომპანიის კართოტეკაში ინახებოდა ინფორმაცია ქვეყნის ყველა ნავთობის მწარმოებლის და მომხმარებლის შესახებ.

1879 წლისათვის როკფელერის "დაპყრობითი ომი" დასრულდა. Standard Oil ამერიკის ნავთობის ბაზრის 95%-ს აკონტროლებდა.

ხალხი საფრთხოებელას წინააღმდეგ

უსიამოვნო გარეგნობამ და სასტიკმა მეთოდებმა როკფელერის პიროვნების ერთგვარი დემონიზაცია განაპირობა. მაგნატს ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევდნენ, მონოპოლისტობასა და ბინძური მეთოდების გამოყენებაში ადანაშაულებდნენ. როგორც ამბობენ, იმ დროს ამერიკელი დედები ურჩ შვილებს როკფელერითაც კი აშინებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ავტომობილების მომრავლებასთან ერთად Standard Oil-ისათვის პრიორიტეტულად თანდათანობით ბენზინის წარმოება იქცა. ამავე პერიოდში როკფელერის მონოპოლისტობასთან დაკავშირებით რამდენჯერმე სასამართლოში საქმე აღიძრა, მაგრამ მაგნატმა პოლიტიკოსები მოისყიდა და თავს მშვიდად გრძნობდა.

1901 წელს, უილიამ მაკკინლის მკვლელობის შემდეგ, სახელმწიფოს სათავეში ვიცე-პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ჩაუდგა. თავის უმთავრეს მიზნად მან მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სოციალური თანასწორობა და მსხვილი ბიზნესის კონტროლი გამოაცხადა. თანაც Standard Oil სასტიკად გააკრიტიკა. პასუხად როკფელერმა რუზველტის 1904 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება გაზარდა.

რუზველტმა როკფელერის ფული კარგად მოიხმარა, მაგრამ ამან მაგნატს სიმშვიდე სულ რაღაც 2 წლით მოუტანა. 1906 წელს Standard Oil-ის წინააღმდეგ რამდენიმე საქმე აღიძრა. უზარმაზარი ჯარიმების გადახდით და მოსამართლეთა მოქრთამვით როკფელერმა თავი მაინც დაიძვრინა. 1909 წელს სასამართლომ Standard Oil-ის დაშლის შესახებ სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური მოთხოვნა მაინც დააკმაყოფილა. ვერც გასაჩივრებამ გამოიღო შედეგი და 1911 წელს კომპანიამ არსებობა შეწყვიტა. შედეგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოიშვა 38 დამოუკიდებელი კომპანია და დაიწყო ახალი ისტორია.

ამ პერიოდისათვის როკფელერის ქონება დაახლოებით მილიარდი დოლარი იყო, რაც მაშინდელი აშშ-ს შიდა პროდუქტის 2,5%-ს შეადგენდა. თანამედროვე ეკვივალენტის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ როკფელერი 150 მილიარდს ფლობდა, ანუ, ყველა დროის უმდიდრესი ადამიანი იყო. Standard Oil-ის და მისი შვილობილი 32 კომპანიის გარდა როკფელერი ფლობდა 16 სარკინიგზო, 6 მეტალურგიულ და 5 სანაოსნო კომპანიას, 9 ბანკს და ფოლადის 3 ბაღს. დაშლის წინ Standard Oil მსოფლიო ნავთობის ბაზრის თითქმის 70%-ს აკონტროლებდა.

როკფელერების ოჯახი დღემდე ერთ-ერთი უმდიდრესია ამერიკაში. ლეგენდარული მაგნატის ორასამდე მემკვიდრის ქონება დაახლოებით 6 მილიარდ დოლარს შეადგენს. მათ ეკუთვნით ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი Chase Manhattan Bank. თუმცა, როკფელერების თანამედროვე იმპერიის ბირთვი Standard Oil-ის მემკვიდრე ExxonMobil გახლავთ.

თურქმენეთი კიევისაგან გაზის დავალიანებას მოითხოვს

შაბათ საღამოს თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინა გაზის დავალიანების გადახდის გაჭიანურებაში დაადანაშაულა და მიწოდებაში პრობლემების შექმნის შესაძლებლობით გააფრთხილა. თურქმენული მხარე აშხაბადში უკრაინული დელეგაციის ვიზიტის და დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ კონტრაქტის გაფორმების "გაურკვეველი ვადით" გადადებამ გააღიზიანა.

ცენტრალური აზიის გაზის უმსხვილეს მომპოვებელს, თურქმენეთს მიაჩნია, რომ უკრაინას მისი 158,9 მილიონი დოლარი მართებს. ამას წინათ მხარეები 59,6 მილიონის დაფარვაზე შეთანხმდნენ, ახლა კი დარჩენილი დავალიანების გადახდის სქემა უნდა შეთანხმებულიყო. თურქმენეთი უკრაინისათვის გაზის ძირითადი მიმწოდებელი მას შემდეგ გახდა, რაც კიევი რუსეთისაგან ენერგეტიკული დამოუკიდებულებით დაინტერესდა. თავის მხრივ, თურქმენული გაზის ექსპორტი "გაზპრომზეა" დამოკიდებული. **როიტერი.**

"სოფტბანკი" "ვოდაფონის" იაპონურ განყოფილებას ყიდულობს

პირველად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბრიტანული მობილური კავშირგაბმულობის გიგანტმა "ვოდაფონმა" გაფართოების სტრატეგიაზე უარი თქვა და თავისი იაპონური განყოფილების გაყიდვა გადაწყვიტა. ამის მიზეზი ევროპული განყოფილებების ზრდის შენელება და ინვესტორებისათვის თანხის დაბრუნების აუცილებლობა გახდა.

"ვოდაფონის" იაპონურ განყოფილებას 1,8 ტრილიონ იენად (15,5 მილიარდი დოლარი) იაპონური კომპანია "სოფტბანკ კორპორეიშენ" იყიდის. ამისათვის "სოფტბანკი" 1,1-1,2 ტრილიონ იენს (9,4-10,3 მილიარდი დოლარი) ისესხებს, კიდევ 200 მილიარდ იენსს საკუთარ აქციებში ჩადებს, ხოლო 200 მილიარდ იენს მისი შვილობილი ფირმა "იაჰუ ჯაპან კორპორეიშენ" დაამატებს.

აღნიშნული გარიგება იაპონიის ისტორიაში სიდიდით მეექვსე იქნება და "სოფტბანკს" ქვეყნის უმსხვილეს სატელეკომუნიკაციო ფირმად აქცევს. **როიტერი.**

აშშ-ს საფონდო ბირჟა სამრეწველო ფირმების ხარჯზე გაიზარდა

გასული კვირა აშშ-ს საფონდო ბირჟამ მნიშვნელოვანი ზრდით დაასრულა. ამის მიზეზი სამრეწველო კომპანიების აქციების გაძვირება გახდა, რასაც საფუძველი თებერვალში ქვეყნის წარმოების 0,7 პროცენტით გაზდამ ჩაუყარა.

პარასკევს, ვაჭრობის დამთავრებისას Dow jones industrial average Index 0,23 პროცენტით გაიზარდა და 11.279,65 შეადგინა, Standard & Poor's 500 Index 0,15 პროცენტით მოიმატა და 1.307,25-ს მიაღწია, ხოლო Nasdaq Composite Index 0,3 პროცენტით 2.306,48-მდე გაიზარდა. საერთოდ, გასული კვირის შედეგების მიხედვით, აღნიშნული ინდექსები, შესაბამისად, 1,84, 2 და 1,96 პროცენტით გაიზარდა, რაც ხუთწლიანი მაქსიმალური მაჩვენებელი გახლავთ. **როიტერი.**







ფრაქციის სხდომაზე ფინანსთა მინისტრს იბარებენ

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" ფრაქციის დღევანდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრს ლექსო ალექსიშვილს იბარებს. როგორც ცნობილი გახდა, ლექსო ალექსიშვილი ფრაქციის სხდომაზე ოფიციალური პროცედურის დაცვითაა მიწვეული, მას ფრაქციამ წერილობითი შეტყობინებაც გაუგზავნა.

"დემოკრატიული ფრონტი" საკონტროლო სალარო აპარატებთან დაკავშირებით, საკუთარ საკანონმდებლო ინიციატივას ფინანსთა მინისტრთან ერთად განიხილავს. "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" საკონტროლო სალარო აპარატების დადგმის ვალდებულებისაგან გარკვეული კატეგორიის მოვაჭრეთა განთავისუფლებას ორი თვით მოითხოვენ. "ორი თვის განმავლობაში კი პარლამენტმა "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებები უნდა შეიმუშაოს, რომლითაც აღნიშნული კატეგორიის მოვაჭრეებისათვის ფიქსირებული გადასახადი დაწესდება," - განაცხადა ფრაქციის წარმომადგენელმა კახა კუკავამ. ფრაქციის აღნიშნული ინიციატივა ყველა წამყვანმა კომიტეტმა დაინუნა, თუმცა კომიტეტების უარყოფითი დასკვნები საკითხის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანას ვერ აფერხებს. **ინტერპრესნიუსი.**

თურქმენეთი უკრაინისადმი გაზის მიწოდების პირობებს არ ასრულებს

უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის ივან პლაჩკოვის განცხადებით, თურქმენეთი უკრაინისადმი გაზის მიწოდების პირობებს არ ასრულებს. მისი სიტყვებით, იანვარ-თებერვლის თვეებში უკრაინას თურქმენული გაზი საერთოდ არ მიუღია. მიუხედავად ამისა, უკრაინამ თურქმენეთს უკვე გადაუხადა 88 მილიონი დოლარი 2005 წლის განმავლობაში მიწოდებული გაზის საფასურის სახით დაგროვებული დავალიანების დასაფარად და 2006 წელს მისაწოდებელი გაზის საფასურის სახით.

შეგახსენებთ, რომ გასულ შაბათს თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინა მიწოდებული გაზის საფასურის გადაუხდელობაში დაადანაშაულა და დაემუქრა, რომ გაზის მიწოდებას საერთოდ შეუწყვეტდა. თურქმენეთის დიპლომატებმა იმედგაცრუება გამოთქვეს კიევის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, უკრაინული დელეგაციის აშხაბადში ვიზიტი გადადო.

ამ ვიზიტის ფარგლებში უნდა გაფორმებულიყო შეთანხმება უკრაინასა და თურქმენეთს შორის ვალის გადახდასთან დაკავშირებით, რომელიც უკრაინას მიწოდებული გაზის საფასურის სახით დაუგროვდა. ივანოვის განცხადებით, მომავალ კვირას უკრაინული დელეგაცია თურქმენეთთან აღნიშნულ თემაზე მოლაპარაკებების გაგრძელებას აპირებს.

თურქმენეთის ლიდერის საფარმურატ ნიაზოვის განცხადებით, უკრაინის დავალიანება თურქმენეთის წინაშე მიწოდებული ბუნებრივი აირისათვის, 158,9 მილიონ დოლარს შედგენს.

2006 წლის მარტის დასაწყისში უკრაინამ და თურქმენეთმა გაფორმეს შეთანხმება 59,6 მილიონი დოლარის ოდენობით ვალის დაფარვასთან დაკავშირებით. **ჯი-ეიჩ-ენი.**

მორიგი აუქციონი "თბილისის საიუველირო ქარხნის" პრივატიზაციის მიზნით

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "თბილისის საიუველირო ქარხნის" პრივატიზაციის მიზნით მორიგ აუქციონს აცხადებს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონი დოლარია. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 8 691 010 ლარია, დებიტორული დავალიანება - 11 190 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 89 298 ლარი. ობიექტი თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე N 15-ში მდებარეობს. ის 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს და მთლიანად იყიდება.

შპს "თბილისის საიუველირო ქარხნის" საქმიანობის სფეროს საიუველირო ნაკეთობათა დამზადება და რეალიზაცია წარმოადგენს. მისი პრივატიზაციის მიზნით ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განაცხადების მიღებას 13 აპრილს დაიწყებს და 16 მაისს დაასრულებს. აუქციონი კი 16 მაისს, 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

ამინდი

მარტი	20	21	22
კიევი	0	-1	+1
ტალინი	-5	-8	-9
რიგა	-4	-7	-7
ვილნიუსი	-5	-8	-9
მოსკოვი	-5	-8	-8
მინსკი	-5	-6	-8
პარიზი	+8	+6	+3
რომი	+12	+13	+15
ლონდონი	+5	+3	+3
მადრიდი	+10	+11	+10
ბონი	+2	0	+3
ვარშავა	-1	-1	-4
ათენა	+12	+18	+15
ბერნი	+4	+9	+6
ამსტერდამი	+4	+2	+4
ოსლო	-8	-10	-7
ანკარა	+2	+5	+9
ვარნა	+6	+8	+10
დელი	+26	+24	+27
ტოკიო	+6	+10	+8
კოპენჰაგენი	0	-1	-1
ბაკო	+8	+8	+10
ერევანი	+4	+4	+6
ასტანა	-2	+2	+1
ჰელსინკი	-8	-9	-10
დუბლინი	+5	+3	+3
პრაღა	-5	0	-4
სოფია	+4	+7	+9
ბუდაპეშტი	+1	+3	+3
ბუხარესტი	+3	+6	+9
ვენა	+8	+9	+8
ლისაბონი	+14	+13	+14

გაიყიდება თუ არა ფოთის პორტი

ქეთინო ჯაკობია
ფოთიდან

დაარსების დღიდან ფოთი ნავსადგურის ძირითად აქციონერად მოიაზრებოდა. თავის დროზე, ფოთის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობისას, თანხები ქალაქის ბიუჯეტიდანაც გაიხარჯა. პორტის წვლილი ქალაქის განვითარების საქმეში, რამდენიმე წელია, მხოლოდ ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული თანხით შემოიფარგლება.

"ყველაფრის ნავსადგურზე "ჩამოკიდება" არ შეიძლება. კომპანიას დავალიანება არ გააჩნია, ეს უკვე ნიშნავს, რომ თავისი წვლილი შეაქვს ქალაქის სოციალური ცხოვრების დაფინანსებაში," - აცხადებს ფოთის პორტის გენერალური დირექტორი ლაშა ახალაძე.

მიუხედავად ნავსადგურიის ხელმძღვანელობის მხრიდან საპირისპიროს მტკიცებისა, არსებობს მოსაზრება, რომ რეალურმა შემოსავლებმა მკვეთრად იკლო, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შემოსასვლელი არხის საგანგაშო მდგომარეობა კი სამომავლო პერსპექტივებს საეჭვოს ხდის. არაოფიციალურ საუბრებში სპეციალისტებიც კი ადასტურებენ, რომ ადვილი შესაძლებელია, ბოლო პერიოდის პროცესები ფარულად, მაგრამ შეგნებულად იგეგმებოდეს და ამის მიზანი ფოთის ნავსადგურის არარენტაბელურად ან სულაც გაკოტრებულად გამოცხადება და მისი მიზერულ ფასად გაყიდვა-გაკერძოებაა.

"ნავსადგურის გაკოტრების საფუძველი არ არსებობს. დღეს პორტს მიწათმფლობელის სტრატეგია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერიტორია ნავსადგურის საკუთრებაში რჩება, ხოლო იჯარით მხოლოდ ნავმისადგომები გაიცემა. პორტის გაკოტრება რომ იგეგმებოდეს, ჩვენ თანხებს არც შემოსასვლელი არხის დაღრმავებაზე და არც სხვა რამეზე არ დავხარჯავდით. პორტის გაყიდვა არ შეიძლება, ეს გამორიცხულია," - ირწმუნება ლაშა ახალაძე.

ჯერ კიდევ წლების წინათ მდინარე რიონის კალაპოტის ხელოვნურად შეცვლის გამო ქალაქის ერთ-ერთ უბანში 300 ჰექტარამდე ტერიტორია ზღვამ მიიტაცა, პორტის შემოსასვლელში კი ქვიშის დიდი რაოდენობით დალექვა შეუქცევად პროცესად იქცა. შემოსასვლელი არხის პერიოდული გაწმენდის არაეფექტურობა წლებმა დაადასტურა, სპეციალისტები დიდი ხანია ნავსადგურის ჩრდილოეთ მხარეს ახალი დამცავი ნაგებობის აშენებისა და კომპლექსური სამუშაოების ჩატარების საჭიროებაზე საუბრობენ. ექსპერტებმა რამდენიმე ვარიანტი წარმოადგინეს. სხვებთან ერთად არსებობდა უკრაინული ფირმა "ოლკომის" პროექტიც, პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად ფინანსური მხარდაჭერის მზადყოფნას აცხადებდა მსოფლიოში ცნობილი ამერიკული კომპანია "coast & hatbot engincerin g lls"-ის პრეზიდენტი ვლადიმირ შეპსისიც.

"ჩრდილოეთის მხარეს ახალი დამცავი ნაგებობის აშენება მნიშვნელოვნად შეამცირებდა რიონის ნატანის შემოსასვლელ არხში დასილვას და ამავე დროს შექმნიდა ახალ აკვატორიას ნავსადგურის შემდგომ განსავითარებლად. იყვნენ ამოღებული ქვიშის შესყიდვის მსურველებიც და სარემონტო-ფსკერდაღრმავებითი სამუშაოები გახდებოდა შემოსავლის წყარო, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ პორტს მოგებასაც მოუტანდა," - ამბობს ფოთის ნავსადგურის შემოსასვლელი არხის მთავარი სპეციალისტი და ყოფილი მთავარი ინჟინერი ჯემალ გერსამია.

მიუხედავად დასაბუთებული გათვლებისა, სხვა კონცეფციების მსგავსად, გერსამიას პროექტით პორტის არც ერთი ხელმძღვანელი არ დაინტერესებულა, მეტიც, იგი არაკომპეტენტურობისთვის მთავარი ინჟინრის პოსტიდან გაათავისუფლეს.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის პასპორტით შემოსასვლელი არხისა და ნატანმჭერი ხაფანგის სიღრმე 13 მეტრს შეადგენს. ბოლო დღეების მონაცემებით, რეალური სიღრმე 7 მეტრს გაუტოლდა. "ჩემი თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, დროებით ვკრძალავ ნავსადგურში ყველაზე ნაირი წყალწყვის გემების შემოყვანას, რომელთა სიღრმე 7 მეტრს აღემატება,"-ვკითხულობთ შემოსასვლელი არხის მთავარი სპეციალისტის მიერ პორტის უფროსისადმი გაგზავნილ სამსახურეობრივ ბარათში.

მსგავსი ბარათები ნავსადგურის ყოფილი გენერალური დირექტორის, თემურ მიმინოშვილის სამუშაო მაგიდაზეც ეწყო, თუმცა, გემების შემოყვანა არ აკრძალულა. შედეგი - მეჩეჩზე შემჯდარი დიდი წყალწყვის ხომალდები, მოცდენილი საათები და ტვირთის გადამუშავების გართულებული პროცედურა, - დაფარვის მცდელობის მიუხედავად მაინც გახმაურდა. პორტის უფროსის, ლაშა ახალაძის ინფორმაციით, ნავსადგურს საჯარიმო თანხა ჯერ არ გადაუხდია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შემოსასვლელ არხში გაჩხერილი გემების, "პრიდიუსისა" და "მუსაჩოს" მეპატრონეებს სარჩელი ევროსასამართლოში შეაქვთ, ფაქტია, მოცდენით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ნავსადგურს დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაეკისრება. რთული მდგომარეობის გამო გახშირდა გემების აკვატორიის გარეთ, ღია ზღვაში გადამუშავების შემთხვევებიც. ზედმეტად დახარჯული დროისა და ფულის გამო უკმაყოფილება უკვე გამოთქვეს ნავთობტერმინალ "ჩენელ ენერჯის" თურქმა ინვესტორებმა.

ჯერ კიდევ თემურ მიმინოშვილის დირექტორობისას ნავსადგურმა 5 მილიონ ევროდ ჰოლანდიელებისგან მიწახაპია "ნიკო ნიკოლაძე" შეიძინა. მაშინ წარმატებული შენაძენით ქართული მხარე თავს ინონებდა, მაგრამ ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ "ნიკო ნიკოლაძის" სიმძლავრეები საპასპორტო მონაცემებს სულაც არ ემთხვეოდა და არც არხის მოსილვის პრობლემა გადაწყდებოდა. დამატებითი ძალებისა და ტექნიკური საშუალებების მოზიდვაზე არავის უზრუნია, რასაც არც პორტის ახლადდანიშნული გენერალური დირექტორი უარყოფს. "შემოსასვლელი არხის დღევანდელი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ 2000 წლის შემდეგ არხის გაღრმავებაზე ფული არ დახარჯულა," - ამბობს ახალაძე.

დახარჯვით კი მილიონობით ლარი დაიხარჯა. ნავსადგურის რეკონსტრუქცია-განვითარების მიზნით ამავე სახელწოდების, 33 თანამშრომლით დაკომპლექტებული განყოფილებაც კი შეიქმნა, თუმცა, თუ არ ჩავთვლით მე-5 ნავმისადგომზე გაუგებარი მიზნით ჩასმულ და დღეს უკვე დასაშლელ ხიმინჯებს, დამატებით შემოლობილ ტერიტორიებს და 380 ჰექტარი მიწის ფართობის უსასყიდლო გადაცემაზე ქალაქისთვის წაყენებულ პრეტენზიებს - ფოთის პორტს რეკონსტრუქციისა და განვითარების კვალი ნამდვილად არ ეტყობა.

ლაშა ახალაძე ფიქრობს, რომ პირველი რიგის ამოცანა არხის დაღრმავებაა. იგი იმედოვნებს, რომ 800 ათასი ლარი მიზანმიმართულად დაიხარჯება, ფორს-მაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე პირდაპირი კონტრაქტით მოწვეული უკრაინული "ჩერნომორტეხფლოტი" ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ერთად შეძლებს 2-3 წლის განმავლობაში პორტი არხის კაპიტალური დაღრმავების ხარჯებს აციილოს. პარალელურად იგი "ნიკო ნიკოლაძის" გაძლიერებასაც გეგმავს. კაპიტალტევადი პროექტების განხორციელება პორტის გენერალურ დირექტორს არსებული მასშტაბებისთვის მიზანშეუწონლად მიაჩნია. "ჯერ არსებული სიმძლავრეები უნდა მოვიყვანოთ ნესრიგში. დასასრულებელია ნავმისადგომების იჯარით გაცემის პროცედურებიც. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ნავსადგურის განვითარებაზე მუშაობა. მოსილვის პრობლემის გადაწყვეტის პროექტები არსებობს, მაგრამ მუშაობა ჯერ არ დაწყებულა. ეს გარკვეული რესურსების მოზიდვასთანაც არის დაკავშირებული," - აცხადებს ახალაძე.

"უკრაინული ფლოტის ჩამოყვანა პრობლემას ვერ გადაწყვეტს. აბსურდია 2-3 წლიან გარანტიაზე ფიქრი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სექტემბრიდან, როგორც კი ზღვაზე შტორმი დაიწყება, შემოსასვლელი არხი ისევ მოისილება და დახარჯული თანხა ისევე, როგორც ადრე, წყალში გადაიყრება. არსებობენ კომპანიები, რომლებიც დღესაც თანახმანი არიან დააფინანსონ პროექტები, რომელთა განხორციელება ფოთის პორტს არამარტო საბოლოოდ გადაუწყვეტს მოსილვის პრობლემას, არამედ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და ახალ შემოსავლებსაც უზრუნველყოფს. თუ მექნება ხელმძღვანელობისა და მთავრობის მხარდაჭერა, ინვესტორებთან საქმიანი კონტაქტების გარანტიას ვიძლევი," - ამბობს შემოსასვლელი არხის მთავარი სპეციალისტი, ჯემალ გერსამია.

საპასპორტო მონაცემები დღეს დარღვეულია. სპეციალისტთა მოსაზრებით, სტრატეგიის რადიკალურად და ოპერატიულად შეუცვლელობის შემთხვევაში, პორტის არარენტაბელურად გამოცხადებამდე ერთი ნაბიჯია.

ჩოგოვაძის პირველად მისვლა რუსთავში

ქვემო ქართლში სამეწარმეო გარემო გაცოცხლდა

ნინო ნატროშვილი

ინდუსტრიის მშენებელ რუსთავ-ქალაქში, რომელსაც ორიოდე წლის წინ ქართულ ლას-ვეგასად ქცევის პერსპექტივა ელოდა, გასულ შაბათს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ჩავიდა.

მინისტრს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილი და ადგილობრივი ბიზნესელიტა საკმაოდ მოკრძალებულად შეეგება. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის მიწაზე, ვანო ჩხარტიშვილის შემდეგ, ეკონომიკის მინისტრებს ფეხი არ დაუდგამთ (არადა, საკადრო კარუსელი ამ უწყებაში ჩხარტიშვილის იმპიჩმენტის შემდეგ ექვსჯერ დატრიალდა), ჩოგოვაძის ვიზიტის მიმართ რეგიონის ბიზნესმენებს ინტერესი არ გამოუხატავთ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ უწყების მიმართ განწყობა ცალსახაა და ბიზნესელიტის თვალში ეკონომიკის მინისტრის პორტფელი მუდმივ ინფლაციას განიცდის. კერძოდ, ამ უწყებამ მხოლოდ პრივატიზაციის კუთხით შეინარჩუნა იმიჯი და ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატს ვერ ცვლის.

როგორც შეხვედრაზე გაირკვა, თურმე ქვემო ქართლში ასზე მეტი საწარმო ფუნქციონირებს და ამ სექტორიდან ქვეყნის მთავარ ქისაში ჩაყრილი მილიონების რაოდენობაც შთამბეჭდავია.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ზურაბ მელიქიშვილის ინფორმაციით "ქვემო ქართლის ბიუჯეტი გაიზარდა. ეს იმ მეწარმეების დამსახურებაა, რომლებიც რეგიონში საქმიანობენ და ბიუჯეტის შევსებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ. 2005 წელს ბიუჯეტში 175 მილიონი ლარი შევიტანეთ. 2002 წელთან შედარებით, ეს 139 მილიონი ლარით მეტია, 2004 წლის საბუჯეტო შენატანების ფონზე კი - 17 მილიონი ლარით მეტი. მიმდინარე წელს რეგიონში წარმოება 8,8 პროცენტით გაიზარდა. გარდაბანში - 12,2 პროცენტით, დმანისში - 10,6 პროცენტით, მარნეულში - 3,8 პროცენტით. 2005 წელს მშენებლობის ხაზით ლიცენზიის მისაღებად განაცხადი 5-მა კომპანიამ შემოიტანა.

რუსთავში ბოლო 15 წლის განმავლობაში არც ერთი კორპუსი არ აშენებულა."

მისივე განმარტებით, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. "მთავარია ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ენერგეტიკული საკითხების მოწესრიგება, კრიმინალური სიტუაციის გამოსწორება, სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება," - განაცხადა მან "24 საათთან" საუბრისას.

რუსთავის ბიზნესელიტამ ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ძირითადად, ბანკების მაღალ საკრედიტო განაკვეთების თაობაზე შესჩივლა.

კომპანია "თუჯი 21-ე"-ს ხელმძღვანელი გია ლეჟავა: "2006 წლიდან ბანკებმა საკრედიტო პორთფელის პროცენტი 17-19 პროცენტამდე გაზარდეს. გასულ წელს ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს უტოლდებოდა. ბიზნესისთვის მაღალი საბანკო განაკვეთები წამგებიანია, რადგან მაღალი პროცენტით აღებული სესხის შედეგად ბიზნესი არ არის რენტაბელური."

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე: "ბანკებმა საკრედიტო განაკვეთები გაზარდეს. ამის მიუხედავად, გაცემული კრედიტების რაოდენობა გასამმაგდა. 2007 წელს საკრედიტო პორტფელის საპროცენტო განაკვეთები 7-9 პროცენტამდე დაიწევს. წელს ეს მაჩვენებელი 17-19 პროცენტია. განაკვეთები უნდა შემცირდეს, რომ მეწარმეებმა თავიანთ ბიზნესში უფრო მეტი ფული დააბანდონ."

რუსთაველმა ბიზნესმენებმა მინისტრს საპრივატიზაციო კანონმდებლობის გადახედვაც მოსთხოვეს, რადგან რუსთავში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად ბევრი საწარმო ჯართად გაიყიდა. მინისტრის განმარტებით, მზადდება საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც საპრივატიზაციო პირობების დარღვევის შემთხვევაში მფლობელისათვის ობიექტის ჩამორთმევას და მის ხელახლა პრივატიზაციას ითვალისწინებს.

შეხვედრის ბოლოს ირაკლი ჩოგოვაძემ რეგიონში შექმნილი ბიზნესგარემო დადებითად შეაფასა და სს "მადნეულის" ადმინისტრაციასთან და ინვესტორებთან შესახვედრად კაზრეთში გაემგზავრა.